

K 231.297  
3

საქართველოს  
ბიბლიოთეკა

საფლავის დასაფლავებელი  
სამსახურის წევრები



თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ფოლკლორისტიკის კათედრის შრომები 2

# ჭკარ-საბთა საქიერუცრაი

ტექსტები შეკრიბეს, შესავალი, ლექსიკონი და  
საძიებლები დაურთეს  
გურაბ კიკნაქაძე, ხვთისო მაგისიძე-ლიშვილი  
და ტრისტან მახაურმა

თბილისი  
1998

წინამდებარე წიგნში შესულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საკულტო ტექსტები. კერძოდ, ჯვარ-ხატთა დღეობებზე ხუცეს-ხევისბერთა მიერ წარმოსათქმელი სადიდებლები, ლოცვები, დამწყალობებები. ტექსტები მრავალმხრივ არის საყურადღებო. ეს არის ძვირფასი მასალა ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგების (ფოლკლორი, ენათმეცნიერება, ეთნოგრაფია, ხალხური რელიგიური ცნობიერება) მკვლევარ-შემსწავლელთა და დაინტერესებულ პირთათვის.

წიგნში შესულია, როგორც ნაბეჭდი, ისე საარქივო (მათ შორის კათედრის მიერ ველზე მოპოვებული) მასალა. მეგ-ნაკლები სრული სახით ეს ტექსტები პირველად ქვეყნდება.

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
თ. ოჩიაური

## The Ritual Oral Texts of Northeast Georgian Highland (With Summary in English)

*Edition of the Texts, Introduction, Glossary and Indices*  
by **Z.Kiknadze, Kh.Mamisimedishvili, T.Makhauri**

© მ. კიკნაძე, ხ. მამისიმედიშვილი, ტ. მახაური, 1997  
© თ. მირზაშვილი – მხატვარი

გარეკანზე – ხახმაგის ჯვრის ხუცესნი ბესო ქეთელაური და აპარეკა ალუღაური  
ფოტო – გრისტან მახაურისა (1990 წ.)

წიგნი ეძღვნება ჯვარ-ხაგთა აწ გარდასულ ხუცეს-ხევისბერთა ხსოვნას

„მარივე ღმერთი არ მაგიწყენსთავ,  
არ მაგიძულეხსთავ!“



მაღლიერებით ვიხსენებთ ხუცეს-ხევისბერთ:

გაღუა ჭინჭარაულს (გუღანი), სუშბაგა ალუღაურს (ხახშაგი), მუსიკ მერღუევს (არღოგი), ვაჟა არაბულს (ჯუთა), ბესო ქეთელაურს (ხახშაგი), გიორგი ლიქოკელს (აკუში), იოსებ და დავით ელიშბარაშვილებს (შუაფხო), პეტრე კუწაშვილს, ბეწინა ბალიაურს, იოსებ (გენჯელა) ღრუბელაშვილს, ხეთისო ფარნაოზაშვილს (გოგოღაურთ თემი), სვიმონ და შალვა მადღურაშვილებს (უძიღაურთა), ბერ წიკღაურს (მაქართა), ალექსი ბე-ქაურს (დიღებანი),

ღა მადღს მოვახსენებთ ღღეგრძელთ, რომღლებიღ ღღემღე მამაპაპუ-რად უძღვებიან ჯვარ ხაგთა სამსახურს:

გაგა ჭინჭარაულს (გუღანი), ვეფხია ქეთელაურს (ხახშაგი), აპარეკა ალუღაურს (ხახშაგი), ხეთისო გოგოჭურს და პეტრე გოგოჭურს (აგაბე), ხეთისო მურღუევს (არღოგი), იღო მინდიკაურს (ხახაბო), იოსებ კოჭღიშ-ვიღს (უძიღაურთა), სვიმონ შუშანაშვიღს (შუაფხო), პეტრე ხიბღაშვიღს და სიკო თაღიაურს (მათურა), ივანე წიკღაურს (უკანაფშავეი), ფოცხვერ ელიშბარაშვიღს (გომბორი), ნიკაღა ჯერმიზაშვიღს (ხაღა), ალექსი სისაურს (ხაღა: იუხო), იღო ქარჩაიძეს (ღაკათხვეი), თორღვა წიკღაურს (გუღამაყარი).

სკპგ-2000  
შემოწმებულია

ერებუღის შემღვენღები

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბღლიოთეკა

## წინათქმა

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გეპირსიცივიერ ფონდში ერთ მნიშვნელოვან შრეს შეადგენს საკულტო გექსტები, რომელთაც ჩვენს ფოლკლორისტიკაში, გრადიციულად, მითოლოგიის ან პოეზიის ებნრში განიხილავენ, რაც არ უნდა იყოს გამართლებული მეთოდური თვალსაზრისით. პოეზიისადმი, ან თუნდაც, მითოლოგიისადმი მათი მიკუთვნებით იკარგება გექსტების სპეციფიკა, სწორი ვაგება მათი ფუნქციისა, რასაც ისინი დღემდე ასრულებენ სამოვადოების (საყმთა) რელიგიურ ცხოვრებაში. ამ არასწორი აგრბეუციის ბრალია, რომ მათი შესწავლის საქმე არ დაძრულა. ეს უნიკალური და მრავალმხრივ საინტერესო მასალა, რომელიც თუმცა უეჭველად შეიცავს პოეზიის ელემენტებს (როგორც ნებისმიერი რელიგიური გექსტი, ლოცვები, შელოცვები და სხვა), ღირსია იმისა, რომ შესწავლილ იქნას კომპლექსურად, სხვადასხვა (რელიგიური, ეთნოგრაფიული, პოეტიკური, ლინგვისტური) კუთხით. ჯერ-ჯერობით კი არსებობს არათუ რაიმე გამოკვლევა, არამედ გექსტების მეტ-ნაკლებად სრული კორპუსი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ პროფ. ვ. ბარდაველიძის მიერ გამოცემულ მომცრო კრებულს (იხ. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის I“, 1938). ეს არის წვეთი ზღვაში იმ მასალიდან, რომელიც დაცულია სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრების არქივებში, ზოგი მათგანი გამოქვეყნებულია, ზოგიც, შესაძლოა, გამო-სამშეურებელი და მოსაპოვებელიც. თუმცა ზოგიერთი კუთხის მიმართ შეიძლება ითქვას, რომ იქ ნაკლები იმედია რაიმე ღირებულის აღმოჩენისა. კერძოდ, არ მოველით, რომ შესაძლებელია მიკვლევა მასალისა თუშეთისა და ხევის საყმობში. მკითხველი შეამჩნევს, რომ სწორედ ეს უბანია მწირი, რომლის ვამდიღრება უკვე შეუძლებელია. სამწუხაროდ, კარგა ხანია, რაც ამ რეგიონში აღარ იპოვებიან საკულტო-გეპირსიცივიერი გექსტების მახსოვარი ადამიანები. მასალის საყმობის (არა თემატიკის) მიხედვით დალაგებამ მკითხველს უნდა აჩვენოს, თუ სად, რომელ საყმობშია შენარჩუნებული საკულტო-გეპირსიცივიერი კულტურა, სად არის შემორჩენილი ძლიერი ცოცხალი გრადიცია (რამედაც მასალის ჩაწერის თარიღები მეტყველებენ).

კრებულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა თსუ ფოლკლორისტიკის კათედრის არქივი (თსუფა), სადაც დაცულია მაგნიტოფირზე ჩაწერილი გექსტები.

„ჯვარ-ხატია სადიღებლები“ წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის შრომების მეორე ტომს. პირველ ტომად ჩათვლილია ნ. ბაღიაურის „სწორფრობა ხევსურეთში“ (1989), რომელიც ამჟვე კათედრაზე მომზადდა.

მადლობას ეუხბით ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს თინათინ ოჩიაურს საგულისხმო შენიშვნებისა და მეგად ღირებული მასალის მოწოდებისათვის.

ზურაბ კიკნაძე

## შესავალი



აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სახელობრ, თუმ-ფშავ-ხეესურეთსა და მთიულეთ-გუდამაყარში სამოგადოებრივი ცხოვრება რელიგიურ საფუძველზე იყო მოწყობილი, რის გამოც მის შუაგულში მუდამ იდგა მფარველი წმინდანი ანუ, როგორც ისინი უწოდებენ, ჯვარი, ხაგი, ღვთისშვილი. ყოველ თემს თავისი მფარველი ღვთისშვილი ჰყავს, ხოლო ყოველ ღვთისშვილს- თავისი „საყმო“ -სამოგადოება. ამ გარემოებამ გამოიწვია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოლოგიური გადმოცემები საკრალური ხასიათისაა და ამავდროულად მათ აქვთ უცყუარობისა და სინამდვილის პრეტენზია.

ამ კუთხის საწესჩვეულებო ფოლკლორში უმთავრესი ადგილი რელიგიური შინაარსის ანდრეშებსა და საკულტო ზეპირსიტყვიერებას უკავია. საკულტო ტექსტები ჯვარ-ხაგის კარზე აღეწვინება და ისევე როგორც ჯვარ-ხაგი წარმოადგენს აბსოლუტურ სიწმინდეს, ასევე ღვთისშვილთა სადიდებლებიც საკრალური ნიშნით არის აღბეჭდილი. საკულტო ტექსტი არის ხუცესის, ღეკანოზის, ხევისბურის მიმართვა მფარველი ღვთისშვილისადმი. მათში განდიდებული არიან ჯვარ-ხაგები თავიანთი ეპითეგებითა და ნიშან-თვისებებით, რის მიხედვითაც ვლინდება ღვთისშვილთა ბუნება და ფუნქციები. სწორედ ჯვარ-ხაგია ხუცობათა და სადიდებელთა ერთადერთი პერსონაჟი.

საკულტო ტექსტები იყოფა სამ ნაწილად: ღვთისშვილთ მოხსენიება (სადიდებლები), სალოცავ-სავედრებლები და კურთხევანი. კულტმსახურებაში მას მთლიანად ხუცობანი ჰქვია და შესაბამისად გვაქვს მოხსენიებით ხუცობა, პირის ქართი ხუცობა და კურთხევანით ხუცობა.<sup>1</sup> საკულტო ტექსტების რიგში ერთიანდება სახელისდებანი და ნაქადაგრები.

საკულტო ტექსტებში ჯვარ-ხაგების უმრავლესობა ხსენდება მისი გარეგნობის მაუწყებელი აგრიბუგებით. „ჩიქილაზინზილიანი“, „ყელილიანი“, „ყაწიმშენიერი“ ღვთისშვილების გარეგნობა ხშირად საკრალური ნიშნით არის აღჭურვილი, რაც ხშირ შემთხვევაში მათსავე ფუნქციურ ნიშან-თვისებებს უკავშირდება. მათ ერთგვარი გიპოლოგიური მსგავსებაც აკავშირებთ ძველი ხალხების ღვთაებებთან (შდრ. ინანა-იშთარი). ჯვარ-ხაგების გარეგნული მორთულობა მათი ღვთაებრივი ძალმოსილების გამომხატველი აგრიბუგით არის.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჯვარ-ხაგები საკულტო ტექსტებში წარმოდგენილი არიან მეზრძოლ, ბოროტების დამთრგუნველ ასპექტში. „დევედედაბერე მეზრძოლ-მეომარი“, „ქაჯავეთის გამტეხი“, „დილოეთის გამბეგრავი“ და, საერთოდ, ბოროტების წინააღმდეგ მეზრძოლი ღვთისშვილები ერთმანეთის მოძმე-მოთანახმენი არიან. ჯვარ-ხაგისა და საყმოს ურთიერთობა, აგრეთვე, ღვთისშვილთ მოძმე-მომხრეობის ინსტიტუტი შუა საუკუნეების პატრონყმური ურთიერთობის ხანის ანარეკლია.

<sup>1</sup> ეს სამნაწილიანი ტექსტები სრული სახით ხეესურეთის საყმოებშია შემონახული.

მიუხედავად იმისა რომ სალოცავ-სავედრებლებსა და სადიდებლებში წმინდა გიორგი ერთი შეხედვით უცნაური ეპითეტებითა და ზედწოდებებით სხენდება, მისი კულტი აშკარად ქრისტიანობის გავლენით არის დამკვიდრებული. საკულტო გე-ქსტებში იგი განდიდებულია როგორც „დიდოეთის გამბეგრავი“, „ქაჯავთის გამ-ტეხი“ (ხახმაგის წმინდა გიორგი), „ღვე-კერპთ მებრძოლ-მეომარი“ (წყაროსთაული წმინდა გიორგი), „შვიდი ათასი გყვის მხსნელი“ (ლომისის წმინდა გიორგი). კანონიკურ ქრისტიანულ ლოცვებში წმინდა გიორგი ასევე სხენდება – როგორც მეომრული ბუნების მქონე წმინდანი. კერძოდ, გროპარში გვხვდება მისი ეპითეტი „წინამბრძოლი“, „გყვეთა განმათავისუფლებელი“ და სხვ.

ანგელოზი, ერთი შეხედვით, ჯვარ-ხაგის სინონიმი. მაგრამ საკულტო გე-ქსტებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ანგელოზი ხშირ შემთხვევაში მოიაზრება, როგორც სათემო ჯვრის დამხმარე, იერარქიულად ქვედა საფეხურზე მდგომი მოძმე-მოთანახმე ღვთისშვილი, რომელსაც კონკრეტული ადგილისა და საგნის დაცვა-მფარველობა აკისრია.

ანგელოზი ფლობს ღვთაებრივ ძალას, ე.წ. „დავლათს“ საყმოს საშველად და სამწყალოზნოდ.

იმის გამო რომ ჯვარ-ხაგები წარმოდგენილი არიან მებრძოლ ასპექტში, სა-კულტო გექსტებში ისინი სხენდებიან თავიანთი საბრძოლო იარაღით (ლახგი, საგ-მირო, ისარი, ძელი, ცეცხლი და სხვ.). ღვთისშვილთა საბრძოლო იარაღი მათი ფიზიკური სახისა და ხორციელი მოღვაწეობის ერთ-ერთი ატრიბუტია, რომელიც მის მეომრულ ბუნებასა და განსაკუთრებულ სიძლიერეს განასახიერებს. მეომ-რული ბუნებისა და ფუნქციის გამოხატულებაა აგრეთვე ზოგიერთი ღვთისშვილის ეპითეტი- „მებურთვალი“, რომელშიც მოიაზრება ცეცხლის ბურთი, რითაც მისი მფლობელი ღვთისშვილი ღვენის ბოროტ ძალებს, სჯის ურჩ ყმებს.

საკულტო გექსტებში მოცემული ჯვარ-ხაგების ზოგიერთი ეპითეტი და ზედ-წოდება აკონკრეტებს მათ ფუნქციურ ნიშან-თვისებებს. იგი გარკვეულწილად ნათელს ფენს ღვთისშვილთა წარმომავლობას, სიძლიერესა და კულტის გავრ-ცელების არეალს. ესენია ბერი ღვთისშვილები, სადარავდრო ჯვარ-ხაგები, ვეშატი (მცველი) ჯვარი, რჯულიან-ურჯულით სალოცავი და სხვ.

სადიდებლებსა და სალოცავ-სავედრებლებში ჯვარ-ხაგების ღვთაებრივი ძალმოსილების გამომხატველ ატრიბუტებს – ცეცხლს, ნათელსა და სვეტს ქრისტიან-ული რწმენა უდევს საფუძვლად. ბიბლიაში, სხსულიერო თუ საერო მწერლობაში ეს ატრიბუტები ყველგან არის ზეციური ძალის მაუწყებელი, ღვთაების ერთ-ერთი მახასიათებელი.

ჯვარ-ხაგების ამგვარი ეპითეტებით, ზედწოდებებითა და სხვა გამომსახვე-ლობითი ფორმებით – მხატვრული ხერხებითა და სიმბოლოებით – წარმოსახვა საკულტო გექსტებში აშკარად გრადიციული, ზოგადქართული მხატვრულ-რელიგიური და მითოსური ცნობიერების ანარეკლია, რომელიც უძველესი დროიდან აისახებოდა ხალხურ სიფყვიერებაში, რელიგიურ ადათებსა და წეს-ჩვეულებებში.

*ხეთისო მამისიმელიშვილი*



ერთ-ერთი საკითხი, რაც ღაცისამის ამ გექსტების მიმართ, მათ წარმოშობას ეხება. როგორ წარმოიშვა სახუცო გექსტები? საიდან იღებენ ისინი დასაბამს? ერთია, მათი შედგენილობა, რისი გარკვევა შესაძლებელია ანალიზის გზით (მაგალითად, გამოიყოს ქრისტიანული პლასტი). მეორეა, თავად პროცესი მათი ფორმირება-ქმნალობისა. ეს გენეზისის პრობლემაა და, როგორც ყოველი გენეზისი, ისიც ბუნდოვანებით არის მოცული, თითქოს მისი ფესვი პრეისტორიაშია, იმ ხანაში, როცა ამ რეგიონში საყმობების ფორმირების პროცესი მიმდინარეობდა. გადავღებთ სამომავლოდ მათი წარმოშობის პრობლემის კვლევას და ამჯერად დავკმაყოფილებით მათი წარმოშობის ადგილობრივი ვერსიებით – როგორ ესმით მათი გენეზისი თავად ამ გექსტების „მთქმელებს“, რომელთაგან არც ერთი არ არის ავტორი. აქ საკითხი ამგვარად დგას: როგორ, რა გზით მიდის გექსტი სუცესთან – მის ერთადერთ მატარებელთან, როგორ „მოიპოვებს“ მას სუცესი, როგორ ითვისებს მას. ჩვეულებრივ უნდა გვეფიქრა, რომ გექსტი გრადიციული ფოლკლორული გზით გადმოდის ერთი სუცესიდან მის სულიერ მემკვიდრეზე. ეს გზა, ცხადია, არ არის გამორიცხული, მაგრამ თავად სუცესნი რატომღაც გვერდს უვლიან ამ გზის დასახელებას სუცობათა გენეზისის განმარტებისას. ისინი უარყოფენ მემკვიდრეობითობას ხორციელის გზით. გექსტი, მათი რწმენით, პირველი წყაროდან ანუ ღვთისშვილისგან გადმოეცემა მათ. საგულისხმოა, რომ გექსტის მიღება, რაც სუცესობის ინიციაციის ერთ-ერთი ნიშანია, სიმბარში ხდება. სიმბარში ემბარება კანდიდატი სუცობას. ანალოგიისთვის შეიძლება მოვიხმოთ ფარნავაზის სიმბარი, სადაც მას ესიმბრება თავისი მეფედ ცხება, ინაუგურაცია, სიმბოლურ სახეებში, ცხადია. „ღამე სიმბარში დეკანოზობა დავიწყიდი... სუცობა მესიმბრებოდა ხაგში – სუფრა, თას-განძი, ანთებული სანთლები“, ან: „ხაგმა შამასწავლა დეკანოზობა, არაფერი ვიცოდი მანამდე...“ როგორც ვხედავთ, სუცესების რწმენით, და ეს რწმენა სახუცო გექსტების გრადიციასთან ერთიანობაში უნდა განვიხილოთ, როგორც მისი ავთენტურობის დასტური, სახუცო გექსტები მათ უშუალოდ ღვთისშვილთაგან აქვთ ნასწავლი. ოღონდ ღვთისშვილი სუცობას სუცესობის კანდიდატს წინა სუცესის პირთ ასწავლის (სწავლებს რეალური პროცესი გადატანისა ირეალურ პლანში, რომლის სახე აქ სიმბარია). „თავის სახეს არ გიჩვენებს. ჩემს წინა დეკანოზის სახით მეჩვენებოდა ხაგ“. ამგვარად გადაეცემა სუცესს გექსტი და მისი წარმოშობაც ამგვარია – მისი წყარო ღვთისშვილია. აქედან ჩანს, რომ სუცობის გექსტი ერთიანად არის შექმნილი ანუ, უფრო სწორად, ის თავისი მთლიანობით არსებობდა ღვთისშვილში და ასევე მთლიანობაში გადაეცა ადამიანს. ასევე მთლიანობაშია ეს გექსტი შენახული სუცესის მეხსიერებაში, როგორც დინამიური რამ არის, რომელიც თავად აიძულებს სუცესს სუცობას: „მოგჯერ ძახებას ვერ ვასწრებ, დამარტყამს რაღაც...“ (გაღუა ჭინჭარაული, გუღანის სუცესი).

სუცესის განმარტება სახუცო გექსტებზე თითქოს მიგვანიშნებს მათ ქრისტიანულ წარმოშობაზე: „ჩვენი სუცობა მარიაშის ნაგრაალია, დღისა, იასო ქრისტე რომ იგრა“ (გაღუა ჭინჭარაული). თუმცა განმარტების ამგვარი გამოხატულება, შესაძლებელია, მთქმელების პირადი შეხედულების ნაყოფი იყო, მაგრამ მასში ნაგულისხმევი მინიშნება ცარიელ ადგილზე, უსაფუძვლოდ ვერ განედებოდა.



სახუცო გექსტების ერთ ნაწილს (მესამე ნაწილს) „კურთხევანი“ ეწოდება. მასალებრივად მათი საეკლესიო წარმომავლობა აშკარაა. კურთხევანი წარმოადგენს ქრისტიანული სალიტურგიო გექსტებიდან და წმინდა წერილიდან (სახარებიდან) „ამოჭრილ“ ფრაგმენტებს, რომლებიც ერთმანეთს რაიმე შინაარსობრივი კავშირის გარეშე ისე შედუღებიან, რომ ერთ განუყოფელ მთლიანობას ქმნიან. ეს გექსტები თავისი აღნაგობით, სტილით შეულოველს გვაგონებენ: „...უფალო აკურთხე სჯაი სკანალე წყალსი ვარდანე ღვინოდ გადასცვალე სამნი მანანი ყარმანი სჯამდეს და იმათ არა შეერგინებოდა გაბლისაგან და წმინდისაგან...“ ქრისტეს ლოცვაც თავისებურად არის გარდაქმნილი: „მამაო და ღმერთო ჩვენო, რომენი ხარ ცათაშია, აგრე ხოყანათაშია. მოგვიშვი და მოგვიტევე პური ჩვენი არსობილთა, რაც უფალმა მოგვიტანა, ნუ შეგვიყვან განსაცდელსა...“. ისინი მკვეთრად განსხვავდება ხუცობის სხვა ნაწილებიდან არა მხოლოდ შინაარსით, არამედ წარმოთქმის კილოთი. წარმოთქმის ისინი განსაკუთრებულ ღვინოდ, აჩქარებულ გემში, დაახლოებით იმავე კილოზე, რაზედაც ეკლესიაში წმინდა წერილი იკითხება. მთელი გექსტი თითქოს ერთი წინადადებაა, დაუნაწევრებელი – წარმოთქმისას პაუზა მხოლოდ სულის მოთქმა და მას ამრობრივი, ფრაგმენტული განმაცალკავებელი ფუნქცია არ გააჩნია. რაც შეეხება მის წარმოშობას, ვაჟა-ფშაველა ასეთ ნიშანდობლივ თქმულებას გადმოგვცემს, მოსმენილს ღულელი ხუცისის ღერენა ქისტაურისაგან: „ხევსურეთში ბოლო დროს ერთი მღვდელი დარჩენილა. მამინ საქართველო თათრებს სჭერიათ. ორმოცი წელიწადი ამ მღვდელს განუშორებლად ხევსურეთში უცხოვრია და ისე დაბერებულა, რომ წვერი დაბლა მიწაზე უთრევია. ორმოცი წლის განმავლობაში ცოლშვილი არ უნახავს. ბოლოს ამბავი მოუგანიათ იმისთვის: საქართველოში დიდი არეულარევაა, თათრები უწყალოდ შპოხვენ ქართველებს, თითონ ქართველებიც მოალაგებობენ, მამ მამას აღარ ინდობს, შვილი მამასაო. ამ ამბის გამგონე, ჯერ სიბერისაგან დასუსტებული, ჭკუიდან შეცვლილა, წირვა-ლოცვაც არევით უსრულებია და ხევისბრებისათვის არევით გადმოუცია ამის წირვაო“ („ხევსურული ქორწილი“, ვაჟა, თხზ. სრული კრებ., IX, „საბჭოთა საქართველო“, 1964, გვ.91). ანდრეში გვაუწყებს არა მხოლოდ „კურთხევათა“ საეკლესიო წარმოშობას, არამედ მისი არეულარეულობის მიზეზსაც.

ყველაზე უკეთ კანონიკური სახე სახუცო გექსტებს ხევსურეთის საყმოებში აქვს შემონახული. მათი წარმოთქმელი ხუცისის ინდივიდუალობა თითქმის არ ჩანს. მაგრამ მემობელ ფშავისხევში ჩაწერილ გექსტებში კანონიკურობა შესუსტებულია, წარმოთქმელი თავს ნებას აძლევს ჩაერიოს გექსტში სიტუაციის შესაბამისად.

სახუცო გექსტები, ცხადია, არ არსებობენ განყენებულად – ისინი წარმოთქმის გარკვეულ დროს, გარკვეული პირის მიერ, გარკვეულ საყმოში, გარკვეული ღვთისშვილის მიმართ. ხუცობანი საკრალური ქრონოტოპის (დროისა და სივრცის ერთიანობის) აუცილებელი თანმხლები ელემენტია, რომლის გარეშე ვერ წარმართება კულტურისაგან „ამ ჟამს“ და „აქ“. ყველა ჩაწერილი გექსტი ხუცობისა ამ კონკრეტულობით არის აღბეჭდილი. ამრიგად, ყოველი მათგანი რომელიმე საყმოში არსებობს და სრულიად გარკვეული ადრესატი ჰყავს.



საკულტო გექსტები უკლებლივ კულტმსახურების დროს წარმოითქმის. კულტმსახურების წესები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კუთხეებში მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. რელიგიური რიტუალების მთავარ შემსრულებელს ფშავში „ხევისბერი“ ეწოდება, ხევსურეთში – „ხუცესი“, მთიულეთ-გუდამაყარში, თუშეთსა და ხევში – „დეკანოზი“. კულტმსახურებს ჰყავთ დამხმარენი „დასგურ-ხელოსნების“ ან „შულგების“ სახით. მათ დაწესებული ვადით ირჩევენ ჯვარი ან თემ-სოფელი. რელიგიურ დღესასწაულებში აქტიურად ემბებიან „ქადაგ-მკითხავნი“, რომლებიც ჯვართა ენაზე უმზნაეის ნებას უცხადებენ საყმოს.

კულტმსახური (ხევისბერი, ხუცესი, დეკანოზი) ანთებს სანთელს, სწირავს საკლავს, ამწყალობნებს მლოცავს, სერავს ქადა-საწირავს და უძღვება მედლობებთა პურობას, კულტმსახური იწყებს და ამთავრებს ჯვარ-ხატის კარზე გამართულ თითქმის ყველა რიტუალს.

მსხვერპლშეწირვას მთის კუთხეებში მკაცრად განსაზღვრული წესები და კანონები აქვს; დადგენილი და დაწესებულია შესაწირავი საქონლის სქესი და ასაკი – მთიულთა რწმენით, ჯვარ-ხატის დღობაში მხოლოდ მამრობითი სქესის საქონელი უნდა შეიწიროს. ის უნდა იყოს ერთი, სამი ან ხუთი წლის. სანთელსაც კენტი რაოდენობით ანთებენ: ერთ ან სამ „ფხს“.

საკლავის დაკვლის დროს კულტმსახური (ხევისბერი, ხუცესი ან დეკანოზი) ღებბა პირ-აღმოსავლეთით, მხარმარჯვნივ დაიყენებს საკლავის პატრონს, მის მიერ „წამოყენებულ სამსახურს“ (საკლავს), ანთებს სანთელს და იწყებს კანონიკური საკულტო გექსტის წარმოთქმას. ეს გექსტი ხევსურულ დღობებში „ხუცობის“ სახელით იხსენიება, ფშავში კი მას „ხევისბერის დიდებას“ ეძახიან. ფშავური და ხევსურული საკულტო გექსტები ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც ფორმითა და შინაარსით, ისე შესრულების რიტმით. ფშაველი ხევისბერი დინჯად და გამოკვეთილად წარმოთქვამს სიტყვებს, ხევსური ხუცესი კი თითქმის სიმღერის კილოთი ასრულებს ლოცვას, რომელიც ბევრად არ განსხვავდება მღვდლის ლოცვა-კურთხევისაგან.

ქართულ პერიოდიკაში დღემდე გამოქვეყნებული ფშავური, მთიულურ-გუდამაყარული, თუშური და მოხევური გექსტები ასეა დასათაურებული: „დიდება“, „დამწყალობნება“ და „დალოცვა“ ან „ლოცვა“. ერთი შეხედვით, მკითხველს შეიძლება შეექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ესენი სხვადასხვა სახის გექსტები იყოს. სინამდვილეში კი ეს არის ერთიანი გექსტი, რომელიც სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: დიდება, მოხსენება და დამწყალობნება, ანუ დალოცვა.

სანთლის ანთების დროს კულტმსახური სარიტუალო გექსტის წარმოთქმას იწყებს ღვთიშვილთა ქება-დიდებათ. გექსტში იერარქიული თანმიმდევრობა მტკიცეა და ღაცული: პირველად ახსენებს მორიგე ღმერთს (მოვიგონოთ საფერხული ლექსი: „პირველად ღმერთი ვახსენოთ, ეგ უფრო დიდებულია...“), შემდგომ კირიას, რომლის ეპითეგია „კარავიანი“, ახსენებს სათემო და სასოფლო სალოცავებს, ახსენებს აგრეთვე „რჯულიან-ურჯულოთა“ სალოცავებს (ხახმაგის ჯვარს, პირიმზე ფუძის ანგელოზს, დიდ ლომისას, ლაშარის ჯვარს) და საკადრის ხოგბას უძღვნის მათ.

დიდების შემდეგ კულტმსახური ღვთიშვილთ მოახსენებს, რომ მის კარზე შემომდგარა ესა და ეს პიროვნება, მოუყრია ჩოქ-მუხლი, მოუყვანია სამსახური

ოჯახის სამხევეწროდ ან ცოდვების მოსანანიებლად, ღვთისაგან მოელის შვებას, წულის (შვილის) წყალობას და ა.შ. ესაა მოხსენება.

მოახსენებს რა ყველაფერ ამას, კულტმსახური თითქოს შუამავლად დგება ჯვარსა და ყმას შორის და გადღის დამწყალობებებზე. სალოცავს შესთხოვს, რომ ხელი მოუშარითოს მის კარზე ძღვენითა და ულუფით მოსულ მლოცავს.

დასასრულ, კულტმსახური მლოცავს პირდაპირ მიმართავს: „მოგცას წყალობა, გიყმოს, გიმსახუროს, გაგიყოლიოს, ჯვარი დაგიწეროს კაცსა, საქონსა...“. წამოყენებულ საკლავს ჯვრის სახით შეუგრუსავს შუბლს, აუგრუსავს მარჯვენა მხარს და დასტურს უბრძანებს, რომ აღასრულოს მსხვერპლის შეწირვა. დასტურიც უმაღ გააგდებინებს თავს საკლავს ალესილი ხანჯლით და მლოცავს მიმართავს: „მოგცას წყალობა“–ო.

ფშავის ხატებში შესაწირავი საკლავი უნდა დააწეინონ მარჯვენა მხარზე. ხეცურეთსა და გუდამაყარში კი მიწაზე არ დაუშვებენ საკლავს, რაც გინდა დიდი და მძიმე ჭედილა იყოს ან კურაგი. იგი, ფეხებით გაკავებული, ჰაერში უჭირავთ დასტურებს, შემწირველებს და ასეთ მღვთმარეობაში გაკავებულს გამოსჭრის ყელს დამკველელი დასტური.

უწინ მხოლოდ დასტურები კლავდნენ საკლავს. დღეს კი ბევრგან ხევისბერი, ხუცესი ან ღეკანოზი ასრულებს მსხვერპლშეწირვას. ძველი წესი შემორჩა უკანახოში, ფუძის ანგელოზის სალოცავში, სადაც გუდამაყარელი ღეკანოზი წარმოთქვამს სადიდებელს, ხოლო დასტური თავს აჭრის წამოყენებულ მსხვერპლს.

მსხვერპლშეწირვის შემდეგ კულტმსახური სახატო თასში დაასხამს ზედაშეს და ამწყალობებს „მეზღვნე-მეულუფეს“. ამ დროს ხეცური ხუცესი სიგყვები უკვე მკაფიოდ და გარჩევიით ისმის, რადგან იგი მიმართავს არა ჯვარს, არამედ ჯვრის ყმას – საკლავის წამოყენებულს და შემწირველს.

საკლავების შეწირვა რომ მოთავდება, იწყება ქადა-პურების გასერვა. ყველას მოიქვს თავ-თავისი შესაწირი ქალები და ხმიადები. ქადა არის ორი: კაცისა და საქონლის სამხევეწრო.

გასერვის რიგუალის დროს მთავარი კულტმსახური წარმოთქვამს ლოცვის მცირე ტექსტს: „დალოცვილო (ახსენებს ჯვარ-ხატის სახელს), შენთვის სამხევეწრო არ დაუკლავ, შენ კეთილ წყალობას ნუ დააკლებ შენის ხვთისა და კვირისასა“, – ხანჯლის წვერით ჯვარს დაუსვამს ქადაზე და გამოსჭრის მეთოხედ ნაწილს. ახლა საქონლის სამხევეწროს აიღებს და კვლავ დაილოცება: „დიდებულო გამარჯვებულო (ისევ იმ ჯვარ-ხატს მიმართავს), შენთვის ფურთნათავარი არ დაუკლავ, გაუმრავლე ხარებიცა, ფურებიცა,“ – ჯვარს დაუსვამს ამ ქადაზეც და გამოსჭრის მეთოხედ ნაწილს. დანარჩენს პატრონს უბრუნებს.

ქადა-პურების გასერვას მიცვალებულთა სახელზე გაშლილი სუფრის კურთხევა მოსდევს. ამ დროს შეწირული საკლავის ხორციც მოხარმულია და ხალხი პურობად ემზადება. დღესასწაულის გამძლე კულტმსახური ანთობს სანთელს და სახელს სღებს სუფრას. ამ დროს წარმოითქმის სახელისღების ტექსტიც, რომლის შინაარსი მთის ყველა კუთხეში თითქმის ერთნაირია. სუფრის კურთხევამდე მლოცველებს არ შეუძლიათ, პირი დააკარონ საჭმელს.

საკულტო წესები ჩვენამდე პირვანდელი სახით არ შემონახულა. აღრე კულტმსახურთა შორის არსებობდა იერარქიული განსხვავება და შესაბამისი ფუნქციებიც ეკისრებოდა თითოეულ მათგანს, მაგრამ ბოლო ხანს ძველი წესები დავიწყებას მიეცა და კულტმსახურთა ფუნქციებიც ერთმანეთში აირია. ჯვარ-ხატის მიერ „დატუსალებულ“, ანუ „დაჭერილ“ (ხელდებულ) კულტმსახურებს სათავეში

ელგა მთავარი ხევისბერი, ხუცესი ან უფროსი ლეკანობი. იყენენ აგრეთვე რიგითი ხევისბრები, ლეკანოზები, ხუცები, მაგანბურნი, მეღროშენი, დასტურები და ა.შ. ჯვარ-ხატებს პყავდათ საკუთარი საქონელი, რომელსაც ხატის მონები მწყემსავდნენ.

ხევისბრის მოვალეობა თემ-სოფლის წინაშე საპატიო, ამავე დროს, ფრიად საპასუხისმგებლოც იყო. ხატობამდე რამდენიმე კვირით ადრე ხევისბერი განმარტოვებოდა თავისი ოჯახის წევრებისაგან და ცალკე ცხოვრობდა მისთვის საგანგებოდ გამოყოფილ სამყოფში: ან სახლის ჭერხოში, ანდა ხატ-სალოცავის გერიტორიაზე მდებარე ე.წ. „საბეროში“. ზოგიერთი ხევისბერი მთელი სიცოცხლის მანძილზე განდევნილად ცხოვრობდა. კულტმსახური არ უნდა გაჰკარებოდა ქალს, არ უნდა ეჭამა ღორის ან ქათმის ხორცი და კვერცი. მას ისეთ გზაზე გავლაც კი ეკრძალებოდა, სადაც „ნალახი“, „მირეული“ ადგილი იყო, სადაც მექობ-მეზოსლე, მესამრელოე ქალ-ღიაცი დაღიონენ. ბევრ სალოცავში ყოველწლიურად, ათენგენობის დაწყების წინ, ხევისბერი საკლავს დაკლავდა და ხელ-მხარს ინათლავდა. მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო მას სახთლის ანთება და დროშის გამობრძანება.

დროშის გამობრძანება ხდებოდა ერთი სამლოცველოდან მეორეში გადასვლის, „კულუხის“ მოსატანად ბარში გამგზავრების, „საყენის“ დაღმის, ღარისხების, თემიდან მოკვეთის, შერიგების და მტერზე გალაშქრების წინ. ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი ქმედებას თავისი საგანგებო რიტუალი ახლდა.

ერთი თემის თუ სოფლის სამლოცველოები ახლო-ახლოც არის და შორსაც. არსებობს სასოფლო და სამთო სალოცავები. სამთო სალოცავები მთის წვერზე მდებარეობს, იქ, სადაც მზე პირველად მოჰყენს სხივებს. მთის წვერზე შედარებით მცირე ზომის ნაგებობები – სასანთლები და საბარები. არის „სასუფეველიც“ – დიდი სიბი ქვა, რომელზედაც ხევისბერი ქადა-საწირავს სერავს.

სანათლავის დაკეცის შემდეგ კულტმსახური გაინათლება და დროშასაც ასხურებს მსხვერპლის უმანკო სისხლს. მლოცავი პირჯვრის წერითა და ჩოქის მოხრით ხვდება განათვლის რიტუალს. მრევლი ცოტა მოშორებით იმყოფება. ყმებს არა აქვთ უფლება მიუახლოვდნენ და შეეხონ ხატის დროშას. წინააღმდეგ შემთხვევაში ხატი გაუწყრება და მკაცრად დასჯის მათ. მხარზე დროშაგადებული ხევისბერი წინ მიუძღვის მლოცავს სამთო სალოცავისაკენ. მას მიჰყვებიან დასტურ-ხევისბრები, ხელოსნები და უფროსი ასაკის მამაკაცები. ამათ ეწოდება „დროშინი“. დროშინის მიჰყვება „გორის ქარავანი“ – მლოცავი საკლავებით, ბარგაკიდებული ჯორ-ცხენებით.

სამთო სალოცავში იციან ყმის მიბარება ანუ ხატში გაყვანა (ზოგან ეს რიტუალი სასოფლო ხატშიც სრულდება). ფშავეში ხატის ყმად მიბარება კურაგით და ორი მამალი ბატკნის შეწირვით სრულდება. თუმცაში კი ხატში გასაყვანს უნდა მიაყოლონ „ყმის კოტორი“, სამი ფეხი სანთელი და ზედაშე. ხატში მიბარების დროს მთავარი კულტმსახური წარმოთქვამს ღიღების ჩვეულებრივ ტექსტს, ოღონდ მას დაუმატებს შემდეგ სიტყვებს: „დალოცვილო დაღებული გამარჯვებულო, ყმა ყმაზე შაგმატება, ძალა ძალაზედამც შაგმატება, სამართალ სამართალზედა, უშველე და უშეშველე, დალოცვილო, თეთრი წვერით შამაჰადინე შენს ყუდრო კარზე გამარჯვებული და გამხვიენებული გყის წვერთავითა“ (გულისხმობს ვარჯებმრავალ ხატის გყეს – „ხემხვიანს“).

სამთო სალოცავში მალე მთავრდება ღლეობა: ყველანი ემზადებიან სოფელში ჩასასვლელად, რადგან წინ დიდი გზა უღვეთ და მიშობენ, არ დაუღამდეთ. ხევისბერი „საფერხისოდ“ უხმობს მეღლეობე კაცებს.

ფშავ-ხევსურულ დღეობებში გამართული საფერხულო წრის შუაგულში დგას მხარზე დროშაგადებული ხევისბერი, რომელსაც სიმღერით გარს უვლიან მოფერხისენი. თუშური საფერხულო სიმღერის „ქორბელელას“ შემსრულებელნი კი შუაში ჩაიყენებენ მეჩონგურეს, რომელსაც „მეციხოვნეს“ ეძახიან.

მთიდან ბარის სალოცავამდე საკმაო მანძილია, რომლის დაფარვას მოგჯერ რამდენიმე საათი სჭირდება. ამ ხნის მანძილზე არ უნდა შეწყდეს ფერხისა. მომღერლები ერთ საგმირო-მითოლოგიურ ლექსს მეორეს გადააბამენ, მეორეს მესამეს მოაყოლებენ და მღერიან მანამ, ვიდრე დანიშნულ ადგილს არ მიაღწევენ. იქ კვლავ სიმღერით შემოუვლიან სასანთლე-საზარეს. ხევისბერი შეჩერდება, მომღერლებს დალოცავს და დროშას მიაბრძანებს „სასვენში“.

ფშავ-ხევსურეთისა და მთიულეთ-გუდამაყრის სალოცავებს მეფეებისა და დიდებულებისაგან ქართლ-კახეთში შეწირული ჰქონდათ ვენახები, სადაც ამზადებდნენ ხაგის სალოცებისათვის განკუთვნილ ღვინოს – „კულუხს“. დღეობის დაწყებამდე ორი კვირით ადრე მთიდან ბარად გამოემუშრებოდა დროშიონი კულუხის წასაღებად. გზაზე დროშიონი ჩერდებოდა იმ ადგილებში, სადაც მათი სალოცავის ნიშები იყო მოფენილი და ყველგან დღეობას მართავდა. კულუხზე ახმეტის ეენახებში დღეს მხოლოდ უძილაურთის (ფშავი, კოპალას საცმო) ხევისბერი დადის. ასევე საყურადღებოა ხევსურ ხუცთა მოგზაურობა თუშეთში. თუშეთის თითქმის ყველა სოფელში არის ხახმაგისა და კარაგის ჯვრის ნიშები. აქ-იქ გვხვდება იახსრის სალოცავებიც. ზაფხულობით, როცა სამთო გზები კარგად იყო გახსნილი და ათენგეზობებიც ახლოვდებოდა, ხევსური ხუცები და დასტურხელოსნები ცხენებზე ამხედრდებოდნენ და თუშეთისკენ მიემუშრებოდნენ. მიდიოდნენ დროშით, თას-განძით, სასმლით და სანთლით. ყველა სოფლის სალოცავში ადგილობრივი მცხოვრებნი მათ ეგებებოდნენ საკლავით, ქადა-საწირით, სანთლით, ლუდით და პურობას უმართავდნენ.

თუშებს კარაგის ჯვრის ხუცთან მიჰყავდათ გაბეჩავებული ადამიანი „დასაკოჭად“. ხუცესი დროშას დააქდრიალებდა გაბეჩავებულის თავზე და იტყოდა: „გმირო კოპალაო, ბერო ბეგთრიახო, დახკარ დახგი მაენესა და მაცილსა, შენ ყმას კი უშველე, გადაარჩინე და მოაწაღმართე“.

კარაგის ჯვრის დროშით ეძებდნენ ზვავში ან წყალში დამხრჩვალს, კლდებზე გადავარდნილს, დაკარგულს და თუ იპოვნიდნენ, ამავე ჯვრის დროშითა და მსხვერპლშეწირვით ხდებოდა მისი სულის დახსნა ეშმაკებისაგან. კარაგის ჯვრის ხუცესი დროშას დააქდრიალებდა და წარმოთქვამდა ლოცვას, ხოლო დასტური შავ თხას ან ცხვარს ყელს გამოსჭრდა და ხელუკუღმა გადაისროდა გრავიკული შემთხვევის ადგილზე. ეშმაკებისაგან დახსნილი სული კარაგის ჯვრის დროშით მიჰყავდათ მიცვალებულის სახლში.

დღესასწაულის დამთავრების შემდეგ მთავარი კულტმსახური თავის ადგილას მიაბრძანებდა დროშას და მადლს გამოსთხოვდა ჯვარს: „დიდებულო გამარჯვებულო (ახსენებდა ჯვარ-ხაგის სახელს), მაპაგიე, თუ რამე შეგცოდე ჩემის უგობა-უმეცრებით, ჩემი უენაირობით, ჩემი ჯორცივლობით. ნურაზე შამისაწყინდები. ჯვარი დასწერე შენს საყმოს, ამ გორის ქარავანს წყალობა გააყოლე“.

მლოცავი პირჯვრისწერითა და მუხლის მოყრით ემშვიდობებოდა სალოცავს, რომ მომავალ წელს უფრო იმედიანად და ლაღი გულით ამოსულიყო მის კარზე.

# სევესურობი



## პირაქითი ხევისპირითი

### 1. ხსენება გუდანის ჯვარში საკლავის დაკვლის წიბ

ააა, დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელსა, რჯულ-ქრისტიანთა, მშესა-ღ' მზის მყოლ ანგელოზთა. დიდება-ღ' გამარჯვება შენდა, ბაგონო ხთიშობელო, ნაკარელა ზღურბლის დამტეო, ბარ-ეკლესიის დამჭეო, შენ გადიდას ღმერთმა, შენ გაგიმარჯვას, შენ შენი გამხენი მორიგე ღმერთი გადიდებს, გაძრიელებს, არ მაგიწყენს, არ მაგიძულებს; შენ სამსახურის მამხსენებს ნუ მაიწყენ, ნუ მაიძულებ. რასა მკარზე და გულზე გეხვეწებოდას, იმაზედ გაუგონიდი. რასაც წყალობას გეთხოვებოდას, ის წყალობა შენ უბოძიდი. შენ მორიგე ღმერთს გამაუთხოვიდი, დიდ კვირაეს შახვეწნიდი. სცევიდი, ხვარევიდი, შველდი, სწყალობდი, ავის დღისა, ლაღის მგრისა, მწარის სიკვდილისა, მაენისა, მარკისა, შენ კალთა დაუფარიდი, ეს მოხრილი ჩოქიე, მათხოილი მადლიე, მაქსენებულსა სამსახურსა, შენ სამსახურის მამხსენისა, მაგათ თაე-ყუდრო ჯალაფობისა, ორფეკ-ოთხეკისა, ქუდოსან-მანდილოსნისა, ნაშვრალ-ნამუშავრისა და ბედისა ღ' ბოლოსა ყურთამსმენელი, მლხენელი, მხოიშნებელიმც იქნები, აგრემც გაგემარჯვების...

*ამას მოსდევს კურთხევანი:*

დღეს დღესიე ხსნილობა იყავ, ჯვარსა კურთხეულება, კურთხეულისი, უფალი აწ და მარადისი იყენევე უკუნეთ უკუნისამდე...

*დაახლოებით ისეთივე კურთხევანია, როგორც ხევისპირეთის სხვა ჯვარ-ხატებში.*

*გუდანი. გუდანის ჯვრის ხუცესი გაგა ბაბოს ძე ჭინჭარაული, 65 წლ., ჩაიწერა ხეთისო მამისიმედიშიელიმა მაგნიტოფონზე, 1994 წლის 23 ივლისს, ათენგენობაზე გუდანის ჯვარში.*

თსუგა № 29900

### 2. ხსენება გუდანის ჯვარში სოფე-სანთივლსა და თქითრეულზე

ბაგონო ხთიშობელო, ხთიშობლის ლაშქარნო, გზა-მარას ყარაულნო, თქვენ გადიდნასთ ღმერთმა, თქვენ გაგიმარჯვასთ დამადლებულზე თეთრეულზედ, სანთელზედ. თქვენ თქვენი გამხენი მორიგე ღმერთი გადიდებსთ გაძლიერებსთ, არ მაგიწყენსთ, არ მაგიძულებსთა, თქვენ სეფე-სანთელსა, ჭიქა-ბარძიმსა, თეთრეულის დამმადლებებს ნუ მაიწყენთა და ნუ მაიძულებთ, რასა მკარზე და გულზე გეძახანთ და გეხვეწებიანთ, იმაზე გაუგონეთ და რასა წყალობას გეთხოვებიანთ, ის წყალობა უბოძეთ და მორიგე ღმერთს გამაუთხოვეთ და დიდ კვირაეს შახვეწნით. სცევიდი, ხვარევიდი, შველდი, სწყალობდი ავის დღისა, ლაღის მგრისა, მწარის სიკვდილისა, მაენისა, მარკისა, თქვენ კალთა აუფარიდი დღეს მახრილი ჩოქი, მათხოილი მადლი, მაქსენებული სეფე-სანთელი, გარიგებული ჭიქა-ბარძიმი, დამადლებული

თეთრეული თქვენ თეთრეულისა, ჭიქა-ბარძიმისა, სეფე-სანთლის მამ ქსენეთა, მაგათ თავისი ყუდრო-ჯალაფობისა, ორფეკისა-ოთხფეკისა, ქუდონისა-მანდილოსნისა, მაშელისა-ნამუშაველისა, ბედისა-ბოლოსა ყურთამსმენელი, მლხენელი, მხოიშნებელიმც იქნები. მე რასაც მახსენებას დაეაკლებ თქვენ ჭიქა-ბარძიმთა, სეფე-სანთელსა, დამადლებულ თეთრეულსა, თქვენ თქვენ წყალობას ნუ დააკლებთ, აგრემც გაგემარჯვებისთ. იკადრეთ, აიგანეთ და ხთის კარზე მაიკმარეთ, მაგცასთ წყალობა, მეზღვნე-მესანთლეებო, საწალ-მართოდ მაგიარასთ, დავლათ დაგახმარასთ, ზღვნობა-სანთლობა, სეფე-სანთლის ქსენება, თეთრეულის დამადლება სასისხარულო გაგიხადასთ, საკლოოდ დაგიხალიმინასთ, წალმ მაგეგებასთ, წალმ გამაგყვასთ, მოწალმართე ანგელოზ გაგაყოლასთ გზაშია, მგზაერობაში და თქვენ გწყალობდასთ, ხთიშობლის კარის მლოცაეთ, კელოსანს, მესალმეს, მეზღვნეს, მესანთლეს გიშველას სუყველას, დავლათ დაგახმარასთ დალოცვილმ. თქვენაც გწყალობდასთ მაყურებელ-მასმინარს!

*გუდანი. გუდანის ჯვრის ხუცესი გაგა ბაბოს ძე ჭინჭარაული, 65 წლ., ჩაიწერა ხეთისო მამისიშვილიშვილმა მაგნიტოფონზე, 1994 წლის 23 ივლისი.*

*ოსუფა № 29901*

### 3. ხუმობა საკლავის ღაკველის წინ სანე-ლეულს ჯმარში

თქვენად სამთავროდ იყოს, გასამარჯვებლად, გიორგი რჯულიან-ურჯულოთ სალოცავო, ნადვარში მებურთალო, კელო სამძიმარო, გიორგის მოღე-მომკრენო, მოქსენებელი სამსახური, დღეს მახრილ ჩოქი, მათხოვილ მადლი. გეძახნა, გეხვეწებან მანდილოსნები, შენ ბედივ დავლათ დაახმარევი მანდილოსნებსა, თავისა ჯალაფობასა. რასა მკარზედა გულზე გეძახდან, იმაზე გაუგონიდი; რასა წყალობას გეთხოვებისა, ის წყალობა უბოძევი, მარიგეს ღმერთსა; დიდს კვირიას გამაუთხოვიდი; სნეულზე გეძახდან, სნეულს ულხინიდი, ლხენის წამალ დააყარიდი; რასა გულზე და მკარზე გეძახდან, ის წყალობა უბოძევი, თავე პირწალმა დაუბრუნიდი; რასა წყალობას გამაელოდეს, ის წყალობა უბოძევი: ხთისკრით თუ რა გამადიოდის სასჯელი, საზიანო საქმე კაცისა, საქონისა მავლაი, ნუ მახკერძევიდი, სხვა ალაგ, ქალაქ მიასწავლიდი; წულისა მეხვეწურები იყვან, წულს მაუმაგვედი; კარისა, მკრის ნამაშვრალსა ნივთი, ბარაქა დაუგანიდი; მშვიდობით დამდგარიყვ მაფხულობა, სთველ ღალიან-ბარაქიან დაუყენიდი. შენისა გასამარჯვად იყოს დღეს მახრილი ჩოქი, მათხოვილ მადლი ამ სამსახურის პაგრონისა, ამით ჯალაფობისა. ისმინე, გაიგონე, მლხენელი, მხოიშნელი, მეშველი, მწყალობელი იყავ, ძალო ხთისათო, მადლო სამწირველისათო.

*ჩაწერილია გ. ჩიგაიას მიერ სანე-ლეულს ხაგში ამავე ხაგის ხუცის თქმით.*

*მსე გვ. 12.*



4. ლონკა გუანის ჯვარში ქალბატალ ღსმის ღროს, ლაშქრობის წმც

ღალოცვილო გუღანის ჯვარო, ღიღი ხარ, ღიდ შაგიღლაგ შენის სახელის ჭირიმ. ჩამეღიდ! აუშენ კორციელის ენა, ასა თუ არ გამარჯვება ჩვენი, რო ლაშქრად წავიღათ, ასა თუ არ ღრო, რო შენი ძალით გაეიმარჯვათ მგერმედ, გაგიღლოლება თუ არ შენს ღროშას შენღად! შენთ ყმათ სასახელოდ. თუ კიღევ დამარცხებამ გოქვე, ისიც ღაღემი, ღალოცვილო, შენის მეენის კორციელის პირად! იმისანიც ყაბულნ გაგკღენით. მანამ შენ ბრძანება არ იქნების, არცად არ წაოლოთ.

თ. ოჩ. ქუსი გვ. 75.

5. კირჩლა ბაბურაშულის საპარბყმომ

ღმერთო, გაუმარჯოს საღმთოსა! საღმთო, შენ ნუ ღაულევ ბიჩინაგურთა ბაბურაშულის ფერსაო. სახელიანსავ, კმლიანსავ, ნუ ღაულევ საბიჩინაგურთაო. ღაგმებული ცეცხლი, ავსებული ჩხუგი, როგორც ჩვენ კელთასა, ჩვენს წინასა, ქრამც სულსა ბაბურაშულისასა მაეხმარების, იმის კელთა ნებასავ იქნების, თასისად უნღაევ, თუ კიღევ ჰყვანღესა შამამბრუნალი ჯვარ-ჯვარის კარსა.

*ხალხი* შაუნღნას, შაუნღნას! ალაღიც, ალაღიც იქნების! მაახმარას!

*გუღანი. ბაჰყურა ჭინჭარაული, ჩაიწერა რუსუღან ხარაბემ, 1943წ. (ინახება მის ღირად არქივში).*

6. საღიღეპალი ბარისახოს კვირიას ხაბში

წინა სანთელ-ჭიქა-ბარბიმზეღა შენ გაღიღას, გაგიმარჯოს, მაღალო ღმერთო.

აემ სანთელ-ჭიქა-ბარბიმზეღა შენ გაღიღას, გაგიმარჯოს, კვირაევ, ხთის არმე კარავიანო.

აემ სანთელ-ჭიქა-ბარბიმზეღა შენ გაღიღას, გაგიმარჯოს, ლუბისთავ სვეტის ანგელოზო.

აემ სანთელ-ჭიქა-ბარბიმზეღა შენ გაღიღას, გაგიმარჯოს, ხთიშობელო.

აემ სანთელ-ჭიქა-ბარბიმზეღა შენ გაღიღას, გაგიმარჯოს, სახმთო-სახაგეს მღგომო ანგელოზო.

აემ სანთელ-ჭიქა-ბარბიმზეღა შენ გაღიღას, გაგიმარჯოს, პირქუშო ცეცხლის-აღიანო.

აემ სანთელ-ჭიქა-ბარბიმზეღა შენ გაღიღას, გაგიმარჯოს, გმირო კოპა-ღაევ ღაღო ლახტიანო.

აემ სანთელ-ჭიქა-ბარბიმზეღა შენ გაღიღას, გაგიმარჯოს, თავაღო მთავარანგელოზო.

საქართველოს  
ქრონოლოგი  
ბიბლიოთეკა

აემ სანთელ-ჭიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, ხთიშობელო, ადგილის დელო.

აემ სანთელ-ჭიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, კვირაევ თელის ანგელოზო.

აემ სანთელ-ჭიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, სანებალო აკოსწვერისაო.

აემ სანთელ-ჭიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, გიორგიევ წყაროსთავისაო.

აემ სანთელ-ჭიქა-ბარძიმზედა თქვენ გადიდასთ, გაგიმარჯოსთ, ლაშქარნო ხთიშობლისანო.

აემ სანთელ-ჭიქა-ბარძიმზე, სანთელ-სალალობელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს, გიორგიევ ნაღერისპირისაო.

ბარისახო. კვირიას ხაგის ხუცესი გ. ჭინჭარაული.

მსე გვ. 28-29.

## 7. ხუცობა საკლავის ღაკველის წინ ბარისახოს კვირაჲს ჴვარჲში

დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელსა, რჯულ ქრისტიანთა, დიდება მზესა-ღ' მზისმყოლთ ანგელოზთა.

დიდება, გამარჯვება თქვენდა, წმინდანო ანგელოზნო! თქვენად სამთავროდ, თქვენად გასამრჯოდ იყვას მოკსენებული სამსახური. თქვენ ემ სამსახურის მომკსენეთ ნუ მაიწყენთ, ნუ მაიძულებთა. რასაც მკარზე და გულზე გეძახდანი, იმაზედ გაუგონილთ. რასაც წყალობას გეთხოებოდანი, ის წყალობა უბოძვილთ. სხვად ხთისნასახნ თუ რაზედ უწყებოდან, მაღლი, ხოიშან დაუთხოიდი, ამათ ყუდროშიგან კაც გეძახდან, კაცს მაუმაგილთ ღონესა, ქონეს, ორფეკ-ოთხფეკს, თქვენ ზღვენთა-ღ' ულუფად მაუმაგებენ. ნურას მახკერძებთ ამათ ყუდროი სენ-სასჯელს, საზიანოს, მგრის კმას, სიკვიდლს; უშველილთ, გადაუგდილთ, სხვა ალაგ, ყუდრო გაუსწავლილთ. ამათ ყუდროშიგით ველთ გადიოდან-ღ' თქვენს ბედს უძახდან, დავლათს ეძახდან, თქვენ ბედი, დავლათ დაახმარილთ, გახყვილთ, გაუმარჯვილთ, სახელ-სარგებელს მიაგანნილთ. მგერს მიზღვედან, მისწივნილთ, მოსღვედას ვინ, გამახვეწნილთ, თქვენ კაბის კალთა დაუწერილთ, შინ მშვიდობით შამახვეწნილთ. გაფხულობა მშვიდობით გადაყურილთ, სთველ ღალიან-ბარაქიან ამაუყენილთ. თუ რა შაგცოდან ან ბნელსა, ან სისკარსა, ან ფეკის ნალითა, პირისქართა, იამან-მაკვილითა, საბელ-სამკრითა, გზა-შარად ლაკვითა, შანაწყენ-შანაცოდვარ შაუნდვილთ, ზღვნითა, სანთლით გადააკდივილთ. თავეის ლაშქარნ თავის კარსა-ღ' თავის კამალას მიხკრიფნილთ. სხვან ხთის ნაბადებნ თუ რაზედ უწყებოდან, მაღლი-ღ' ხოიშან დაუთხოილთ. კარისა, მკრის ნაოფლარს ჯვარ დაუწერილთ, ნითი, ბარაქა დაუგანილთ. თქვენ

თქვენი გამჩენი მორიგე ღმერთი არ მაგიწყენსთ, არ მაგიბულებსთ, თქვენ თქვენს შეხვეწურს ნუ მაიწყენთ, ნუ მაიბულებთ. რასაც მკარზე და გულზე გეძახდნით, იმაზედ გაუგონიდით, ის წყალობა უბოძეიდით. ქრისტემ დაგიწერასთ ჯვარ თქვენ ზღვენთა-ღ' სამსახურ. მეშველი, მწყალობელი იყვენით ქულოსან-მანდილოსნისა, ორფეკ-ოთხფეკისა, ნამაშერალ-ნამუშავრისა.

*ბარისახო. კვირაეს ხაგის ხუცესი გ. ჭინჭარაული.*

*მსე გვ. 11.*

## 8. შანლოზის ოქმა

ღმერთო დალოცვილო, შენ გვედრები, შენ გეხვეწები... შანლობა სერს წმინდას, კარს სამოთხისას...

საცა თქვენ ხართ, ჩემნო დედ-მამანო, ჩემნო და-ძმანო, ჩემნო დედამთილ-მამამთილნო, თქვენ ერთობაი ას, თქვენ ანდაბი ას, თქვენ მიყოლ-მაყოლა, ნათესაობაი ას, ეს ტაბლაიც, ეს ჭიქებიც თქვენსამც წინ იქნების. მანდაურის წესითა, რიგით თქვენ როგორც გეჩერებისთ, თქვენამც გეხმარებისთ, კელცარიელნიმც ნუ იქნებით, უტაბლონიმც ნუ იქნებით, უსაგძლონი. შინამც შამახოლთ, ტაბლასამც დაეწვეით. თუ ვინ მოყოლებულ, მოყოლილ გინდოდასთ, თქვენითამც ნებით დაიწვეთ. ცოდვიანი, არამიმც ნუ დაგეწვევისთ. ჩემი უთქმელობით თქვენამც ნურა დაგაკლდებისთ, მეტიმც გექნებისთ. შაგინდასთ საქრისტიანოს გამჩენმ, ღმერთმ მაგაკმარასთ. ეს სგუმრებიც კარგა გვიმყოფას.

*ჩირდილი. თაია ჭინჭარაული, 66 წლ., გათხოვილი არაბულზე. ჩაიწერა გრისტან მახაურმა, 1986 წ.*

*თსუფა №29897*

## 9. ხშიობა ჩირდილში

*საკლავ რო მოოს და მივაყენებთ დასაკლავად ხაგისთვის, ვიგყვით: ხთისგან გამარჯვება შენდა, წმიდაო ხთიშობელო. შენ გადიდას, გაგიმარჯვას ე მოკსენებულით სამსახურით, შენად სამთავროდ, ხთის კარზე მოსაკმაროდ. გეხვეწებიან, წმიდაო ხთიშობელო, ემ სამსახურის პაგრონები, შაიხვეწენ, უშველ, დეეკმარე!*

*ეხლა პირვეარს გამოვისახავთ და:*

დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელსა, მგესა, მშის გამყოლს ანგელოზსა, დიდება დიდ კვირეუს, დიდის ხთის მოკარეუს. ხთისგან გამარჯვება შენდა, წმიდაო ხთის მშობელო, შველდი, სწყალობდი, სცევედი, ხფარევი ავის დლისად, ლალის მგრისად, სასჯელისად, საზიანო საქმისად.

ავღადირებულ ახკადიდი, ბალინჯი, ბირკოლ ჩამოქსნიდი, შინ უშველიდი, უშველიდი, კარს გარეთ გახყვიდი, გაუმარჯვიდი, სახელ-სარგებელს დასწივნიდი, საავენებელს მაარინდი. წულის მეხვეწური იყოს, წული მისციდი, გაუმარდიდი. სხვანი ხთვის შეილნი თუ რას უმრუდოოდან, უწყებოდან, სამადლოს მადლ დაუთხოიდი, საძალოზედა ძალ მაიკმარიდი. ეს გაფხულობაი მშვიდობისა გადმაყრიდი, კარისა-დ' კელ-მკრის ნამაშვრალს ჯვარ დაუწერიდი, ბარაქა დაუგანიდი. შენის მეხვეწურის (სახელი: გიორგის ან სხვ.), ამის ყუდრო-ჯალაფობისა მშველელი, მწყალობელიმც იქნები-დ' მხოიშნებელი!

### ქროსხებაი

რჯულსა კსნილობა ხქონდასა, ჯვარსა კურთხეულობა. კურთხეულ ცია, ღმერთია უფალი, აწჯ მარაგი, თიუკუნის უკუნისამდე წმიდაო, სამდე ძრიელო, სამდე უკდაო, შაგვიწყალენ ჩვენ ყოველნი, სანებაო წმიდაო. შაგვიწყალენ ჩვენ ყოველნი სანებამა წმიდამა, გვაცხონა და გვაკურთხივნა უკჯულოებანი ჩვენნი. გვედრია სული ჩვენი ჩვენს მამასა ღმერთსა, მადლი მოწყალესა.

მამაო და ღმერთო ჩვენო,  
რომენი ხარ ცათაშია,  
აგრე ხოყანათაშია!  
მოგვიშვი და მოგვიტევი  
პური ჩვენი არსობილთა,  
რაც უფალმა მოგვიგანა  
ნუ შეგვიყვან განსაცელესა.

შენი არს, უფო, მცდელო ღმერთო. რა ღმერთსა ძალი, დიდება, მადლობა. თაყონისცემა. შავსწირათ ღმერთსა სხვა დიდება, მადლობა, თაყონისცემა. იადამ გვიღირსულა მაღალთაში ნათქვამი. შენ, ხატო მეუფეო, შენ გვიქსნენ და ჩვენ გვადიდებთ ხოლო კაცისითა, სიმაღალე დადაბლდებოდა, სიდაბალე ამალდებოდა. რა ჟამნი მოსწევნიან კაცთა. მდინარე ცხრომალი ამპარგავანდა. თვალნი მაშ გაგვიქსნენ ჩვენ ცრემლთაკე, ფერკნი ბირკოლობისაკე. მორე მოვიდოდა აღგილსა, იასო ქრისკე ცხოველთაკე. ზორია ფილიკეთა. კითხულობდეს: ძეთა რაღა თქვიან კაცისათა. კურთხება ცოცხლისა კრავისა ჩვენა ღირსია ბოროტის მადლითა, აღდგომითა. აღგა ერი მისა. წაქლეს წინანი წარმატყველნი. ჩვენ საკლავ ამას შავსწირათ. მადლი მამასა და ძესა, ჯვარსა ამასა წმიდასა. ღმერთო იაკვისო და ღმერთო იაკობილთა, მამაო და მამაფლილობელო, რომენმა დაღმოსენ ცანი ღურბლითა, ქვეყანანი მწვანილითა, წვიმა გარდმოამზალე ქვეყანათა ზედა. თესლი შენია, ცხოველი მაცხოვრებო, შენია დლე და შენია ღამე. პავლე მავიდოდა, მაკვდა, ცოლვათა ყრის ჩვენკე. აიებდეს, გაიებდეს ას-თორმეტათ მაციქულთა. უფალო, შენ აკურთხე, ხუთითა ხუდაბურითა ხუთათასნი დაავსენ, ას თორმეტნი დააძლენ. უფალო, აკურთხე თესლი ესია, უფალო, აკურთხე მარილი ესია. უფალო, აკურთხე, სკაი სკანალე,

წყალსი ვარდანე, ღვინოდ გადასცეალე. სამნი მანანი ყარმანი სჭამდეს და იმით არა შეერგინებოდა გაბლისაგან და წმიდისაგან. ქრისტე მეფისა მყოფელო, კმა მათი ამაღალდებოდა, ჯვარწმინდა გარდამაკლებოდა. ღირსება, სათნოება. შაიწყალენ შამწირაენი კელითა მღვდელისითა, სახელითა ხთისათა. ბაღდა დაუარე, ბაღდა დახკალე. არა სჭამე კორც იმისა, არცა დასთხიე სისხლ იმისა. არ გავესნათა ლოცვანი, რომენნიც შაკრულნი არიან პირითა ანუ კაცისითა, ანუ ღვთაკაცისითა, თვითან ფიცითა ხთისითა თარგმანისითა. უფალო ამარქველობის მოქმედო. ღღესა ამას რჯულისასა საკვლელთა სისხლითა სამსახურისითა, სული და სისხლი შენია.

მაიჯენე სამსახური, წმიდაო ხთიშობელო, შენ შენის მეხვეწურისა ამის ყუდროს ჯაღაფისა მშველელი და მხოიშნებელიმც იქნები!

*გამოსტრიან ყელს და იცყვიან:*

მოგვცას წყალობა წმიდა ხთიშობელმა, შაგინახას უზიანოდ კაცითაცა, საქონითაცა!

*ჩირდილი. ხუცესი ნადირა არაბული. ჩაიწერა აკაკი შანიძემ 1911 წლის 17 ივლისს.*

შან. გვ. 50-52.

## 10. ხუცობა მონაგროში

### I მაჰსენება

შენა სამთავროდ იყვას, შენა გასამარჯვოდ, წმიდაო ხთიშობელო ადგილის ღვდაო, ხთიშობლის ლაშქარნო მასაიყენო. მე რასაც გაქსენებთ, გაღიღებთ, თქვენ თქვენ წყალობას ნუ დააკლებთ თქვენ სამსახურის მამკსენეს. მე მაქსენებისად ნუ შამიციოდებთ. ჩემის ქსენებისად ქრისტემ გირსადირსლასთ ჩემ მოქსენებულ სამსახური.

### II პირმსქარი

ღიღება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, ღღეს ღღესინღელს, რჯულ ქრისტეანთისა, მგეს, მგის მყოლთ ანგელოზთ. ღიღება ღიღს კვირაეს, მაღლის ხთის მაკარვეს. ღიღება-ღ' გამარჯვება შენდა წმიდაო ხთიშობელო, შენ შენ მორიგე ღმერთ არ მაგიწყენს შენ ღიღის შაძლებითა, შენ ღიღის გაღენითა. შენს მესვეწურს ნუ მაიწყენ, ნუ მაიძულებ. სცევიდი, ხფარევიდი, შეველიდი, სწყალობდი, ავის ღღისად, ლაღის მგრისად სენისა სასჯლისად, საზიანო საქმისად. თუ რა ეკერძებოდას, ხთის იასკულ კმელთ ბეგრევიდას, კვამლთ თვაღვედას, ყალანს იღებდას, ახკაღიდი, გარღაუგდიდი, ნების ოფლი აუგანიდი, დაძრულ მიწრიელი ქვეციელი დაუღაგმიდი. ავს ღარს გაუღარიდი, ლაღს მგერსთან, მწარე სიკვილისთან თქვენ კაბის კალთა აუფარიდი. სხვან ხთიშვილნი თურას უწყრებოდან, უმრუდებოდან, მაღლი-ღ' ხოიშან მაუთხოიდი, თაუდ პირ-

წაღმა გულწაღმ დაუბრუნდილით. გაფხულობაი მშვიდობით გარმააყრივილით, სთველი ღალიანი მალგვარილით, კარისა მკარის ნამუშაველს ჯვარ დაუწერილით, ხვაი ბარაქა დაუყოლილით, დღეს მოხრილ ჩოქი, მათხილ მადლი, მოკსენებულ სამსახური თქვენ ამ სამსახურის მომკსენეთად, ამით თაყ-ყუდრო ჯალაფობისად, ორფეკ-ოთხფეკისად, ქუდოსან მანდილოსნისად, ბედისა-ღ' ბოლოსად მეშველნი-ღ' მწყალობელნიმც იქნებით, მლხენელნი მხოიშებელნი. ისმინეთ, გაიგონეთ, იკადრეთ, აიგანეთ, ღირსეულად მოიკსენეთ.

### III კურთხევა

ღღესა ქსნილობა ჯვარსა, კურთხეულობა, კურთხეულჩია ღმერთია, უფალა ასგა მარასგის, უკუნის უკუნანდე, ჩვენო მამაო მოვილილებულო, რომელნი ხარ ცათაშია, აგრე ხოყანაშია, მოგვიში და მოგვიგიე პური ჩვენი არსობილითა. რაც უფალმა მოგვანიჭა. მორევი მოვიდოდა, ადგილსა იკითხევენ იასოსა კეზორესა პილი პეგრე უთხრიან. ან ვინ გგონავთ ან ერითა, ან უმერალობითა. თვალნიც იკსნა, ჩვენც გვაცხონა. ღმერთის შას-ლიასისებითა. ხაგო, ხაგო მეუფეო, შენ გვაქსენენ, ჩვენ გადიდებთ ღღესა მაგასა სჯულისასა. თვალნი მალღად არიან მალღისა ხთისანი, წმიდისა ხთიშობღისანი, ხაგისა მაცხოვრისანი. მაგამღ ავაშენენი ეკლესიანი ხთისანი. ხთისათა ეკლესიათა სიგყვა უკვდავის მარიემისა გამოჩინდებოდა. ცნობა ქვეყანათაზედა გამააცხადე თუ რამ იყავ ბნელეთ ჩიგა, ან ბერნი ან უბუნნი ხორცნი უფლისანი, სისხლნი მაცხოვრისანი. ღღადებუნა ბძანებენ ჩვენს წინა მისდგომრდეგი. ახალი რჯული ეგია. მამა ყოფღისა მყოფელი, რომენმა შად-მოსენი ცანი ღურბლითა, ქვეყანანი მწვანილითა, წვიმა გაღაანამზადე ქვეყანათაზედა. წმიდაო, თესლი შენი ცხოველი, ბაბო შენ დაამკისე, ბნელი, ნათელი ერმა უფალმა. უფალო შენ დაამკისე, რომენმაც ხუთნი თასნი აავსვენ ხუთითა ხუდაბურითა. უფალო აკურთხე მარილი ეგია. გაბლა შენ გაღაანამზადე ქვეყანათაზედა. სამნი მონანი ყარმანი სხენა ჭამენ. მაგათ არ შაერგინებისა, არცრა შაეძინებისა გაბღისა დახკლების მეგი. დასთხოვს კორცი იმასა ანგელოზი საღამ-სახურნი აზერებულ ქერებულნი.

ღიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა!

*მოწმარი. ბათირა თაძიას ძე არაბული, 40 წლ., ჩაიწერა თ. ოჩიაურმა 1962 წელს.*

### 11. ქალღმის ღონვა ბჰანში ძიღის წინ კჰღინ წჰხრას

ღმერთო, ღიღო ძღიერო, შენ გაუმარჯვი სამაგანბუროს სალოცავსა-ღ' ღიღს მაგანბურის ღავღათს. ღიღო მაგანბურის სალოცავო, მაგანბურის ღავღათო, მეკეღისწერეო ანგელოზო, სახღის მამაცურო ანგელოზო. თქვენ უშველეთ ჩემთ ჯალაფთ, ჩვენს ღიღსა-ღ' ცოგას. ნურათ ვის ღავგამარცხ-

დაგვაზიანებთ. ღუშმანთ გულისად ნუ დაგვკლით, გვიკსნენით ავისა-ღ' მწარის საქმისაგან!

*M' 32 გვ. 709.*

## 12. მაღლის მოთხოვნა გუდანის ჯვარში ქალაგალ ღასმის წინ

ბერო ბააღურო, დიდო სახმთოო, შენ შამაგძახათავ, გეხვეწებითავ, გამაგვიცხადეო, მაგვეცივ კვალებაი. რომენიც გინდავ მუჯირადავ, აიყვანე-ღაზღევივ უღელივ, ღახევინივ შიბნივ.

*თ. ოჩ. ქუს გვ. 66.*

## 13. მაღლის მოთხოვნა ჯვრისაღ ქალაგალ ღაღგომის წინ მოწგაოში

ღალოცვილო მთავარო ანგელოზო, შამაძახილზე ნუ გამიწყრები, უგი-ღ' უმეტარი ორ, კორციელი ორ. შენ უშველე შენთ ყმათა, შენ ნუ მაიწყენ, ნუ მაი-ძულეღ შენღ სამსახურაღ, თავის სამშვიდობოღ. შენ გამაუცვალი ბედნიერი წელი-ღ' კვალი, შენის ძალითა-ღ' შენის ნებით, ღაზემი, ღალოცვილო, შენ სა-კადრის ღასტური, შენის ნაზემარისა-ღ' ჩვენ მზას ორთ.

*თ. ოჩ. ქუს. გვ. 69.*

## 14. ხუშობა ღა კურთხევა ხახმაბის ჯვარში

### ხუშობა

ღიდება ღმერთსავ, მაღლი ღმერთსავ, ღიდება ღღეს ღღესინღელსავ, რჯულს ქრისტიანთასავ, სამართალს ღვთისასავ, მგესავ, მზის მყოლს ანგელოზსავ, ღიდება ღიდს კვირაესავ, მაღლის ღვთის მოკარვესა. ღვთისაგან გამარჯვება შენღა, გიორგი ნაღვარშუენიერო! მეხვეწე კაც შეიხვეწე, შენ ღა-ღიდებს, გაგამარჯვებს, რჯულიან-ურჯულოსა სალოცაო, შენ მარიგე ღმერთი არ მაგიწყენსავ, არ მაგიძულებსავ, შენ მეხვეწურ კაცსავ შენ ნუ მაიწყენავ, ჩოქ მამხრელსავ, მაღლის მამითხოვსავ, სანთელ-საწირის ღა სამსახურ მამქსენებსავ იმედისა, იმისა თავ-ჯაღაფობასავ, რასაც მქარზეღა გულზეღ გეძახნი-ღავ, იმაზეღ გაუკონიღავ, რასაც წყალობას გეთხოვებოღესავ, ის წყალობა უბოძიღვ, შენ კაბის კალთა ღაუფარიღვი ღაღის მგრისაღა, მწარის სიკვდილისაღ. ამისაღ შემოქციული ღაღ მგერი, მწარე სიკვდილი შენ შეუქცივიღი, გზა უკულმა მაუქცივიღი.

### კურთხევა

ძალო ღვთისაო, მაღლო სამწირველისაო, ღოცვაო სახარებისაო. ღღეს ღირსა ხსნილობა იყოს, ჯვარისა კურთხეულობა. კურთხეულთამცა ღმერთია უფალი აზღა მარაღისა. ამინ. წმინდაო, ყოლო წმინდაო, ძრიელო უკვდავე-ბისაო, შეგვიწყალნა ჩვენ ყოველნი სამებამა წმინდამა, გეაცხოვნა ღა გვა-

კურთხენა. განგულოებაო გავედრია სული ჩვენი, შენ მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა აგრე ქვენათაშია, მოგვიშვი და მოგვიტყევი პური შენი არსობისა, რაც უფალმა მოგვიტანა, ნუ შეგვიყვან ქართა ძნელთა, ხაგო, ხაგო მეუფეო, ჩვენ გადიდებთ შენ, გვიხსენი თვალნი, მაღლა არიან მაღლისა ღვთისანი, წმინდისა ღვთისმშობლისანი, ხაგისა მაცხოვრისანი! მათა მოსწევია ამ კაცთა მდიდართ მცხრემალთ ამპარგინთა, მათა გვიხსენ. ღმერთო ჩვენო, თვალნი შენნი მცრემალნია, ფეხნი ბირკოლებისაკენ. სათნო მავიდა ყოველთა სათნო წინათა ცხოელთ ყოველნი არიან და გამწყრუელოებით არიან და გამოვიდეს, გამოაცხადეს თუ რამ იყო ბნელეთშია, ბერნი ძღურნი, ხორცი უფლისანი, სისხლნი მაცხოვრისანი მობრძანდესად მოღალადეს. რომელი იყოვა, რომელმა გარმოანამზადე წვიმა ქვეყანათაზედ, თქვენია ღმერთო და თქვენია ღმერთო, თქვენ დაამკვიდრეთ ნათელი, ბნელი, თქვენ აგიაროსთ ყოველმა ერმან. უფალო, აკურთხე წინ დადებული ხუთი ხუთთა პურითა, რომელთა ხუთათასნი დაძინა. მან მისითა ნეშტითა თორმეტი აესნა, უფალო, აკურთხე პური მართალი ესე, რომელი სამნი მანანი ყრმანი ისხდეს, სვემდეს და ჭამდეს, მაგათა არა შერგინებოდა ბაღდა. დახერეს, დაუარეს არა ღმერთო, დასთხიეს ხორცი მით, სისხლი მისავათა, არც მხალივით, პირველათ ჩაქენის ანგელოზნია ასერებით აქერებით, თვით ფიცით თარგმანისაით. მართლის მაქმელო უფალო, მოგვანიჭე. ღმერთო, გვიწყალენ მახვილითა შენით, მაწყალეობით ახარე წელი უხარწელი, უხარწელი წერილთა. ზეცით გრედი გარდამოხდებოდა ეგ სიხარულსა მოიგყოდა. თქვენ ჩემნო ძმანო, მტკიცენო, მტკიცედ იყვენით სიონისანო. მე სახელსა თქვენსა ვლმაგობდი, უფალ რასაკვირველია, შენთა სახლთა შენოდა გზათა სიგრძე და სიწმინდე. წინა წინა სანთელი გაბრიელ მახარობელი, მეორე სანთელი ივანე ნათლისა მცემელი, მესამე სანთელი მხამობელი მგალობელი, მამა მაგათი მაკარის პატარუკნი, შეუშრეტელნი, მღუდენი შეურყეველნი. ადე ადამ და ევა ლელუა წირვა ქამისა, ამალდა ძალი ჯვართა.

*„1882 წ. გვილისს. სოფელ ბარში<sup>1</sup> მცხოვრებლისა, ხადია ნებიერის შვილის ქეთელაურის ხუცობა. არის დაწერილი ბერდია გამღივარაულისაგან“ (ფ. არქ. უმიკ., 4167).*

## 15. ხუცობა ხახმატის ჯვარში

მოსხენება

შენამც იდიდები გიორგი ნაღორმშენიერო, რჯულიან-ურჯულოთ სალოცავო, გიორგის მოღენო, თქვენ გადიდნათ ღმერთმა, თქვენ გაგიმარჯვასთ, მაქსენებულსა სამსახურსა ამართლებდეთ გარბებულსა სანთელ-ბარშიმშედა. თქვენ მეხვეწურს ციცინოს ნუ მაიწყენთ და ნუ მაიძულებთ. რასა მკარზე და

<sup>1</sup> ალბათ სოფ. ბისო (შემდგ.)



გულზე გეძახნით, იმაზე გაუგონიდი, რასა წყალობას გეგყოდინან, ის წყალობა უბოძვიდი, წალმ დახყევი, კელ მაუმართე მთაშია, ბარშია, გზაშია, მგზავრობაჩი. დაგიწერასთ ჯვარი შღვენსა, სამსახურსა. ხსენება დიდებასა გარიგებულსა სანთელ-ბარზიმთა, ისმინე გაუგონე.

### ხუცრობა

დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელსა რჯულ ქრისტიანთა, მზესა და მზისა მყოლთ ანგელოზთა, დიდება დიდ კვირაეს მადლის ხთის მოკარვესა. ხთისაგან გამარჯვება თქვენდა ნაკსენებნო ანგელოზნო, მანდილოსნებისად თვალ-გულის მძღვეველნო, თქვენ თქვენი გამჩენი მარიგე ღმერთი გადიდებთ, გაგიმარჯვებთ, არ მაგიწყენთ, არ მაგიძღვებთ, რასა მკარზე და გულზე გეძახდანთ, იმაზე გაუგონიდი. რასა წყალობას გეთხოვებოდანთ, იმ წყალობით გაიკითხვინიდი, მარიგეს ღმერთსა-ღ' დიდ კვირაეს შაახვეწინიდი. სნეულზე შამაგძახდანს, სნეულს ულხინდი. დაღირებულს მარკე აკხადიდი, გადაუგდიდი, ქვეცრიელ-მიწრიელ დაუღაგმეიდი, საძაღვე ძალ მაუხმარიდი. სამადლო მადლ-ხოიშან დაუთხოიდი. მახრილი ჩოქი, მათხოილი მადლი, მაქსენებული სამსახური, სანათლაგი, გარიგებული სანთელ-ბარზიმი თქვენა სამთავროდ, თქვენა გასამარჯვოდ ხთის კარზე მასახმარად. თქვენ თქვენი მეხვეწურისა-ღ' ციცინოსა, მაგის ყუდრო-ჯალაფობისა-ღ' ქულოსან-მანდილოსნისა მეშველი, მწყალობელნი, მღხენელნი, მხოიშნებელნი წალმა დამყოლ იქნებით.

### კურთხევა

ძალო ხთისაო, მადლო სამწირველო, ძალო სახარებისაო, დღეს დღისა ხსნილობაია, ჯვარსაო კურთხეულობა კურთხეულთა, მწიო, ღმერთი უფალი ვარ და მარადითია უკუნეთი უკუნისამდე. ღმერთო წმინდაო, ძლიერო უკვდავებისაო, შაგვიწყალენ ჩვენ ყოველნი სამებაო, წმინდაო, წმინდაო შაგვიწყალენ ჩვენ ყოველნი სამებამან წმინდამან გვაცხოვნა და გვაკურთხა, ურჯულოებაო ურჯულოთა, გამგულოებაო დამკულიდა, გაავედრია შე მამაო ღმერთო ჩვენო, რომელნი ხარ ცათაშია, ეგრე ქვეყანათაშია, რომელი ხარ რომელმან დამმოსენ ცანი, რომლითა დეღამიწანი და მილითა რომელმა განმამზადნე წვიმა ქვეყანათა ზედა, ცხოველი შენია, მაცხოვრებაო, შენია დღეთა, შენია ღამე, შენ დაამკვისენ ბნელი და ნათელი. შენა გიარა სხოველმა და ორმა უფალმა. უფალო აკურთხე ხუთი და ხუდაბურითა ხუთათა, აზლი დაუშვენა და მისთა ნესკითა უფრო მეგნი დააწყე. უფალო აკურთხე თესლი და მარილი ვისი, სკანი სკანარე, წყალს იორდანე, ლეუინო და არ მასალე, უფალო აკურთხე სამნი მანალე ყარმანი, ის ჟამთ მაგითარეშე ირბინებოდა, ბაღდა დაკლეს და უარეს სარა. ჭამეს და თხოვეს ხორცი მისა სისხლი მისა ვითარცა მხალი ოჩეკაენი ანგელოზნი ოსირებითა ქერებითა თვით ამ მისითა მეორთველი მაქ მე უფალო მაგვანიჭე ქრისტეო კურთხევა დასწერე ჯვარი.

**მოსხმენება**

ნაკსენებ ანგელოზთ დავლათ გწყალობდასთ, ციცინო, გიშველასთ, ხალიმ მაგცას, ბალინჯ მაგაშორასთ, რასა მკარზე, გულზედ ეძახთ, იმაზე გაგიგონათ. შენ თავზე შენ ყუდრო-ჯალაფობას დანამადლებ ნუ დაგიკარგავსთ. თქვენ გწყალობდასთ, კარგად იყვენით, წალმ დაგყვათ.

*ხახმატი. ხუცესი სუმბაგა აპარეკას ძე ალუდაური, 63 წლ. ჩაიწერა მაგნიტო-ფონზე ბურაბ კიკნაძემ. 1980 წლის ივლისი.*

თსუფა № 29895

**16. მოსხმენება ხახმატის ჰპარში**

თქვენა სამთავრო იყოს, თქვენა გასამარჯვო, გიორგი რჯულიან-ურჯულთ სალოცავო, გიორგი ნაღერის პირისაო, თქვენ მეხევეწურთ ნუ მაიწყენთ, ნუ მაიძულებთ, რასაც მხარზე და გულზე გეძახანთ, იმაზე გაუგონილით, კარისა მკარის ნამაშურალს ჯვარ დაუწერილით, ნიეთი-ბარაქა დაუტანილით, თუ რას სხვა ანგელოზნი უწყებოდან, უგულმრუდოდა, წალმ გაუარადით, ლხენის წამალ დააყარილით, რასაც მე ჩემ ენა-პირით კსენება-დიდებას დაგაკლებთ, თქვენ თქვენ წყალობას ნუ დააკლებთ. უშველეთ, უშველეთ, საქსრა აიღეთ სახოიშნოდ, ნაქადაგებ არ უმტყუენებავის, შეძახილ გაუგონილით.

*გამარჯეება. თოთია ალუდაური, 74 წლ., ჩაიწერა ლელა არაბულმა, 1991 წ.*

თსუფა № 29898

**17. ხუნოზა ხახმატის ჰპარში**

დიდება და გამარჯეება ძალ-ღვთისას, სამართალს კვირიასას. ძალი ღვთისა გწყალობდეთაჲ და სამართალი კვირიაესა. ამ ხატის მლოცავთ, ქედოსან-მანდილოსანთა, ჰურს მოგიმაგასთ, წულს მოგიმაგასთ, კაცსა, საქონსა დაგვეშველასთ, დაგიფარასთაო, კვლავ კეთილის გულით მოგიყვანასთაჲ ხატმა თავის კარმედაო. დიდება და გამარჯეება ამ კოპალის ჯვარსაო. რომელნიც ამის ნათავარზედ დიდდა და ხსენდაო, იმის წყალობა თქვენ გქონდეს თავ-მელამისთეფრო, მამა-შეილნო, ძმანო! დიდება ახსენება, ღამის თევზა. სიხარულით გაგიხადოს რას წყალობას ეთხოებით, ის წყალობა გიბოძოსთ, გიშველოსთ ლალის მტრისად, მჟარის სიკვდილისადაო. საღმთოდ მოგახმაროსაო, თქვენი თავისი სახსრად და სახოშნელადო.

ვილოცეო, კაითამ დაილოცე. ამ ხატს დიდებაო, თქვენ თავს წყალობაო. ვილოცეო, ღვთისამც პირითამც დაილოცებითაჲ. დასტურნი, მსახურნი,

უფროსი, ღმერთმა სკუმარ გიცოცხლოსთავ, სოფლელებო! თქვენ თავ დაულო-  
ცასავ მასპინძელსა ღმერთმაო.

„ივერია“, 1889 წ. №271.

## 18. ხსენება ხახმატის ჯვარში

დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელსა რჯულ  
ქრისტიანთა, დიდება მშესა, იმის მყოლს ანგელოზსა. შენად სამთავროდ, შენად  
გასამარჯვოდ, ძალო ღვთისაო, ძალო წმინდა გიორგი კოპალესაო! შენ გეძ-  
ახიან, გეხვეწებიან, შენ ნუ მაიწყენ და ნუ მაიძულებ ქრისტიან ხალხსა, შენსა  
მლოცავსა. დიდება შენდა, გმირო კოპალეე, შენ გეძახიან და გეხვეწებიან ეს  
სამსახურის პაგრონები, ქედოსან-მანდილოსანი.

დაეხმარიდი ავის დღისად, ლაღის მტრისად, მწარის სიკვდილისად. წული  
ვის ყავდეს, გაუმარდო, არა ყავდეს-და თუ ვინმე გეხვეწებოდეს, ღმერთსა და  
კვირიეს გამოუთხოვეო. სნეულ ვინ ყვანდეს, უღბნიეო და ღვთის წამალი  
დაუყარეო; მაცილი დააშორეო, დაფარეო. ველთ ვინ გავიდოდეს სახლიდგა-  
ნო, მეველე, მონიღირე, გაპყვიო, გაუმარჯვეო. მტერზედ სახელი მიეცითავე,  
ნადირზედ ვარშამიო. მაგათზედ შამოქცეულსა ლად მტერსაო და მწარე  
სიკვდილსაო გზა უკუღმა უქციეთავე. წმინდაო გმირო კოპალავ! მაცილის საქმე  
ელირებოდეთ მთასად და ბარად, მაცილს დააშორიდი, თუ სხვები ანგელოზები  
უჩიოდნენ, მაღლი დაუთხოვე, ანგელოზებს სამსახური აართვი და ღვთის კარ-  
ზედ საქრთამოდ შაართვი. სხვანი ღვთის შვილი თუ რას უწყებოდნენ, მაღლი  
ხოეშანი დაუთხოვე. თითონ პირ-წაღმივ და გულ-წაღმივ დაუბრუნდი, უშ-  
ველიდი. სახელიან სამსახურ ხთის კარს შაიგანდი. ხთის კრით თუ რა იასაული  
ხთის ბრძანებით გამოვიდოდეს, გმირო კოპალეო, შენით სარდლობით ხორ-  
ციელზედ ბრუნდებოდეს, ამით ყუდროს-ჯალაფობას, ნუ მაპკერიდი. ეკერძე-  
ბოდეს, ახლიდი, გადაუგლიდი. ავ საქმე მათზედ კეთილად მოუქცივიდი. დაწუხე-  
ბულს უშველიდი, შენით მღვენთა და უღუფად შეემაგების. თქვენ თქვენის მეხ-  
ვეწურისა, ამათ ჯალაფობისა, კაცსა, საქონლისა, მანდილოსნისა მეშველიმც  
იქნები.

„ივერია“, 1889 წ., №271.

შენიშვნა: დ. გორელის სიგყვით, ეს ლოცვა დეკანოზს წაუკითხავს ხახმატის, ანუ  
კოპალა ათენჯის ჯვარში ათენჯენობა დღესასწაულზე. იგი ასე აგვიწერს ხუ-  
ცობის მომენტს: „დეკანოზმა აკურთხა ლუდი: აიღო ხელში დროშა, შესდგა  
მადლობ ადგილზედ, გაიჭიმა წელში, გადიგრიდალა მეცისკენ თვალები და დაი-  
წყო სახარების კილოზედ, გაჭიანურებული და მოსაწყენი ხმით ლოცვა“.   
გაუგებარია მხოლოდ, თუ როგორ მოხდა, რომ გაივიწყებულია ორი სხვადასხვა  
– ხახმატისა და კოპალას ანუ კარაგის ჯვარი (ვერა ბარდაველიძე).

მსე გვ. 19-20.

## 19. ხუმრობა ხახმაზის ჯვარში

დიდება ღმერთისა, მაღლი ღმერთისა, დიდება და გამარჯვება შენდა! რაც ღვთის დანაბადია, გეხვეწები შენ, შენს ბატონობას. შენ მორიგე ღმერთო, არ მოგვიწყინო! შენს მეხვეწურსა, ჩოქის მომკრელსა, მაღლის მომთხოვნელსა შენ ნუ მაიწყენ, ნუ მაიძულებ. რაც რომ გულზედ და მხარზედ გიძახებდეს იმაზე გაუგონე. შენ შენი ბატონი, შენ შენი მორიგე ღმერთი არ მოგიწყენს მეხვეწურსა, ჩოქის მომყრელსა, მაღლის მამთხოვნელსა, ველთ გასულს გიძახოდეს, შეიხვეწე, მგზავრობა მშვიდობისა მიე, აუღარს გაუღარე, ლაღს მგერთან ჩაუფარე, მიწრიელ დაულაგმე, შინ მშვიდობით მოიყვანე. თუ რამ გამოვიდოდეს ღვთის კარზედ გამოშვებული — ღვთის იასაული: ხორციელთ ჰბეგრევედეს, ყალბანს ზიდევდეს, მაგის ყუდროს ნუ მიჰკერძებ, სხვა ყუდრო ალაგს მისაწავლე. შენ შენის ბატონობის მოხრილი ჩოქი, მოთხოვნილი მაღლი შეიურე. რაც მხარზედ და გულზედ გეძახებდეს კაცისა, საქონლისა ნამურალ-ნამუშევრისა, მეშველი და მწყალობელიც იყავი.

„ივერია“, 1879 წ. №9, გვ. 145.

## 20. ხუმრობა საკლავის ღაკვლის წინ

დიდება შენდა გიორგივ რჯულიან-ურჯულთ სალოცავო, ნაღვარში მამურთალო! დღეს შენი გამჩენი ღმერთი არ მაგიწყენს, შენ მეხვეწართ ნუ მაიწყენ, დღეს ჩოქის მომხრელთა, მაღლის მამთხოვთა, სამსახურებ შემავსებელთა. რასა მკარზე და გულზე გეძახდან, ის წყალობა უბოძვიდითა, მარიგეს ღმერთისა, დიდსა კვირას გამაუთხოიდითა. სინანულს თუ გეძახდან, ულხინიდითა. გაჭირვების დღეს თუ გეძახდან, გახყვიდი, გაუმარჯვიდი, სახელსარგებელს დაახმარიდი.

შენ სამთავროდ, გასამარჯოდ, გიორგი რჯულიან-ურჯულთ სალოცავო, შენ მეხვეწურთ შენ დავლათ დაახმარე.

ხახმაგი. ხუცესი ბ. ქეთელაური, ჩაწერილია ათენგენობაზე.

მსე გვ. 12.

## 21. ხუმრობა საკლავის ღაკვლის წინ

ხთისგან გამარჯვება შენდა, გიორგი ნაღვრისპირისაო, რჯულიან-ურჯულთ სალოცავო. შენ შენი გამჩენი ღმერთი გადიდებს, არ მაგიწყენს, არ მაგიძულებს.

მარიგეს ღმერთისა და დიდს კვირაეს გახვეწებთ, თქვენ უშველეთ თქვენს მეხვეწურთ, საწაღმართო ანგელოზნ დაყოლეთ, ეს ზაფხული მშვიდობით

დამდგარ შვილობით გადააყენეთ; თუ რა ხთვისკრივ გამოლიოდა საჯერ-საზიანო საქმეი, ნურას მახკერძებთ ნების ოფლ ალებით.

შენამც სამთაერო, შენამც გასამარჯვო, გიორგი ნაღერის მებურთალო.

სახმაგი. ხუცესი გ. ქეთელაური, ჩაწერილია ათენგენობაზე.

მსე გვ. 12.

## 22. მოსხენება სახმატის ჰვარში

ქალის წაყვანა რიბუალში

ღმერთმა აღიდას შენი ძალი, შენ სახელ-სამართალი, დიდო კაკმაგის ჯვარო, გიორგიე ნაღორშეენიერო, რჯულიან-ურჯულიოთ სალოცაო, ქაჯეთის გამბეგრანო. შენა სამთაეროდ, გასამარჯოდ მოიქმარი ეს სეფე-სანთელი, გარინგებული, შენ შენ მესხეწურთად, ქალისა, ვაჟის პაგრონის სამწყალობნოდ, სასოიშნოდ ხეთისკარზე შაიგანი, ნუ რას შაანანებ, დალოცვილო. ქალი, ვაჟი აბეღიანენი, ადავლათიანენი შენის სახელის სადიღებლადა, საკსენებლადა.

ღამწყალბნება

გწყალობდასთ კაკმაგის ჯვარი ქალისა, ვაჟის პაგრონს, თაჟის ბედი, დავლათ დაგაკმარასთ, ნუვის თვალ-გული მაგრივასთ. ქალ-ვაჟ აბეღიანას, ადავლათიანას. თქვენ მაგცასთ წყალობა ყურით მაყურებელს, ქუღიანსაცა-ღ' მანდილიანსაც.

აღ. ოზ. სტუმარ. გვ. 112.

## 23. ჰვართი საღიღეპელი ჰიქა-ბარძიმზე

წინა ჰიქა-ბარძიმზე, მალალო ღმერთო, შენ გადიდას.

მეორეს ჰიქა-ბარძიმზე, დიდო კვირაე, შენ გადიდას.

მესამე ჰიქა-ბარძიმზე, წმინდა გიორგიე, შენ გადიდას.

აემ ჰიქა-ბარძიმზე, კვირე თელის ანგელოზო, შენ გადიდას.

აემ ჰიქა-ბარძიმზე, ლალო-ლახტიანო, შენ გადიდას.

აემ ჰიქა-ბარძიმზე, სანება კმელისგორისაო, შენ გადიდას.

აემ ჰიქა-ბარძიმზე, თეთრო გიორგი მინლორისაო, შენ გადიდას.

აემ ჰიქა-ბარძიმზე, გიორგის თავალო, კელო სამძიმმარო, შენ გადიდას.

აემ ჰიქა-ბარძიმზე, სთიშობელო ადგილის დედაო, შენ გადიდას.

აემ ჰიქა-ბარძიმზე, კმალო თავარანგელოზო, შენ გადიდას.

სახმაგი. ა. ქეთელაური, ჩაწერილია გ. ჩიგაიას მიერ.

მსე გვ. 27-28.

## 24. სალიბელო

პირველ ჭიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, მაღალო ღმერთო.  
მეორე ჭიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, კვირია მაღლიანო.  
მესამე ჭიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, გიორგი ნაღ-  
ვრისპირისაო.

აემ ჭიქა-ბარძიმზედა თქვენ გადიდათ, გაგიმარჯოსთ, კვესურეთულნო  
ხთიშვილნო.

გიორგივ, გიორგის ლაშქარ-ამაღნო, თქვენ გადიდათ ღმერთმა, გაგი-  
მარჯოსთ.

*სახმაგი. ხუცესი გ. ქეთელაური, ჩაწერილია ათენგენობას.*

*მსე გვ. 28.*

## 25. ხუმრობა

შენამც იდიდები, რჯულიან-ურჯულით სალოცავო გიორგივ, მოდენო,  
ხელო სამძიმარო, თქვენამც იდიდებით მაკსენებულ სამსახურებზე, მაგ გარი-  
გებულ ჭიქა-ბარძიმზე, სანიელ-სალაღებულზე, თქვენ თქვენი გამჩენი მორიგე  
ღმერთი გადიდებით, გაძრიელებთ, არ მაგიწყენთ, ნუ მაგიძულებთ. რასაც  
მკარზე და გულზედ გეძახანთ, იმაზე გაუგონილით, რასაც წყალობას გეთხოვე-  
ბოდან, იმ წყალობით გაარიგინი. მარიგესა, ღმერთსა-ღ' დიდ კვირავს გა-  
მაუთხოიდი; სნეულზე შამაგაძხნ, მაგათ ყუდროზე სნეულს ულხინიდი. საძა-  
ლოზე ძალ მაიხმარიდი, სამადლოს მაღლი ხოიშან მაუთხოიდი. გაეილოდას მა-  
გათ ყუდროში, გახყვიდი, გაუმარჯვიდი, სარგებელ საქმეს მიაყენ. ხთის ია-  
საულნ გადმადიოდან, ხორციელთ ბეგრევდას, ყალანს ილებდან, თქვენ მეხ-  
ვეწურთ ყუდროს ეკერძებოდას, ნუ მოგერიდი; მოკერძებული, დაღირებულ ავ  
საქმე უმქარვიდი, მშვიდობით დამდგარ ეს მაფხულ მშვიდობით გადმაყრიდი;  
სთველ ღალიან-ბარაქიან ჩამაუყენიდი, კარისა-ღ' მკრის ნამამშვრალს, ნო-  
ფლარს ჯვარ დაუწერიდი, კარ-მელაღაგე მაუშორიდი, წულისა მეხვეწურები  
იყენან, მაგათ ყუდროში წულს მაუმაგიდი, კაცსა კაცრიველობას. ორფეკ-  
ოთხფეკისა, ქულოსან-მანდილოსნისა, მამშვრალ-ნამუშაურისა მეშველი-  
მწყალობელი, მლხენელ-მხოიშნებელი, წალმ დამყოლ იქნები.

### ქართული

ძალო ხთისაო, მაღლო სამწირველო, საოლო საო საყვარელო საო დღესა  
ხსნილობაია ჯვარსაო. კურთხეულობა კურთხეულთა, მცირე ღმერთია უფალი  
აწ და მარადითი უკუნისამდე, მიარქვე ქვეყანათამია, მაგვიხველ და მაგვიწიე  
პური ჩვენივ რაც უფალმა მაგვიგანა, მაგვიხველ და მაგვიწიე, ნუ შავგასხვე  
მხარსა შენსა, ხაგო, ხაგო მეუფე შენ გვერდითი თვალინივ ივანე ნათლისანი  
ჯვარი ხაგისა მაცხოვრისანი... და ა.შ.

*ბისო. ხახმაგის ჯერის ხუცესი ვეფხია ქეთელაური 70 წლ., ჩაიწერა ხეთისო მამისიმედიშვილმა მაგნიტოფონზე, 1994 წლის 23 ივლისი.*

ოსუფა № 29902

## 26. ხუნობა ბაშოს ბორბი

ღმერთო მაღალო, ღმერთო მამაუფალო, ღმერთო, გადიდას და ღმერთო, გაგიმარჯვას. მაღალო ღმერთო, ცარელის დამხურავო, მზე-მთვარეთ გამჩენო, ხმელეთის დამაარსებელო, ხორციელთა სულის ჩამდგმელო. შენ გადიდას, მაღალო ღმერთო, ძალო ხეთისაო, ძალო და მაღლო კვირეისაო, გაუმარჯოს თქვენს ძალსა! მაღალო ღმერთო, ნუ ჩამაგყარას ხმელეთით ხორციელთ შამოძახილი, ვედრება და ხეწნა, მამაუფალო, მაღალო ღმერთო. ნუ მოჰკერძებ საზიანო საქმეს თქვენი სახელის მძახებელსა, თქვენ მორჩილსა, თქვენ მოწყოლსა, თქვენ ამჰსენებელსა.

შენ გადიდას, შენ გაგიმარჯვას, ძალო ხეთისაო!

გვაპაგე ხორციელთა უცოდრობაი, უმეცრობა. თუ დაღბადენი ხთიშვილინი მოძმენი, მოთანახმენი ერთურთისანი, მაულოცენ ყმანი ყმადა, მძლოლნი მძლოლად, მაულოცე გმირს კოპალასა საგმიროი, იუდის ბადის საგლეჯელი, ოქროს ვარსკვლავიანი, ნულარ ჩამოჰყრო.

იხთიშნებთან თავის საყმონი, მამაუფალო, ძალო ხეთისაო, ძალო და მაღლო კვირეისაო! თუ მაულოცე ძალი და შაძლებაი საგმიროი, არ მაღრიე იუდასა, იუდის მონაწილეი, ჭლიკე-უკულმართი, ხეთისგანამც გაგემარჯვების, გმირო კოპალაო, ბერო ბეგთრიანო, ხეთისგან ძაღმოლოცვილო, ხეთისგან გამარჯვებულო, ოქროს ვარსკვლავიანო. არ მოგიწყყენს მორიგე ღმერთი, არ ჩამოგყრის ძალა-დიდებასა, ძაღას ძალაზე მოგიმაგებს, სამართალს სამართალზე მოგიმაგებს. გმირო კოპალაო, ცათა სწორო, მძლეო მძლეოთაზედა, გაგიმარჯვას ნაწირი ეამითა, აშუქებულ სანთელ-კელაპრით. გეძახსა და გეხეწების, ხორციელთ პირის საჰსენებელო, შენ საყმო, შენ ქარავეანი, სამთო-საბაროით მოსული, მოლლილი. ნუ შაანანებ შენს კარზე მოსვლასა, ძღვენ-სამსახურის შამახდენასა შენ დანდობილთა, შენ ალაღ-მართალთა, ქუდოსან-მანდილოსანთა. ნუ მაიწყენ, წმინდაო ბერო კოპალაო, ცითა, ღეღამიწითა, კაცის ხელითა, ბუნებრივ მოვლენითა, გადაუქარე, გადააგდი სხვაზე, თქვენი სახელის მძახებელზე ურწმუნოზედა. შენ ალაღ-მართალთა, შენ გორის ქარავენსა ჯვარი გადმოსწერე, წყალობა მიაგეუ და წყალობა გააყოლე, გასამრდელი გაუმარდე, უნაწილოს ნაწილი მორიგე ღმერთს გამაუთხოვე, ყმათ მაუმაგე, გვარი გაუგრძელე, ქალ-დისწული უცოცხლე.

მორიგემ ღმერთმა დაგიწერას ჯვარი აშუქებულ სანთელ-კელაპარსა, გარიგებულ ჭიქა-ბარძიმსა.

აკუშო. ხუცესი გიორგი ვეფხვიას ძე ლიქოკელი. 70 წლ. ჩაიწერა გრისცან მახაურმა 1986 წელს ბაშოს გორზე.

თსუფა № 29904

## 27. ხუსობა სიხეგორს

ძალო ხთისაო, მაღალო ღმერთო, ქვეყნიერების, სამყაროს დამდგინეო მამაუფალო. ძალო ხთისაო, მაღალო ღმერთო, ძალო და მაღლო კვარისაო, მობაღდადეთა გადმოუშეით მიწაზე გმირი კოპალა, მაულოცეთ ძალი და შაძლებაი, აჩუქეთ ოქროსვარსკველავიანი საგმირო, იუდის ბადის საგლეჯელი, მისცენით ყმანი, მისცენით მსახურნი. მაღალო ღმერთო, მაულოცენით გამძღონი, კევისბერნი, დასგურნი, სამთო-საბაროი ჩააბარეთ, ვარნახი, ქვათა-ხოლაბური, თეთრაული, განძაული, ბულაურნი, ბორაყნი, ზარ-სარეკელნი. მაღალო ღმერთო, დაუწერე ჯვარი საყმოს, დაუწერე ჯვარი ქარავანს, ქუდოსან-მანდილოსანს. გაუმრავლე, ძალო ხთისაო. მაღალო ღმერთო, ხთისგანამც გაგემარჯვებათ, გმირო კოპალაჲ, გორო გვერდციანო, იუდის გადამსხვავებელო, არ მაგიწყენს მორიგე ღმერთო, არ ჩამაგყრის ძალსა დიდებასა, შენ ნუ მაიწყენ, შენ სახელ-სამართლის გამარჯვება ჰყავ. შენ საყმოს, შენ გორის მლოცავს, შენ ქარავანს წყალობა მიაღებინე, წყალობა გააყოლე, ნუ ჩამოგერთმის ხთისგან ნაჩუქარი საყმოი. შენს იმას მიემატების დიდება, შენ თეთრაულს, განძეულსა. რასაც მე ჰსენებას დაგაკლებ, შენ შენს წყალობას ნუ დააკლებ შენს საარსოში მუხლ-ჩოქის მომხრელთ, მაღლის მამთხოეთ, შენ მძლოთ, შენ მუჯირთ, შენთ გამძლოთ, საყმოს მიეც წყალობა, შენ სახელ-დიდება, გამარჯვება. დაუწერე ჯვარი თავის მამკვლავარში შენს ციხეგორს იუნზდათ წართმეულს. დიდება შენს ძალსა და შენ სახელ-სამართალსა.

დაგლოცავთ. წალმ გააყოლე ყველას შენი წყალობა, ათასი მაღლი, მუღამ გამარჯვება შენი.

– ამინ!

– გწყალობდეს!

ციხეგორი. ხუცესი გიორგი ვეფხვიას ძე ლიქოკელი, 70 წლ., ჩაიწერა ხეთისო მამისიმედიშვილმა მაგნიგოფირზე 1993 წლის ივლისში, ციხეგორს.

თსუფა № 29906

## 28. საყინოს ღალოცვა სიხეგორს

გადიდას, გაგიმარჯვას, ბერო კოპალაო. ამ საყინოზე შენ უშველე შენ ერთგულ ყმათა, შენ გორის ქარავანსა, შენ მლოცველსა. წყალობა მიაგებე, წყალობა გააყოლე შენ გორზე მამსეულ-წამსეულსა.



მლოცავნო – ქულოსანნო, მანდილოსანნო, წყალობა მოგცასთ ბერმა კოპალამა, ჯვარ დაგიწერასთ ბინადრობას, მასაღეჲვარ გაგიმრავლასთ. მრავალს შეესწევრ ათენგუნობას ჩვენის კოპალას დახმარებით.

გემარჯვას გმირ კოპალას, წადმართ მაგიარასთ!

*ცხეგორი. ხუცესი გიორგი ვეფხვიას ძე ლიქოკელი, 70 წლ., ჩაიწერა გრისტან მახაურმა 1981 წელს.*

თსუგა № 29905

## 29. ხსოვბა პირაქუშის ჯვარში

შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, პირქუშო ცეცხლის ალიანო, მოკენებულ სეფე სანთელზედა, ნათელ-ბნელზედად წაუე ღამეზე. სამთავროდ, გასამარჯოდ შენდა. სეფე-სანთლისად სადიდებლის მამკსენეთ შენთ ყმათა-ღ' შენთ დასგურ-მსახურთ ნუ მაიწყენ, ნუ მაიძულებ. შენ დაეღათ დააკმარი, უმველი, უმეშელი რასაც მხარზე და გულზე გიძახებდიან, იმ გულზე გაუგონიდი. რასაც წყალობა გეთხოვებდიან, ის წყალობა უბოძიდი. შენს მორიგეს ღმერთს გამაუთხოდი. დიდება შენს ძალსად, შენს სახესად.

### პირის ძარი

ა-ა-ა-დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელს ძალას ღვთისას, ძალას კვირაისას! დიდება სჯულს ქრისტიანთას, დიდება მგესა, მშის მყოლთ ანგელოზთ! დიდება დიდს კვირაეს ხთვის მაღლის მოკარვეს. დიდება შენდა, პირქუშო, გამარჯვება შენდა ამ სეფე სანთელზედ, სადიდებელზე, ნათევს ღამეზე. ღმერთმა გადიდას, ღმერთმა გაგიმარჯოს, შენ მეხვეწურთ ნუ მაიწყენ, შენ შენ გამჩენ ღმერთი არ მაგიწყენს, არ მაგიძულებს. შენი დიდი შაძლებით, გავედით გაიყვანეთ თქვენ მეხვეწურნი. ამ სამსახურის მამკსენეთ, შენთ ყმათ ნუ მაიწყენთ, ნუ მაიძულებთ, ხვარევედით, შეელოდითა-ღ' სწალობდით, ავის დღისად, ღალის მგრისად, მწარის სიკვდილისად, საზიანოს საქმისად, სენისად, სასჯელისად, ყოველისად, თქვენ კაბის კალთა დააფარიდით, თუ რა შაგცოდვან ან უღირსლობით, ან უმეცარობით, ან პირის ქართა, ან ფეკის ნალითა, ყმა შაუწყენი, ბაგონ შაუნდობარ არ იქნების. თუ რა მეეკერძებოდას საზიანო საქმე, გადაუგდიდით, მიწრულ-ქვეცრიელ დაულაგმიდით. გულის ნაგონარ გაუცხადიდით, მამთრობა მშვიდობით გადააყრივით, გამაფხულ, სთველ მშვიდობისა ჩამაუყენიდი, წელ-ბედნიერ გამაუცვალიდით, კაცსა კაცრიელობას მალმაგიდით, მაგათ ყუდროჩი ღონესა, ქონეს მაუმაგიდით, წულსა, წულის აკვანს მაუმაგიდით, თქვენთ მღვენთა დიდებას მამემაგების, თქვენთ მღვენთა, ულუფათ მაუმაგებთ. დღეს მახრილი ჩოქი, მათხილი მაღლი, მაქსენებულ სამსახური, შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ, შენა მასაკმაროდ. შენთ ყმათად ბაცალიგველთად, მაგათ ყუდრო-

ჯალაფობისად, კაცისა, საქონისად, ორფეკ-ოთხეკისად, ქულოსან-მანდილოსნად, ნაშერალ-ნამუშაველისად მშველელი-დ' მხოიშნებელიმც იქნები, ისმინე გაიგონე. დიდება ძალსა დ' სახელს შენს.

### ქართხმვა

დღეს რჯულსა კსნილობაი ჯვარსა კურთხეულობა, კურთხეული-სია ღმერთ-უფალი სამარაგია უკუნისამდე წმიდაო, ღმერთო წმიდაო, სამებაო წმიდაო, შაგვიწყალენ ჩენა ურჯულოებანი გამეულა და გავედრა სულნი ჩვენნი, ღმერთსა მამასა, მამაო და ძეო, რომენი ხარ ცათაშია აგრე ხოყანათ-ჩია, მაგვიში და მაგვიგეი პური ჩენი არსობილთა რაც უფალმა მაგვიგანა, ნუ შაგვასხამ განსაცდელსა. შავსწირავ ღმერთსა. ხაგო შენი მოხუცებულობით, ხაგო ნათქვამი შენზე იყო, შენ გვიქვენ ჩვენ გადიდებთ თვალნი არიან მაღლის სთისაგან, ხოლო კაცთა რა უამი მასწევია, კაცნი მცხრომელიდა არიან. ღიჩინნი ამპარგავანნი ფეკნი ბორკილებისკენ, საგანო მავიდა ყოველსა წინასა სიე ცხოველასა, რაგო ვერ იცნა ღეღამა. თავი პეგრეა სთისამოწამე. არსიენი შაშინებულან, არსიენი შაკვირებულან. გალილუას და ეგყვიან, მორე, მორე მოდიოდა ადგილსა ამას. იესო ქრისტე ფილიპე ფერასა ვითხულობდა, ჩვენდა რაღა თქვიან ღეღაკაცისად? პეგრეა უთხრეს. ეგე ვინ გგონია: ნუიმერა, მერეენელია, თავიც იქნა ჩვენ გვაცხოვრა, იმაზედ ავაშენეთ ეკლესიანი, ეკ-ლესიას სთისაო, შენი უკვდავი სიგყვას, უკუდავი მარიემისაო, რაგო გამიჩინ-ღებოდა ვითართა კაცთა შორით ექცეოდა, კაცნი უწმუნოებით არიან წმიდანი. გამე, გამააცხადე თუ რამე იყო ბნელშია, კორცნი უფლისანი, სისხლნი მაცხოვრისანი ღაღადებენ და ბრძანებენ ჩვენ წინანინ დავდიეთავ ახლის რჯულია. სამსახურა სიგრძით მახენეთ იწამეთ ღმერთი. მამაო ჩვენო, უფილო ჯერ სთისა შობილო, მამისა გამაშობილო. მამისა კი ეგრე ბრძანებდა: რომენი შაღმოსენ ცანი ღრუბლით. ხოყანანი მწვანილითა. რომენმან გადანამზადე წვიმა ხუანათამედა. თესლა შენია ჩვენო ჩვენო მაცხოვრებაო, დღეც შენ დაამ-კვიდრე ნათელი, ბნელი შენა კი არა ერმა უფალმა, უფალო აკურთხე მარისე რიოდანე, ღვინო გარდასცვალე. ბაღდად დახვეულ არა შჭამე. დასთხიე სისხლი მისა, ვითარცა მხალი იყე, მიერ ქველის მოქმელო, მაწყალე მაგვანიშე მას დღესა რჯულისასა, დღეს რჯულისასა კსნილობაია, ჯვარსა კურთხეულობა. კსნილ-კურთხეულო, ჯვარი და სისხლი შენი შაიწირე.

წმიდათავე არს საკითხავი, პავლეა საკითხავი, გაბრიელის მამა მე ვი-ყავი იმათ არსებაო, სანებო, ღიღთაო, ღიღებულთაო თასნი ღგან სრულდებიან მღღელთანი, ციისგანთანი. უფალო საკირულს შაშვენის სანთლით სიმკვიდრე, გბათა სიგრძე დასიმკვიდრე. ორნი შიშობენ, კარს გადგან საუღლისასა, თეს-ლისა მაკურთხეველნი გიკურთხნასთ ჯვარმა და მამამა და ძემან წმიდამა. ადე, ადე ლელუაო, ადგამდიო ჯვარისა აიმართებოდა ეშმაკთა საკვლეველი, ხეა ცხოვრებისა. გადავარდებოდა, სად ხართა მარცხვინანი. ანგელოზნი ახლოს უფლის კარის გაღებულნი იჭი ჯვარისა უფალმა შექმნა ქვეყნიერება. შაიმოსა,

შაიმიყარა, სანთელი სამარიგისო, ბეჭედს უკვდავებისას წაგვყარენ ბრალნი მართალთა, ბრალნი მარგვილთა მე არ ვიყავი, მე არობილთ.

აა, დიდება ღმერთისა, მაღლი ღმერთისა, შენ გადიდას, შენ გაგიმარჯოს ღმერთმა, პირქუშო ცეცხლის ალიანო. შენ უშველე შენ ყმათ, მაღლ მაგ-სთხოვს, მაღლი მაუთხოვ, ბედი დავლათ დააკმარ!

*M' 17 გვ. 405-409.*

### 30. ხსენობა საკლავის დაკვლის წინ ბასალიზოს პირაქუშის ჯვარში

დიდება ღმერთისა, მაღლი ღმერთისა, დიდება დღეს დღესინდელსა, რჯულ ქრისტიანთასა, დიდება მზესა, მზისმყოლთ ანგელოზთა!

შენ შენი მორიგე ღმერთი გადიდებს, არ მაგიწყენს, არ მაგიძულებსა. იკადრე, აიგანე შენა სამთავროდ, გასამარჯოდა, ხთის კარზე მოსახმარადა. შენს მეხვეწურს, ჩოქის მამხრელს, სამსახურის მამკსენეს სცევედი, ხფარევედი, შველდი, სწყალობდი. ავის დღისაი, ლაღის მგრისაი, მავნისა, მარკისაი, ყოვლისა უფარვიდი შენი კალთაი. თუ რა შაგცოდეს, შაგაწყინეს უცოდრობით, უმეცრობით, პირის ქარით, ფეკის ნალით, ყმა შაუწყენი, ბაგონ შაუნდობარ არ იქნების. მახრილი ჩოქი, მათხოილი მაღლი, მაკსენებული სამსახური, პირქუშო ცეცხლის ალიანო, დღეს მაგის ყულროს-ჯალაფობისაი, კაცისა, საქონისაი, ორფეკ-ოთხფეკისაი, ქუდოსან-მანდილოსნისაი, ნაშერალ-ნამუშაერისაი მწყალობელიმც იყავ.

ბაცალიზო. პირქუშის ჯვარის ხუცესი ს. არაბული.

*მსე გვ. 13.*

### 31. ღალონვა ნელნად დილას ბასალიზოს პირაქუშის ჯვარში

გამეარჯვას დიდს პირქუშს, ცეცხლის ალიანს, ცხრა ფესვ ცეცხლის მათრაკიანს. იმის წყალობა გქონდასთ იმის ყმათ, მშვიდობით გამყოფნასთ, თავის ბედი დავლათ დაგაკმარასთ, მარცხი ზიან გაშორასთ. ბედნიერ წელ ჩამაგვიყენასთ. მშვიდობის წელი კვალი გამაგიცვალასთ – უმარცხო, უზიანო, კაცითა-საქონით. თქვენკე მამავეალ მარცხი-ბირკოლ თქვენის მგრისკე მი-აბრუნასა და თქვენ უზიანოდ გადაგაყრინნასთ დალოცვილმ პირქუშმ. ჩვენს სოფელს, ბაცალიზოს, წლევეანდელ ზიან ზიანად აკმაოს, ნულარაით დააზიანას. უმაგე ჩვენს სოფელში წულსა-დ წულის აკვანს. ნუ გამალიოს ბაცილიზოს კაცთ კითხულ კაცი, დღიანი, კმიანი, კმლიანი, სოფლის პირის გამმაგრებელი.

*M' 17 გვ. 429.*

### 32. სალიტერატურო ბასალიზონს პირქუშის ჯვარში

წინა ჭიქა-ბარძიმიზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, ღმერთო მაღალო.

მეორე ჭიქა-ბარძიმიტა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-ღ' გაგიმარჯოს, კვირავე ხთის შაკარვეო.

მესამე ჭიქა-ბარძიმიტა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-ღ გაგიმარჯოს, სახმთო ღუბისთავე სვეგის ანგელოზო.

აემ ჭიქა-ბარძიმიტა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, პირ-ქუშო, ცეცხლისალიანო.

აემ ჭიქა-ბარძიმიტა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, პირ-ქუშო, ალვისგანისად მყოლო ანგელოზო.

აემ ჭიქა-ბარძიმიტა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, პირ-ქუშო, მეღერბასეო ანგელოზო.

აემ ჭიქა-ბარძიმიტა, სანთელ-სუფრითა თქვენ გადიდასთ, გაგიმარჯოსთ, პირქუშ მოლაშქრე-მორამბენო.

აემ ჭიქა-ბარძიმიტა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, თეთრო გიორგი მინდორისაო.

აემ ჭიქა-ბარძიმიტა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, გიორგი აზაღო, კაკმაგის ჯვარისაო.

აემ ჭიქა-ბარძიმიტა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, თავალო მთავარანგელოზო.

ბაკალივი. პირქუშის ჯვრის ხუცესი ს. არაბული.

მსე გვ. 29.

### 33. შხხეწეწა პირქუშის ჯვრისაღმი სანალიროლ წახვლის წინ

დილო პირქუშო, შენდ შამამიხვეწებავე, ნაღირთ კოცაში კელ მამიმართ, ავ თვალ-გულს ნურამე გამამაყოლებ მეთვალყურად. რქა-ჯანგინი მამაკველევი, დალოცვილო, იმის რქათ შენდ არ დავიშურებ, შენ დარბაზის კართ დავხკიდებ.

M' 13 გვ. 120.

### 34. მოკვეთა თემისაგან ბასალიზონში

ესა-ღ, ეს კაცი სოფლის პირის ჩაშლაზე მოკვეთილი ას სოფლისგან (დაასახელებს მისგან ჩადენილ დანაშაულს). ჯვარსამც მაგდილოდასთა-ღ' კაც-საც. დღესიდგენ მაგას ჩვენ მეზობლობა აღარ ეთქმის. ეგ მაშორებული ას, მაკვეთილი. მაგისა საქონი საქონში ნუ გაერევისა-ღ' კაცი კაცთაში ნუ მავ. ცეცხლ არ ექნების, ცეცხლ არვინ ჩაუღოს. ცეცხლ წაეკიდების, ცეცხლ არვინ

გააქროს. მაკედების ვინ, დასამარხავად არ ვინ მივიდას. დიაც-ღედათაში ნუ გაემაგათიად კაცი მამითაში. იყენან, იცხოვრან თავისად. ეგენი სოფლის პირს არ ეკარებიანა-ღ' სოფელს რაადაღ უნდ მაგათ თავი. თუ ეგენი უსოფლოდ იქნებიან, სოფელიც იქნების უმაგათოდ, სოფლის პირის დამრღვევნი. სწყალობდას პირქუში იმ კაცს, ვინაც ამ პირს მტკიცედ შაინახავს, მაგათ არაად გაიკარებს, მაგათ არაში მიეშველების. ღრისხევდას პირქუშის ძალი იმ კაცს, რომელნიც ჩუმაღ მაგათან სიარულს დაიწყებდა-ღ' სოფლის პირს ვერ შაინახავს. ხო გაიგონეთ ხალხო რა ამბავი, როგორ ტეხენ სოფლის პირს.

– გაუწყრას სოფლის პირის გამტეხსად! წყალობა მისცას სოფლის პირის გამმაგრებელს!

*M' 17. გვ. 535-536.*

### 35. ღარისხმა პირქუშის ჯვარში წელნად ღილას

გაუწყრას სოფლის პირის მშლეღს, სოფლის მეღაღაგეს, ავის ენისას, ავის კელისას. მიზღიოს პირქუშმ შვილით შვიღამღე, ქალის შვიღამღე, გააბეღას იმისობა როგორც ერთ სხვა გაბეღებულ ხალხისა და სოფლის მეღაღაგე ნუ გამაიყვანას იმის სახღშით, ნუც ქეღიანი-ღ' ნუც მანღიღიანი. დააყოღას მავნე მაციღი. მეწაღმართე მააშორას თავისა და თავის ყმათ მეღაღაგეს დაღოცვიღმ პირქუშმ, მტერი იმის თავზე გაამარჯვასა და გაახარას. ნუ მაუმართას კელი ნუც მტერზე, ნუც ნადირზე ბაცალიგვეღთ მეღაღაგეს. ნადირთან ახღოს მისულს, ნადირნიმც გაუგებენა და დაუმთხვებიანა დაქეცივიან. მტერთან მტრისამც დავეღათ მავრევისა და იმის გამასრულ გყვია გაუკვერგეს სოფლის ორგულსა მეღაღაგეს გულს. მაწყურებულს წყაროსთან მისულს, წყარონიმც დაუშრებიან. სამგზავროთ მამავაღს, ჯაღაფთვე დაწუხრებულს ჯაღაფნიმც გაუწყლებიან. შინ მასულს კეზიმც დახვეღების გაგეხიღი და კერიას გარეკებულღი. ამ სიგყეებით გაღააბრუნებღა თასს ხუცესი და დაღვრიღა. იგყოღა კიღეფ:

– დაიღვარას ესრ წმიღად ბაცალიგვეღთ მეღაღაგეს სისხღი მტრის კელით. ამ ღროს სანთელ უჭერავ ანთებულღი, შაღბურნებსად გააქროღს სანთელსაცა და იგყვის:

– გაქრას ევსრ იმისობა, როგორც ეს სანთელ გაქრ, ამინ, გაუწყრას! – ამბობენ ყვეღანი.

თასს მეორედ აუვსებღენ. სანთელს კი ცეცხღს აღარ მაუკიღებღეს, პირღაპირ ზაავგებღეს ცეცხღშია – და აისრ დასწვევეღესა და იგყოღეს:

– დაიწვას ამ სანთელივით სოფლის მეღაღაგეი.

ხუცესი მეორედ ავისიღს თასზე იგყოღ:

– გწყალობდასთ პირქუშიც, კვირაიეცა და მაღალ ღმერთიცი. ხთისაგანამც იღოცებით მართაღი, მაგარი, პირქუშის კარის მღოცავი.

*M' 17. გვ. 429-430.*

### 36. ლოცვა პირქუშის ჯვარში ქალაზალ ღაბმის წმი

დალოცვილო პირქუშო, შენ გეხვეწებით, ნუ შაგვისაწყინდები შაძახილზე. კორციელინო ორთ, დალოცვილნო, უგნი და უმეტარნი ორთ. ჩვენს უცოდინრობას ნუ შააფერებ, შანაცოდვარი და შანაწყინარი გვაპაგივი. გეხვეწებით, პირქუშო, ცეცხლისალიანო, რო შენს მევენეს დააბეში შენ გულში ნადები. ვინც წელს შენის დასტურობისა და სამსახურის ღირსი, ჩვენ ვერ შაგვიძლავ გავება, შენის მეენით შენ გვიბძანე, ჩვენ მგას ორთ შასასრულებლად. თავ ყმად არ გეშურსა და საქონ ბღვნად. დასტურობას ვისაც უბრძანებ, თავს არ გაუხრის. დიდება შენს ძალსა, შენს სახელს, პირქუშო, ცეცხლისალიანო.

*M' 17 გვ. 389.*

### 37. წელწალ წუხრას მბრის ღარისხეზა

დილო პირქუშო! რომენიც შამადის შენს მიწა-თიკაში ძალით, რომენიც ავის კელისა, ავის ენისაი ას, სოფლის, თემის და კევსურეთის მეღალატე, გამცემ ღამბიზღებელ ას, იმას მიზღი და გაუწყერი, ამასწყვიტი შეიდ მამამდე. რომენიც თემ-სოფელს და კევსურეთს ღალატობს კელითა თუ ენით, დალოცვილო, შენ ნუ შაინდობ, ნუ დაინდობ, შენ ხარ ამ ხოყანას ბატონ-პატრონი. ჩვენ არ ვიცოდათ, თქვენ ხთიშვილნი ნუ შაუწყობთ კელს, ნუ ჩაუღებთ ინაბარას, ნუ შაიცოდებთ თქვენს ყმათ.

*ხუცესი როღესაც ამას იგყვის ყველა ქუღმობილი დაიძახებს ერთხმად:  
ამინ! გაუწყრას, მიჰყვას, მიჰყვას შეიდ მამამდე!*

*M' 13 გვ. 127-128.*

### 38. საქმროს ღამწუნაში ქალის ღაწყველა

დილო პირქუშო! რომელი ქალიც შენთ ყმათ სწუნობდეს, საქმროს არ ინდობს, შენს ყმას გაეყარას, სხვაგან წავიდას, იმას ნუ გაახარებ, დალოცვილო! ნუ მისცემ ბედს და ღავლათს შენის ყმის გამწბილეს, შემარცხვენელს!

*M' 13 გვ. 128.*

### 39. საპატიოს დალოცვა ბასალიგოში

ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო მაღლი შენდა, ღმერთო, სულიც შენ გებარებისა და კაციც შენ გეხვეწების. ღმერთო, გაუმარჯვი პირქუშს ცეცხლისალიანსა და დილო პირქუშო, შენ წყალობა მიეცი შენთ ყმათ ბაცალიგველთ, შენი წყალობით შაინახენი. პირქუშო ცეცხლისალიანო, შენ სადიღებელი ასა და შენის დიდებითა, ჩემის სიგყვის მაკსენიებით, ზელამრჩოების ღღეგრძელობით,

სადაც თქვენ ხართ ბაცალიგველთ მამ-პაპანო, თქვენებ შვილები ას, შვილის შვილები ას, თქვენ ანდაბი ას, რანიც წელს ბაცალიგოს დააკლდით, სადაც თქვენ სულის ყოფადას, ხთის წესით, მდღლის წესით, იერუსალეთის ნათლით, ქრისტის გარიგებით, როგორც ჩვენ კელთ ას, ეს სუფრაი, სასმელ-სანთელი, ისრაემც თქვენ გეხმარისთ, ცოგა დიდადა, რომო წმიდად ფერუქცეველად, წაუქცეველად. თქვენიმც საკმარი, თქვენიმც საიალოი ას. შაგინდნასთ, მაგაკმარასთ ღმერთმა ქრისტიანობის გამჩენმ, საპაგითო მამგანები და ზედამრწობი, ჩემის კმის გამგონებები ღმერთმა მშვილობით ამ ყოფნას, მარკე ნურავის მისცეს.

– შაუნდნას, მააკმარას ღმერთმ!

*M' 17. გვ. 457-458.*

#### 40. ხსენება როშმის ჯვარში

საღიღებელი

ამ ჭიქა-ბარძიმზე, საღიღებელზე შენ გადიდას გაგიმარჯოს, ღმერთმა, დიდგორის ვეშაგო ანგელოზო, ბაგონო გიორგიო, შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეს გარიგებული ჭიქა-ბარძიმი-საღიღებელი, შენ საყმოსად-საგლეხოსად, ჩდილისად-მზისპირისად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ. ხთის კარზე შაიგანი. ღმერთი შენს ბაგონობას გაუმარჯევს.

მეორე ჭიქა-ბარძიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა გიორგი ჯუთაეაკეს მშეენიერო. შენა სამთავროდ; შენა გასამარჯოდ მაიხმარი ე გარიგებული ჭიქა-ბარძიმი-საღიღებელი. შენ დიდგორის ვეშგის ანგელოზის, გიორგის საყმოსად-საგლეხოსად, ჩდილ-მზისპირისად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიგანი.

მესამე ჭიქა-ბარძიმზე შენ გადიდას გაგიმარჯოს ღმერთმა კვირავე კარაიანო, ანგელოზთ მეუფროსენო. შენა სამთავროდ, გასამარჯოდ მაიკმარი ეს საღიღებულოდ გარიგებული ჭიქა-ბარძიმი. შენთ მეხვეწურთად, დიდგორის ვეშგის გიორგის საყმოსად-საგლეხოსად, ჩდილ-მზისპირისად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიგანი.

მეოთხე ჭიქა-ბარძიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა გარსაკიდელებე მდგომო ანგელოზო. შენა სამთავრო გასამარჯოდ მაიკმარი...

*და შემდეგ სიგყვები, რაიც ზეთას მახსენებაში სწერავ.*

მესუთე ჭიქა-ბარძიმზედა, საღიღებელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა ჭერო-ბელელზე მდგომო ანგელოზო.

მეექვსე ჭიქა-ბარძიმზე თქვენ გადიდასთ, გაგიმარჯოსთ ღმერთმა მეზორაყენო ანგელოზნო, თქვენა სამთავრო, თქვენა გასამარჯოდ მაიკმარეთ ე გარიგებულ ჭიქა-ბარძიმი, საღიღებულნი...

მერვე ჭიქა-ბარძიმზე თქვენ გადინდასთ, გაგიმარჯოსთ ღმერთმა გიორგის ლაშქარნო, გიორგის გორზე მოთამაშენო. თქვენა სამთავრო-გასამარჯოდ მაიკმარეთ ეს გარიგებული ჭიქა-ბარძიმი, სადიღებელი.

მეცხრე ჭიქა-ბარძიმზედა, სადიღებელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოსთ ღმერთმა, ლალო იახსარო, დეე-დეღაბერთად მებრძოლ-მეომარო, აბუღელაურ სიმურში ნაყყვევარო, ხთისაგან მკარაქსნილო, შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიკმარი სადიღებელი, გარიგებული ჭიქა-ბარძიმი, შენ მეხვეწურ-თად...

მეთათე ჭიქა-ბარძიმზედა სადიღებელზე შენ გადიდას, ღმერთმა, ხახმაგის ჯვარო, გიორგი ნალორმშვენიერო, ნალორევეს მებურთვალო, ხელო სამძიმარო, იმის მოდე-მომხრენო, ხმელეთზე კმის მგეხო, რჯულიან-ურჯულით სალოცო, ქაჯავეთის გამგეხო, დიდოეთის გამბეგრანო. მარიგის ხთისაგან მალოცველი გაქცეის კიდურში შამაძახილის გაგონებაი, მეხვეწურის შახვეწებაი-დ' დახმარებაი, შენად სამთავროდ, შენად გასამარჯოდ მაიკმარი ეს ჭიქა-ბარძიმი, სადიღებელი, შენ გიორგის საყმო-საგლეხოსად, ჩილისა-დ' მზისპირისად, მაგათ თავისად ჯალაფობისად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე მაიკმარი.

თქვენა სამთავროდ, სადიღებულოდ მაიკმარეთ ეს ჭიქა-ბარძიმი, სადიღებელი, ნახსენებნო ანგელოზნო, თქვენთ მეხვეწურთად, გიორგის საყმო-საგლეხოსად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიგანეთ, ღმერთი თქვენს ბატონობას გაუმარჯვეს. გეძახსთა, გეხვეწებისთ დასგურ-ბუჯირი, კელოსან-გამძილობარი.

შენ საყმო, ჩილი, მზისპირი სახელიან აიგანი, ხთის კარზე მაიკმარი ჭიქა-ბარძიმი, შენ მეხვეწურ სანთელი, დიდგორ ვეშაგო გიორგი.

დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, დიდება დღეს მშვენიერსა, მგესად მზის მყოლთ ანგელოზთა, დიდება შენს სახელს, დიდგორს ვეშაგო ანგელოზო, ბატონო გიორგიო! დიდება დიდ კვირიეს ანგელოზთ მეუფროსეს. დიდო ბატონო დიდგორ ვეშაგო ანგელოზო, გეძახს, გეხვეწების შენ საყმო, ჩრდილი-მზისპირი. შენ დავლათ დააკმარი, მოწადმართე ანგელოზ დაუყენი, მებალინჯე ჩამახსენი, სახელიან აიგანე ხთის კარზე მოიკმარი, ნურას მარცხსა, ზიან-ბირკოლს მახკერძებ, კაცისას, საქონისას მაკლეი-დ' მავნე მააშორი. უშველი, უმეშველი ავის დღისად, ლალის მგრისად, სენისა სასჯელისა, საზიანოს საქმისად. თუ ხთის კარით ხთის იასაულნი ჯორციელთ დასაბეგრავად, ჯორციელთაზეთ ყალნის ასალებად გამოვიდოდან, კვირაეს სარდლობდან, შენ მეხვეწურთ ყუდროს მარცხს-რა ზიანს ნუ მახკერძებ, უზიანოდ გაისგუმრიდ, შენ საყმოსად-საგლეხოსად ჩილ-მზისპირისად, მაგათ თავისად, ყუდრო-კარისად, ჯალაფობისად. კაცისად, საქონისად, ორფე-კოთხეკისად, ნაშვრალ-ნამუშავლისად. მეშველი, მწყალობნელიმც, მლხენელი, მხოიშნებელიმც იქნება.



## ქართუხემა

სახელითა ხთისითა სარხიელისითა, თავსა დაგადგეს ყოვლითა და ყოველებითა, სიგყითა დამრავლებითა. წმიდა არსებულო, არსები ამადლებულო, წმიდად იყო საკითხავი, ვინაა საკითხავი პაულებია საკითხავი. აბრეილი ოხითა მრავლითა, ბევრითა ბევრეულითა მაში მავიდა უფალი ათასითა გუნდითა, ათასითა ანგელოზებითა, მწარე ახსნა სულნი ჩვენნი, აუტივნა გილონი ან ხილო, ან შაგოლოებო. შაგყუილებითა გველისითა, შაცდენითა ეშპაკისითა, არა ღელაკაცისითა, არა მამაკაცისითა, არა პირითა ბაგოზელისითა, ღმერთო ხთობაო, გალობაო, სარწმუნოებო, მზეი გამარწყვილებულა, ეგაა ჯოჯოხეთი ურძეო ურღვეველი, დილია ზღულება ჩვენი. ცასა მტრედი გადმანახლა სიხარულსა მოთხოვდა ჩვენსო ძმანო სიონისანო მტკიცენო მტკიცედ იყვენით, საქმისა ჩვენსა ღმაგებდით, განა ცულა შრომა იყო, რომენი იწვა, ეძინა ჩვენისა ოხისა კვირაისითა, ადგეს წაეიდეს მათკენეს ხთის მოწაფეთა, ანგელოზთა აღე განიღვიძე. ადგა განიღვიძა დილისნია ფრია, დაძღვეს ეგენ უფრო, საყიდელნია ცათაჩია, თქო უფალმა ყოველმა ერმა სიგყვა უფლისა, მამისა, ძისა, ჩვენ ჯვარისა ჩვენისა წმიდისა. მაშინ შესწყალდეს უფალსა ობოლნი, გახსნა გაიღნა ბარშიმნი წაწმიდნა სულნი, პირველა სანთელი წმიდათაკეა, მეორე სანთელი გიკურთხას მამამა ძემა ჯვარმა წმიდამა. მესამე სანთელი თესლის მაკურთხებელი გიკურთხას მამამა ძემა ჯვარმა წმიდამა ადამდე.

მეოთხე სანთელი სამოთხის მანათობელი გიკურთხას მამამა ძემა ჯვარმა წმიდამა ადამდე.

მეხუთე სანთელი ბართოლაკია, მარგალიტისა მთოველი, გიკურთხას მამამა, ძემა ჯვარმა წმიდამა. მეექვსე სანთელი: ექვსნი ძენია-მთხრობელნი, მგალობელნი ღაღაღობენ და ბძანობენ. გიკურთხას მამამა ძემა ჯვარმა წმიდამა.

მეშვიდე სანთელი შაშრეგელი, ზღუდე აქე შაურღვეველი. პატრუკი შაურყეველი, გიკურთხას მამა ძემა, ჯვარმა წმიდამა. მერვე სანთელი გაბრიელ მახარობელი, გიკურთხას მამამა ძემა, ჯვარმა წმიდამა ადამდე. მეცხრე სანთელი: ივანე ნათლისმცემელი გიკურთხას მამამა ძემა ჯვარმა წმიდამა ადამდე. მეათე სანთელი: პურ-ღვინის მაკურთხეველი გიკურთხას მამამა ძემა ჯვარმა წმიდამა ადამდე. არამც კი არა შაგედლას გვიწყალენ; მამაო, ძეო, ჯვარო წმიდაო. სანთელო სამარეგისაო, ბეჭედო უკვადეუბისაო. დასრულდა წირვა ჟამისა, ამადლდა ძალი, დიდება ჯვარისა მალისა უფალი დიდებისა ქუსდა ცათა ზელა მქუხარეთა ოხითა. გვიწყალენ და გვეკურთხიენ. კურთხეულ არს სახელი შენი აწდა მარადის უკუნითი უკუნისამდე.

სწყალობდას დიდგორის ჯვარის საყმოსა-საგლეხოს, ჩრდილსა მშისპირს დიდგორის ჯვრის დავლათი.

M' 17225-230.

#### 41. მესაფუჟრის ბანათშლის ხშრობა როშპაშო

შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეს სამსახური, მუჭათ სან-თელი, აპარეკაზე მესაფუჟრეზე მდგომო, მავალო ანგელოზო, დიდგორ ვეშაგო გიორგო, დღისა-ღამის მცაო, მფარაო საოცრების მყენეო, შენ მესაფუჟრისად აპარეკაისად, მაგის თავისად ჯალაფობისად საშველად, სამწყალობნოდ, ხთის კარზე მაიკმარი. ღმერთი შენთ ზღვენთა დიდებას მამუმაგებს.

##### ხშრობა საქლავისა

დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, მზესა, მზის მყოლთ ანგელოზთ, დიდება დიდს კვირაეს, ანგელოზთ მეუფროსეს. დიდება-ღ' გამარჯვება შენდა, დიდგორ ვეშაგო ანგელოზო, ბაგონო გიორგო. გეძახს, გეხვეწების მესაფუჟრე აპარეკაი, შენ დავლათ დაკმარი მოწალმართე ანგელოზი დაყოლი, მე-ბაღინჯე ჩამახჰსენი, მეწალმართე დაუყენი, სახელიანი ზღვენ-სანთელ აიგანი, ეს მუჭათ-სანთელი ხთის კარზე მაიკმარი. ნურას მახკერძებ მარცხსა, კაცისა, საქონის მაკლეს, უშველი, უმეშელი ავის დღისად, ლაღის მგრისად, სენისად, სასჯლისად, საზიანოს საქმისად. თუ სად რა გამავიდოდან ხთის კარით გამა-შობილნი ხთის იასაულნი, კორციელთ ბეგრეუდან, ყალანს იღებდან, კვირაეს სარდლობდან, უზიანოდ გაისგუმრიდი, სენი, სასჯელი მზარიდიდი. შენ აპარეკაისად, მაგის თავისად ჯალაფობისად, ყუდრო-კარისად, როფეკოთხეჟისად, კაცისა საქონისად, ქუდოსან-მანდილოსნისად, ნამურალ-ნამუშავლისად მეშველი, მწყალობნელი, მხოიშნებელიმც იქნები.

##### საქლავის კურთხევა

დღეს ღირსა ჰსნილობა, ჯვარსა კურთხეულობა, კურთხეულიმც არის ღმერთი უფალი, აწდა მარადით უკუნით უკუნისამდინ.

სამებაო წმინდაო. შეგვიწყალნა ჩვენ სამებამა წმინდამა, გვაცხოვნენ და გვაკურთხენ, განგული ურჯულოება ავედრია სული ჩვენი, მამასა მოწყალესა, მამაო და ღმერთო ჩვენი, რომელი ხარ ცათაშია, მახვე სოყანათშია, მაგვიშვი და მაგვიგით პური ჩვენი არსობდთა, რაც უფალმა მაგვანთა. ნუ შაგვასხამ განსაცდელსა, შესწირავ ღმერთსა მსხვერპლთა ქებითა. მიხუცულობით შენთა ნათქვამი შენ გააცხადე, ოქროს ხაგო მეუფეო, ნათქვამი შენ გააცხადე. შენ გიცხენე, ჩვენ გადიდებთ. დღეს ჩვენისა რჯულის თავსა თვალნი მალლა არ-იან მალღისა ხთისანი, ხოლო სიმალღესა დაბალთაგან ამალღებულა, რა ჟამთა მოვიწიენით მცხრომალეთა მდინარეთა. ღმერთო, რა ჟამნი გვიცხენი მცხრო-მალენი, მდინარენი, თვალნი ჩვენნი მცემარნია, ფეკნი ბირკოლებისაკე. მორე მოვიდოდა ადგილსა ამას იასე კემორე, ფილიპესა იკითხავდა. სათნო იყო ყო-ველი ჩვენს წინაშე მცხოვარი. რაითუ იცნა უფალო პეტრე მოწამეა ხთისა, არ-სილნი შაშინებულან, არსილნი შაკვირებულან, გალილიასა ეგყვიან ძეთა რადა თქვიან ჩვენთა, კაცისათა, პეტრეს უთხრეს: ეგე ვინ გონია, ანუ ვითა ნუინ-მერელია თავიც იქსნა. ჩვენც გვაცხოვნრა, განგულო ურჯულოებაო გავედრია

სული ჩვენი, მამასა მოწყალესა რომელნი ხარ ცათაჩია მილთა იყავ ცათაჩია აგრე ხოყანათაჩია, სარწუნია მავილოდა ბრძანებდა მოითხოვდა, სიგყვა ხთისა ხმა უფლისა. ღმერთო ერის შორისაო, უფალო ნების ჩვენისაო, მოგვე კეთილი ყოველი ზღუდენი ავაშენენი, იერუსალიმისანი. იაკობ ხოლო პირველი რაითუ იცნა უფალმა. რასა მსვერთან სისხლითა ღმერთსა მამასა მამავლიღუ-ბულსა, სიგყვა ხთისა, ხმა უფლისა მავისმინიუ, საქმე უკეთურნი მავისმინენ ჭეშმარიტად, უკეთურის გინებითა, შენზე მასხვეპარია, ჩვენზე მაკურთხეველი. ურუმსალე შენა ხარ, ბოლო – იაკობ პირველი. ვარქინა ღმერთსა შავსწირენ, ხოლო სამნი სიგყვანი ხთისანი, ან გარიარა ღმერთსა მთავარ-გარე შამოფ-ლეუსა, ჯვარსა ამას წმინდასა, ღმერთო ისაკ და იაკობილთა მამაო მავენ-ბელო, რომენმა შადმოსენ ცანი ღრუბლითა, მიწანი – მწვანილითა. გადახკარ, გადაამზადე წვიმა ხოყანათაზე. შენია დღე-ღამე, შენ დაამკვისე ბნელი, ნათელი. შენდამი ამას ყოველმა ერმა უფალო, აკურთხე თესლი ესია, აკურთხე მარილი ესია, სკა-სკანალე, წყალჩი იორდანე, ღვინო გამასცვალე, ბაღდა-დაურე. საკონსა ამას, ბაღდაა. დახკალ არა შჭამე, დასთხიე სისხლი მისა, კურთხევა იყვა კრავისა, ცოცხლისა შენება ღირსია მაროგი გამოვიდა. აკურთხა სახითა სარხიელითა სახელითა ხთისითა სარხიელისითა, გამოვიდა და აკურთხა.

#### მსახელება

შენა სამთავროდ იყოს, შენა გასამარჯოდ იყოს ეს სამსახური-დ' მუჭათ-სანთელი, შენ აპარეკაზე მდგომო, მავალო ანგელოზო, შენ აპარეკაისა-დ' მაგის თაე-ჯალაფობისა ყუდროსად ხთის კარზე საშველად, სახთიშნოდ მაიკ-მარი, ღმერთი შენს ძალს, დიდებას მაუმაგებს.

*ხუცესი დაკლავს საკლავს, შუბლზე და გულზე მესაფუერეს სისხლის ჯვრებს გაუკეთებს და ამბობს:*

შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეს სამსახური მუჭათ-სანთელი აპარეკაზე მესაფუერებზე მდგომო, მავალო ანგელოზო, დიდგორ ვეშაგო გიორგიო, დლისა-ღამის მცაო, მფარაო, საოცრის მყენო.

M 17 გვ. 221-225.

#### 42. ხსობა როშპის ღიღორის ჰვარში

ღმერთმა აღიდას შენ ძალი, შენ სახელი, დიდო დიდგორ ვეშაგო გიორ-გიო, შენ უშველე შენთ ყმათ, როშკიონთ. შენ დავლათი დააკმარი. ნაძახნებ გაუგონ, დალოცვილო, შენთ ყმათ შენს ქსენება-დიდებაზედა-დ' შამაძახილზე ნუ გაუწყრები. მე შენდ შამამიხვეწებიან შენ ყმანი, დიდო გიორგიო, შენ შენს გამჩენს ღმერთს შაახვეწენი. წელ მშვიდობისა, ღალიან-ბარაქიან დაუყენე, მშვიდობით აგანილ ცელ-ნამგალი მშვიდობით დაადები, მარცხი-ბირკოლ მაა-

შორი, სახელიან მღვინი-სანთელ აიგანი, ღმერთი შენს ბაგონობას გაუმარჯვებს.

*მეორეზე აქსენებს როშკისგორ მთავარანგელოზს. როგორც გიორგის, ასეთივე მაქსენებით მააქსენებს მთავარანგელოზისად დასაკლავს საკლავსაცად ახვეწებს ყმათ, როშკიონთ.*

*მესამეს საკლავზე აქსენებს კვირაეს ძალიან-მაღლიანს, ხთის მაღლის მოკარვეს, ანგელოზთ მეუფროსეს (როშკაში ასეთის სიგყებით ახსენებენ ხუცები და მკითხავებიც კვირაეს). აქაც შაახვეწებს გიორგის ყმათ რო უშველას კვირაემ. მაქსენებას მახყვების ხუცობაი, ხუცობას – კურთხევაი.*

M'17 გვ. 290-291.

#### 43. სალიღაბელი როშკის მთავარანგელოზის ჰვარში

წინას ბარზიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, ბაგონო მთავარანგელოზო. შენა სამთავროდ შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეს სეფე სანთელი, სალიღებელი, შენთ ყმათად როშკიონთად საშველოდ, სამწყალობნოდ მაიკმარი, ხთის კარზე შაიგანი, ღმერთი შენს ბაგონობას გაუმარჯვებს.

*მეორე ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, დიდგორ ვეშაგო გიორგიო... და შემდეგი ყველა გემო თქმული.*

*მესამე ჭიქა- ბარზიმზედა შენ გადიდას ღმერთმა, კვირავე ძალიანო, ანგელოზთ მეუფროსეო.*

*მეოთხე ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას ღმერთმა, იაქსარ ხთისაგან მხარაქსნილო, დევ-დედაბერთ ნაომარო, აბუღელაურ სიმურში ნაგყვევარო.*

*მეხუთე ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას ღმერთმა, ლუბისთავ სეფის ანგელოზო.*

*მექექსე ჭიქა-ბარზიმზე შენ გაგიმარჯოს ღმერთმა, გიორგიე მინდორისაო, ალავერდით გამობრძანებულო.*

*მეშვიდე ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, როშკისგორ სეფისა მყოლო ანგელოზო...*

*მერვეს ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა მარიაამწმინდაო, ბედნიერო ადგილის დედაო.*

*მეცხრეს ჭიქა-ბარზიმზე თქვენ გადიდასთ ღმერთმა მთავარანგელოზის ლაშქარო, ქარჩისკალოს მათამაშენო, მორაბზე მესაათენო.*

*მეათეს ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას ღმერთმა, გიორგი ნაღვარშენიერო, ნაღვარეე მობურთვალო, ხელო სამძიმარო, იმის მოღე-მოზხერეო, კმელეთზე კმის გამგეხო, რჯულიან-ურჯულით სალოცავო, ქაჯავეთის გამგეხო, დიდოეთის გამბეგრანო. მარიგის ხთისაგან მალოცვილი გაქე ცის კიდურშიით შაძახილის გაგონებაი. მეხვეწურის შახვეწებაი, გაჭირვებაში დახმარებაი.*

M' 17 გვ. 368-369.

#### 44. სულის სუნთბა (როშპა)

ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მაღლი შენდა. ღმერთო, უშველი ამ მასპინძელს (*სახელი*), ჭირის პაგრონს, მარკეს ნულარას დააღირებ. აკმა ბარაღ ბარაღად, მარცხი ზიან ზიანადა. კლოვ ლხინზე შაუცვალი ეს გაბლაიცა-დ' ლხინის მაკეთე-მამკითხავ უდინი დღეს ამას იქით. ღმერთო, უშველ ამ მასულ-მაწუელ ხალხსაცა-დ' მარკეზეთ ნულარაზე ვის დაქჯი, დახარჯავ კლოვ ლხინზე აღინენ ამ სახლშიაცა-დ' შინაც ლხინ მიეც.

სულთა გვიწყალენ, გვაკურთხენ, კურთხევითა მაღლისა ხთისითა, გვიწყალენს ჩვენ დიდისა წყალობითა, მრავლითა მოწყალებითა, მრავლითა მოწყალისითა, ვარა დღე, ვახარე ვარა დღესა ამას სულისასა, უხარწერი ესე წვრილ იყვა რომენმა შახვაფე ჯოჯოხეთი ძალითა და შაძლებითა მყოლის მამისითა ჯვარისა წმიდისითა. სულნი ნათლად გამაასხენ, და შაასხენ წრიადსა რომენსა აბრაამისასა, წმიდანო ანგელოზნო სულთმბოკვარნო სულთა მაცარნო, დიაკონო, ქორო პირველო, იორდანეს წყალზე გარდმანახლებოდა ნათელი ნაკურთხეველსა, კურთხეულიმც ხარ შენ, უფალო ჩვენთაო, ქებულო და დიდებულო მამათაგან ჩვენთა, დიდებო, დიდება ამალღებულო, ჩვენ ქებით შავსწირავთ ზღვენთა დიდებისათა, შავსწირავთ ანგელოზთა სალსა გალობასა, შენ უთხარ იერუმსალეთსა, შენ იყავ იერუმსალეთს ნაგრულო სგეფანსო სანაგრულო, ხთისაო გვირგვინ და მოსთილო. ქრისტეს წამებულო. რომენთა მუცელთა ქალწულისათა შახვაფენ ცანი ანგელოზთანა. სოყანანი ქრისტე პატიოსანი, ნება იყო უფალო არცა ძალია, ხსენება განისვენება იყო, ვისადაც სანთელ ენთების, გაბლა ეგების, სულწმიდა მაიქსენების, სულსამც შენს მაეკმარების, დაღმულ გაბლა, კოდი, სანთელი, დაღმულნი თასნი, ავსებულენ ყანწნი, ჭურჭელი. შენსამც სულს ანათებს, ანათლიერებს, აიაღებს, ცოდვისამც გკდის, მსჯელსა მჯავრესამც გარიღებს, სამძიმარსამც გიზუბუქებს, ცოდვანიმც შაგენდობიან ენით ნათქვამი, კელით ნაქნარი, წინ მაგებებულ, უკან მაწუელი, ყურით განაგონარი. სიკედილის დღეს დამწყვედეულს თვალით ნახული- დ' ვერ დამალული შენსამც ცოდვილის მკელი, ცოდვისამც მაღლად მქონელი, თუ რა სულმკედარ გაწუხებდასთ, შანდობას გველოდდას, ჩვენ ვერ ვგონობდათ, თქვენითამც ნებით დაიწვეთ გაბლაზე, ძალითამც ნუ ვინ გამაგეკიდებისთ. ცოგაიმც დიდად გეჩვენებისთ, რიოშიმც წმიდად გეჩვენებისთ, ფერუქცეველად, წაუქცეველად ეემ სინათლით თქვენამც ხმარობთ. გარგასთ, შაგინდნასთ ღმერთმ მრავალთა მაწყალება. მასპინძელს ბარაქსამც აძლევთ, ავსა მარკესამც ნულარას მახკერებთ.

შაუნდნას მააკმარას ღმერთმა ქრისტიანობის გამჩენმ – *იგყვიან ყველანი.*

*მასპინძელს დალოცავენ:* აგაშენასთ ღმერთმ (*მასპინძლის სახელი*) ბარაქა მაგცასთ, მშვიდობით გამყოფნასთ. მარკეი-დ' ავ ნულარა მაგცასთ, ნულარა დაგაღირასთ, ლხინზე შაგიცვალასთ ეს გაბლაიცა-დ' მაკეთე მამკითხავიც. თქვენ ავმედად ურიგოზე ნულარა-ვინ გაგსაჯნასთ დაგხარჯნასთ,

ლხინზე გადინნასთ დღეს ამას იქით, მაკეთისაცა-ღ' შინაც ლხინ მაგცასთ. შაუნდნას ვისადაც ილოცების კი, მააკმარას (ყველან დაილოცებიან-ღ' შას-მერ).

M' 17, გვ. 248-249.

#### 45. საღიღებელი ლულში

დიდება ღმერთისა, დღეს დღესინდელსა, მზესა, მზისმყოლთ ანგელოზთა.

დიდება დიდ კვირასა, მადლის ხთის მოკარესა! ხთისაგან გამარჯვება შენდა, შენის გამჩენისაგან.

სახმითო ბერო ბაალურო, წინა ჭიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას, შენ გაგიმარჯოს.

მეორე ჭიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, წმიდაო ხთიშობელო.

მესამე ჭიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, კვირაო, ხთისაგან კარავიანო.

აემ ჭიქა-ბარძიმზედა, შენ გადიდას და შენ გაგიმარჯოს, სახმითო-სახაგეს მდგომო ანგელოზო.

აემ ჭიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას და შენ გაგიმარჯოს, პირქუშო პირ-ცეცხლიანო.

აემ ჭიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას და შენ გაგიმარჯოს, გმირო კოპალავ, ლალო-ლახგვიანო.

აემ ჭიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას და შენ გაგიმარჯოს, მთავარო მთავარანგელოზო.

აემ ჭიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას და შენ გაგიმარჯოს, წმიდაო ხთიშობელო, ადგილის დედაო.

აემ ჭიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას და შენ გაგიმარჯოს, კვირია თელან-ერგისაო.

აემ ჭიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას და შენ გაგიმარჯოს, სანება ახოსწვერისაო.

აემ ჭიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას და შენ გაგიმარჯოს, გიორგი წყაროსთავისაო.

აემ ჭიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას და შენ გაგიმარჯოს, ხელო სამძიმარო, ჯულიან-უჯულოთ სალოცავო.

აემ ჭიქა-ბარძიმზედა თქვენ გადიდასთ და თქვენ გაგიმარჯოსთ, ლაშქარნო ხთისანო, ხთიშობლისანო.

ხთისაგან გამარჯვება თქვენდა, ხთისგან ნაკსენებო ანგელოზნო, თქვენ დიდის შაძლებისა, თქვენ დიდის გავედისა. თქვენ თქვენი მორიგე ღმერთი გადიდებთ, გაძლიერებთ, არ მაგიწყენსთ, არ მაგიძულებთ; თქვენ თქვენს მესვეწურს, ჭიქა-ბარძიმზე, სანთელ-საწირის მამკსენეს, კოდისა, ბადაგისა

მამკსენეს ნუ მაიწყენთ, თქვენთ კსენება-დიდებას მეემაგების. სცევედი, ხფარევედი ავი დღისად, მწარი სიკვედილისად, მონისად, მავნისად. შველდი, სწყალობდი. მაგათ თავს ყუდროს-ჯალაფობისა, მამწერალ-ნამუშაველისა კაცისა, საქონისა მეშველიმც, მწყალობელიმც იქნები.

მოგცას წყალობა ნაკსენებ ანგელოზთა სახლისა ყუდროთ პაგრონს.

ღული. გ. არაბული.

*მსე გვ. 26-27.*

#### 46. ხუმობა სახლის ბანათიშვის ღროს ღულში

შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ ას, ყუდრო-კრის დამჭერო ანგელოზნი, მოკსენებული სამსახური. ამით შენ გადიდას ღმერთმა, შენ გაგიმარჯვას. შენ შენი გამჩენი მორიგე ღმერთი გადიდებს, არ მაგიწყენს, არ მაგიძულებს, შენ მეხვეწურთ, ნუ მაიწყენ, ნუ მაიძულებ. რასა მკარზედა, გულზედა გეძახლან, გეხვეწებოდან, იმაზედ გაუგონიდი, შენი წყალობით შაინაკნიდი, ნურას მასკერძებ, ნურას დაალირებ. ავს საქმეს ეკერძებოდას, გარდაუგდიდი, ავ საქმე კაზედ მაუკენიდი, გაფხულობა მშვიდობით გადააყრიდი, ნაოფლარს, ნამამწერალს ჯვარ დაუწერიდი, მაქარ-მაღალაგე მაუშორიდი. დღეს მახრილი ჩოქი, მათხოილი მადლი, მოკსენებული სამსახური შენა სამთავროდ ას, შენა გასამარჯოდ, ხთის კარზედ მასახმარად. შენ შენ მეხვეწურთად, მაგით თავ ყუდროთ ჯალაფობისად, კაცისად, საქონისად, ორფეკ-ოთხფეკისად, ქედოსან-მანდილოსნისად, ნამწერალ-ნამუშავერისად, ბედისად, ბოლოსად, ყურთა მსმენელთად მეშველი, მწყალობელი, წაღმამდეგი იყავ.

ღული. ა. არაბული.

*მსე გვ. 14.*

#### 47. მაღლის მოთხროვნა ჰვრისად ქაღაბად ღსმის წინ ღულში

დალოცვილო, ჩვენო სალოცავო, ნუ დაშჩები სხვათ ხთის ნაბადებთამე ნაკლურად, რო ხთის კარზე კოლ-ბაღაგნ არ გქონდან საღირსლად, შენ საყმით სამღირსლად სასოიშნოდ.

*თ. ოზ. ქუს. გვ. 67.*

#### 48. კურთხევა (ღული)

ღირსა ხსნილობა, ჯვარსა კურთხეულობა, კურთხეულიამც უფალი, აწ და მარადი უკუნითი უკუნამდე. შაგვიწყალენ ჩვენ ყოველნი სანება წმინდამა,

გვაცხოვნა და გვაკურთხინა. გაგება და უძლობა, გვეედრება სული ჩვენი. მამო ჩვენო, მოწყალეო, რომელი ხარ ცათაშია, ეგრე ქვეყანათაშია, მოგვიშო და მოგვიგეო პური ჩვენი არსობილთა, ნუ შაგვასხამ განსა ჩვენსა. ხაგო, ხაგო, მეუფეო, დღესა ამას სჯულისასა! შავსწიროთა სხვერპლითა, ქებითა, მიხუცულობითა შენითა, თვალნი მალა არიანა, თვალნი მალღისა ღთისა, ხოლო კაცთა სიმაღლე დაბლიდგან ამალღდებიან. კაცთა რამ ჟამ მასწავია ცხრომალე, მდინარე ამპარგიონთა, მაშინ გაეხვნენ ძალნი ცათანი, ხოყანა შახარწმუნდებოდა, ცხოველი თესლი შენია, ცხოველი მაცხოვრებო, შენია დღე და შენია ღამე, შენ დაამკვისე ბნელი და ნათელი, შენ ეგ კი არა, ყოველმა უფალმა მოგცა დარიგება. ხუთითა პურითა ხუთათასნი დააძღნა, ანისგითა ერთითა ას თორმეგნი აავსნო. უფალო, აკურთხე მარილე ესე სკანი-სკანარე წყალს იორდანე წყალი ღვინოდ გადასცვალე უფალო, აკურთხე თესლი ესე, რომ სამნი მანანნი, ყრმანნი იხსდეს, პურსა სჭამდეს მათ არა არ შაერგინებოდეს, გაბლასა მაგათასა, განარა წმინდასა. ბაღა დაღკარ, დაუარე, არა სჭამე ხორცი მისი, დასთხე სისხლი მისი. ქრისტიანობის მყოფელო, პირველნი ჩექარნი, ალამ ცეცხლია სერებილნია, ქერებილნია, მეურქველისა მოქმედი უფალო ღმერთო, მოგვანიჭენ დღესა ამას სჯულისასა. კურთხევა ცოცხლისა კრავისა, ღირსია მარადისა, ეკურთხა და გამოჩინდა სახიერისი სახიერისით, საკითხავ იყვა წმინდათაგან, საკითხავი პოველია, გაბრიელია, მრავლითა სიგყვანი გამრავლებითა მალაღთა შიას ჯვართა, მაშინ მოვიდა უფალო ბევრითა, ბევრეულითა, ათასითა გუნდითა, ათას ანგელოზებითა წარიახნა სულნი მიცვალებულთანი, წაუგვიანა სგილონი, მახილა უსგმუნობითა, შაგყულისითა გველისითა, ან დედაკაცისითა, ან მამაკაცისითა ან თვითანა ფიცითა თარგანისითა. ღმერთო, არსებო, ღებო, მთავაროანგელოზო, საფლავ დაუმარწვილდებოდა, ეგია ჯოჯოხეთია, ურლუელია. მაშინ გაეხვნეს ძალნი ცათანი, ხოყანა შახარწმუნდებოდა. შენ თუ ხარა, შენ უფალი ღმერთი ჩვენი, ხოლო წმინდა სული შენი აიღეს, მიიღეს ღმერთთანა პაგივის ცემითა თაყვანისა ეგია. წმინდა არსებულ-არსებულო, არსებულ-ამალღებულო, მანამდიან ვიყვენითავ, წმინდან ვიყვენითავ, სახელს ვიყვენითავ უფლისასავ. მე არ ვიყავ, უფალო, მიარობილისა უხითა, გიორგისითა, მეორე, ნეფე გიორგიო, ბევენი ჩემნია უსჯულოებანი. აუგვიენეს და აღიანა ღმერთს ეხვეწებიანა. ავიდეს მალა, გააცხადეს მადრანსა გაძარსა აბრამისასა. გიკურთხა მამამა, ძემა, ჯვარმა და ღმერთმა ყოველმა. ივანე მართოლაგია, მა თესლის მაკურთხეველი, გიკურთხა მამა, ძემა, ჯვარმა წმიდამა. ეს სამნი სანთელნი მასკარისანი, გაზარო, ეკლესიაო, შე სანაგრელო, ღვთისაო, თუ რაი შენს ქვედ მოიდა, ქადაგობა ქნაო, დასგურობა ქნაო, სულნი ღმერთს შემოგაბარნაო. ეს სამნი სანთელნი ნათობენ, უფალო, საკურთხეველის შენს წინა. პირველი სანთელი გაბრიელ მახარობელი, ეგ მეორე სანთელი – ივანე ნათლისმცემელი, ეს მესამე სანთელი – მხმობელი და მგალობელი. გაკურთხა მამა, ძემა, ჯვარმა და ღმერთმა ყოველმა. ეშმაკი იკვლოდა, ხიაგი ცხოვრება ზეით გადავარდაო, ასრულდა წირვა ჟამისა, წმიდისა იაკობილისა. დღეს გამარჯვებისა შენისა.



ბედიანნიმც იქმნებით, დავლათიანნიმც იქმნებით!

დიღება შენდა, ღმერთო მაღალო, ცათა და ხმელეთის დამაარსებელო, დიღება შენდა, კვირავე ცხოველო, ხეთისა და ხეთიშვილთ შუამდგომელო. ქრისტეო და ღმერთო, დასწერე ჯვარი ამ მოყენებულთა ზღვენთა, თქვენთა სამსახურთა. ძალი და ბრძანება თქვენგან არის, თორო კორციელნი ჩვენ ხმელზეთი სახელს ვერა გაკადრებდით. რადგანაც ღმერთმა კმელეთი დააარსა, ცარგვალი დაახურა, მგემთვარე დააფინა, ხმელეთზე ცხოველნი და კაცი გააჩინა, და მწვანეილნი იმათ საზრდოდ მოიყვანა, გაკურთხნათ ხეთიშვილნი ხეთიშვილად და ჩაგაბარათ ჩენი თაგი მოსამსახურედ თქვენდა სადიღებლად. თქვენის გამჩენის ხთის ბრძანებითა თქვენ აწესრიგებთ ცათა არსთა და კმელეთზე არსებულ კაცთა და ცხოველთა, გეხვეწებთ და გვედრებთ, შაიწირე და ღირსეულად მიიღე ჩენი ხეწნა და ვედრება, ხეწნაზე და შენი სახელის ქსენებაზე ნუ გაგვირისხდები, შენი სახელის ჭირივე. გახვეწებთ და გავედრებთ ჯერ შენი საყმოთა, ყმათა თავდადებულთა და შენი სახელის მლოცავთა. საყმოშით კიღენა შენის კარისა და შენის საბრძანებლის გორის მლოცავთა. გეხვეწებთან და გვედრებთან, ჩვენო სალოცავო ღაღო იაქსარო, დღეს შენი მლოცავნი, წესისა და რიგის დამყენებელნი, შეიხვეწენ და შეივედრენ, ხეწნა-ვედრება სასიხარულოდ გაუკადე, სასინანულოდ ნუ გაუკდი. დიღება თქვენს ძალსა, ყველა წმიდა ანგელოზო, ყველა ხეთიშვილო, სუ ერთურთის მოღე-მოძმეო, ხეთის და თქვენის მორიგის ნების ამსრულებელო, მასკელაგო ცისანო, მოთანახმენო ხთისანო და სტუმარ-მასპინძელნი ერთურთისანო. გაქებთ, გადიღებთ, თქენი გამჩენი ღმერთი არ მოგიწყენთ, არ მოგებულესთ. თქვენ თქვენ ყმათ ნუ მაიწყენთ, ნუ მაიძულებთ, თქვენის კარისა და გორის მლოცავთა, თქვენ ამებულ-წამებულთა. თუ რამე ეხედვებოდეს – სენი, სევედა, სნეულობა, მაცილ-ფთიურაკი, საზიანო საქმე, ისევე თქვენ მგმობარეზე და მოლაღატეზე გადაილოდით, ბევრი გყავთ მაცილ-მოლაღატე და მუხანათი ენითაც, კელითაც და სხვა საქმითაც, თქვენამც იდიღებთ, სენსა და მავნეს იმათ ნუ ააცილებთ, თქვენთა მლოცავთა და წამებულთაზეთ იმათზე გადაილოდით. თქვენნი მლოცავნი წულსა გთხოვდენ, პირველად წულს უმაგოდით, ამათ სახში ღონე-ქონებას, კაც-კაციელობას უმაგოდით, მგერს კელი-კმალი აპკადოდით, სიკედილის კმა მოაშოროდით. ამათ სახშით გამოსულს მოლაშქრეს გაუმარჯოდით, მონადირეს კელ მაუმართოდით. გზასა-მომგზავრესა, ცხვარსა, საწყემსოსა, ამათ მთაბარობასა. ჩემო სალოცავო, ღაღო იაქსარო, თუ ჩემის უენპირობით ვერ ვასრულებდე ან გეცოდებოდე რამეში ჩემის კორციელობით, მეც მაპაგე ჩემი დანაშაული. ყმა დაუნახვებელი არ იქნება და ბაგონი შაუნდობელი. ღირსად მიიღე, ღირსად შეიწირე, ქსნილად და კურთხეულად ეს წამოყენებული ზღვენი შენი სამსახური. ღმერთს გინდოდეს, ღმერთს მამკსენე, კვირას გინდოდეს, კვირას მამკსენე თავისი მოღე-მოძმეთა. ივანე ოქროს-პირისაო, სანაგრელო ხთისაო, ღმერთის დიდებისა და წმინდა ანგელოზთა გამარჯვებისა.

*სევისბრები ჭრელ ჯიხვიაშვილი და ბიჭურ ბადრიშვილი. აღ.იწ. ქსდ(ფ), გვ. 55-56.*



## გაბილაური თემი (ხოშარა)

### 167. ღიღება ხოშარის სახუმაროში

ღმერთო, შენია წინა ძალი და ქსენება, ძალო ღეთისაო, სამართალო კვირისაო. ღიღება და გამარჯვება თქვენ სახელსა. იმათთან ქსენებულნი ღეთის შვილნი, ღეთის ნაბადებნი, ღიღებულნი თამარ დედუფალო, კემწიფეო ლაშარის ჯვარო, წმინდაო წყაროსთაველო, პირქუშო ყაწიმშეენიერო, კოტიას წმინდა გიორგიო, დამასტეს წმინდაო გიორგიო; კოშარის სახუმარო, გიორგი კოშკის ანგელოზო, თქვენ სახელზედა დადგმულნი ზედაშენი, დაჭვრეთილნი სეფენი და დანთებულნი სანთილნი თქვენს სამთავროდა, თქვენ კიდე თავის ყმათა სამეშელოდ და სამწყალობნოდა, ღირსად მიიღეთ, ღირსეულადა, რასაც მკარზე და გულზე გეხვეწებოდენთ, იმ მკარზე და გულზე შეინახეთ. თუ რამ ეხვედებოდეს მთას ფიფქისაგან, ჭალას მდინარისაგან, ან სედა-სნეულეებისაგანა, ბევრი გყავისთ მტერი და მუხანათი, იმათზე გადაუგდეთ, გადაუქავერეთ. სნეულს უღბინეთ მაგათ ცხოვრებაშია, კარგა მყოფც კარგა უმყოფეთ. მოლაშქრესა და მონადირეს გაუმარჯვეთ, მაგათ ოჯახშით წასულსა. მგზავრსა მოგზაურობა დაულოცეთ, წულს გენუკოდესთ, წული მიეცით, თავისაც საყმოს შემაგეთ. რასაც მე თქვენ ქება-ღიღებას გაკლებდეთ ჩემი უგუნურობით, უცოდინარობითა, თქვენს ყმათ წყალობას ვაკლებდე, თქვენ თქვენ წყალობას ნუ მააკლებთ, ღმერთსაც გამაუთხოვეთ წყალობა კვირეისაცა, თავადაც თავის წყალობას ნუ მააკლებთ, შეინახეთ. გაუმარჯოს თქვენს ბატონობას! ამინ ხალხნი! ამინ.

ბოდ. გვ. 74.

### 168. მკითხავის ღამწყალობნება ხვეისბრის მიმრ

ღიღებულნი გამარჯვებულნი სანებას წმინდაო გიორგიო, გეხვეწება, გევედრება ტყვე-ტუსალი ხაგისი – ნინო. შამაუწირავ საკლავი, სანთელ-კელაპტარი. ღირსად აიღე, ღირსეულადა, შვიდეულადა, სხნილადა, კურთხეულადა.

მოგცას წყალობა, ნინო, გიყმოს, გიმსახუროს, გაგიყოლიოს, მცნება მოგცას, გაგება. კეთილად შაიწიროს შენი შანაზღვენი!

*ხოშარა. ხვეისბერი პეტრე კუწაშვილი, 1980 წლის 14 ივლისი, ჩამწერი ტრისგან მახაური*

*პეტრე კუწაშვილი გოგოლაურთის ხვეისბერი იყო, მაგრამ რაკი იმეამად ხოშარლებს არა ჰყავდათ თავისი ხვეისბერი, პეტრე მოიწიეს მეზობელი სოფლიდან. კუწაშვილი განმარტავს: „მკითხავი ხაგში გაყვანის დროს სამჯერ*

უნდა შემოაბრუნონ წაღმე. ხევისბერმა ხუთი მანეთი უნდა გამოართვას, ან სათამბაქოე უნდა აჩუქოს მას მკითხავმა“-ო.

თსუფა № 29922

#### 169. ხევისბერის ღაღოსკა ხაბში კოლის ბახსნის ღროს

გაუმარჯოს ნაკსენებ-ნადიდებ ხთიშვილებს, გაუმარჯოს სახუთმეგო ძელის ანგელომს, გიორგი კოშკის ანგელომს, იყოს მწყალობელი ყმათი, დასტურთი, მსახურთი, საყმოთი, ქალთი, ქალიშვილთი, დაგასწვრათ მრავალს ამ ღროს, ამ დღეს, სთველ-გაზაფხულს, ერთურთის სიცოცხლით, კარგად ყოფნით. მე გლოცავთ, ხთისამე პირით დაილოცებით.

ალ. ოჩ. ქხლ(ფ), გვ. 7.

#### 170. ხევისბერის ღაღოსკა ქაღა-კურის ბაჭრის ღროს

გაუმარჯოს სახუთმეგო ძელის ანგელომს, გიორგი კოშკის ანგელომს, იყოს მწყალობელი ამ სეფეს მომგანისი, ნუ შაანანოს სამსახური, ჯანით მთლით და გულით მხიარულით შეასრულებინოს ანგელომთ დაეაღებული სამსახური. დაუტანოს მთელი ბარაქა თავის ნაშრომ-ნაამაგარსა, კარის ნაკნავსა, ფურის ნაწველსა, ნუ შაანანოს და კვლავ უკეთესი გულით მოჰკერძოს მისი ქსენება-დიდება.

ალ. ოჩ. ქხლ(ფ), გვ. 7.

#### 171. სახელის შაღება სუფრისთჳის

ღმერთო დიდებულო, მკვდარნიც შენ გაბარებ და ცოცხალნიცა, თუ სააქაოს ნათქომი საიქიოს მიდიოდეს, სულწმინდათა ქსენდებოდეს, ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო მადლი შენდა, ღმერთო შენის მიცემითა, ალალი მუშის მადლითა, იერუსალიმის მადლითა, მთავარანგელოზის წინამძღოლობითა, შაუნდნეს ჩვენ მკვდართა, ძველთა და ახალთა. თქვენამე მოგივათ, ჩვენო მკვდარნო, დადგმული გაბლა, დანთებულნი სანთელნი თქვენსამე სულს უნათებს, თქვენსამე სულს აიალებს, თქვენამე მაიკმარებთ, თქვენ კელსა და ნუბასამე იქნება, როგორც ჩვენს კელსა და ნუბას არის. იმასამე დაიწვევთ, ვინც ჩვენგან მოგონებას ელოდეს და ჩვენ კი ვერ ვიგონებდეთ, ჩვენს სახელს ბარაქას აძლევდეს, მამგონე არა ჰყავდეს. თქვენს უნებურად კი ნურავინ შეგვილილებათ, ნურავინ დაგაღონებსთ.

ბოდ. გვ. 86.

## უპილაურთ თემი (კოპალა)

### 172. ღიღება სიხეზორს

ღიღება და გამარჯვება მაჰსხენდეს ემ გორის მცველ-მფარველ ანგელოზს წმინდა ბერ კოპალასა, ხთისა და კვირეის ძალასა, მის გვერდით მდგომთ: ღიღს ადგილის დედას, დედა ხთიშობელსა, ქრისტე ღმერთსა, მამა უფალს, ქვეყნიერობის გამჩენს. იდილოს და იძლიეროს მათმა ძალამ და მათმა სახელმა. უშველოს ყმათა და საყმთა, სასიკეთოდ გადმაჰხედნოს, ნურა შანანოს: მოსულა, ხვეწნა, ვედრება, მუკლის მოღლა, პირჯვრის წერა. შანაწირი, შანამღვენი კეთილად აართვას დალოცვილმა ბერ კოპალამ და კვირეის ძალამ და მადლმა.

თუ ხიფათი რამე ეხედვებოდეს ან ცითა, ან დეღამიწითა, ცუდი-ბოროტის მოვლენით ან ქარ-სეგყვით, სეღა-სნეულებით, ბოროტი კაცის თეღა-გულით, ან ხელით, ან რკინა-მახვილით, ნადირის პირით. გზაში, მგზავრობაში, ოჯახში ნამყოფს, უმცროს-უფროსსა გადაუქარვოს ეს ბოროტი და ზიანი საქმე და თავისაგ მტერ-მუხანათზე გადაიგანოს.

ვინცა ჰყვანდენ ურწმუნონი, სახელის გამქეჯავ-გამკირცხანნი, თას-განძის, თეთრეულის, ბულაურთ კელუკულმ გამგან-გამგაცებელნი, იმათმედავ გადაიგანოს მორწმუნებე დაღირებული ზიანი საქმე.

შამამწირაე-შამამზღვენს მისცას წყალობა. მრავალი ათენგენობა, მრავალი დღესასწაული მშვიდობისა, კარგადყოფნისა გამაუყვალოს. მოსულს წყალობა დაახვედროს, წასულს წყალობა გააყოლოს!

ბერო კოპალაო და კვირეის ძალაო და მადლო, ღირსად მიიღე, ხსნილადა, კურთხეულადა დანთებული სანთელ-კელაპგარი, დადგმულნი ჭიქა-ბარძიმინი, მოქსენიებულნი ზედაშენი, დაჭვრეთილნი სეფე-სეფის კვერნი.

ივანე ოქროპირისაო, ღმერთ დიდებისა, წმინდა ანგელოზთ გამარჯვებისა.

წყალობა მოგცასთ!

- ამინ!

*ციხეგორი. ხევისბერი იოსებ კოჭლიშვილი, 1981 წ. ჩაიწერა გრისგან მახაურმა.*

*თსუფა № 29923*

### 173. მლოცავის ღამწყალობნება ჯვრის ტყეში

მლოცავნო, მეხვეწურნო, გწყალობდესთ ხოდაბურის მეთვალყურე ანგელოზი. საღიღებულო ბერის კოპალაისი იყოს, სამწყალობნო თქვენის თა-

ვისა. რასაც გულ-მკაროზე ეხვეწებოდეთ, ისე, იმ გულ-მკაროზე შაგისრუ-  
ლოსთ ღმერთმა.

*ჯვარის გყე. ხევისბერი იოსებ კოკლიშვილი, 1981 წ. ჩაიწერა გრისტან  
მახაურმა.*

ოსუფა № 29924

#### 174. ღიღება კოპალის ხაზში

ღიღება, ღმერთო, ღიღება შენდა!

ღმერთო, ღიღება შენდა! ღმერთო, ცისა და ხმელეთისა დამდგენელო!

ხორციელთა დამთესაო და სულის ჩამდგმელო!

მზე და მთვარის დამნათებელო!

თუ იქნებოდეს ჩვენისა ხორციელის პირითა სახელისა შენისა ძახილი,

შაისმინე ჩვენის ცოდეილის პირით შამოძახილი:

დასწერე ჯვარი ჩვენს საქრისტიანო საქართველოს,

ნუ მაუშლი ქრისტიანთა ლოცვასა, საყდარს-საჯარებელთა,

ტრაპეზ-სასუფეველსა, სახარებასა, – საქმეებსა შენსა!

ეგრეთვე შენის ანგელოზებისასა!

ნუ მაუშლი ხმელსა გორებსა, შენსას და ანგელოზებისასა შენისასა...

თუ იქნებოდეს ჩვენის ხორციელისა პირითა..., გადაგვხადე იუდას ბადე,

გადაღებული საქართველოსადა...

რომელნია იუდას კერძნი, ჯოჯოხეთისა გამხარებელნი,

იმეებზე გადააგდე, უფალო! და კეთილმორწმუნეთა და

კეთილის პირით მახსენებელთა ჯვარი დასწერე!

ეგრევე თქვენ, ღვთის ნაბადებნო ანგელოზებო...

გაქებთ, ღმერთი გადიღებსთ ეგრე თქვენ, კვირა ცხოველო და

ქრისტეო, ძეო ღვთისაო...

თხოვნითა გთხოვ, ლოცვა-ვედრებით:

ვინცა არიან კრებულად

მლოცავნი ყმანი თუ უყმონი ყმანი,

შაინახენ თავის ანგელოზითა!

საცა თქვენს ბედსა და უღურს იძახიან თქვენსასა თაობით,

წულს უმაგენ იმით სახლობისასა, პურსა, ღონესად ქონესა.

თუ რამე მიან, მარალი და ხიფათი მირგებულ იყოს, გადაუმესერე,

ვინ არის იუდას ბადის მახელელები (?) და ხთისა მგმობარე,

იმეებზე გადასთესოდით და ალაღ-მართებულთა, წამებულთა

ჯვარი გადმოსწეროდით, ივანე ოქროსპირისაო,

სანაგრელო ღვთისაო!

საკლავის პატრონი გახვეწებს თავის თავს, თავის ოჯახს,

სახლ-ჯალაფობასა, შაიხვეწენ, შაინახეთ თავის გკბილის ანგელოზითა!  
 თუ რამე ეღირებოდეს შიან-ზარალი, რომენიც არიან იუდას კერძნი,  
 იმაზე გადაამქავერე შენ სასახელოდა, მაცხოვარო, შენ ამათ  
 საქონ-ცხოვრებასა და სამეშელო-სამწყალობნოდ ღირსად აიღე  
 სამსახური

ღირსეულადა, კსნილადა, კურთხეულადა.

უძილაურთა. ბერიძე კოჭლიშვილი, ჩამწერი ვასილ გუქსიშვილი-  
 ჩოხელაშვილი.

ჟურნ. „პირიმე“, 1993, №1, გვ. 136-137.

#### 175. ღიღება ირემით კალღმა

გაქებთ, გაღიღებთ, ხთიშვილნო. იდიდოს თქვენმა სახელმა, დიდად საკ-  
 სენებელო წმინდა გიორგიო, რჯულის გულისთვინა აღმასის თელებზე დაკ-  
 რულო, დაკუწვილო, ხაშმურაში გადაყრილო, ლეკის მთაში ამოჩენილო, სამას  
 სამოცდასამ ადგილზედა კოჭმოკიდებულო, რჯულიან-ურჯულოთა სალოცავო.

გაქებთ, გაღიღებთ, ლელეს თამარ დედოფალო, ჩიქილა-ზინზილიანო, წა-  
 მალ-საწამლევეთა მკურნალთად გამამწერელო, წმინდა გიორგისტანა  
 ფიცვერცხლნაჭამო.

დედაო წმინდა მარიამო, ხთისა და ანგელოზთა მშობელო, რომენიცა შენ  
 შეპქმენ, წმინდაო ანგელოზო, იუდა ჯოჯოხეთი შენ დაანგრეე, იქსენ კორ-  
 ციელნი იუდათაგან დატანჯულნი. შენ გაგემარჯოს, ძალო ხთისაო, დაე მადლო  
 კვირეისაო.

გწყალობდესთ დიდს თუ პაგარას, ქუდოსანს თუ მანდილიანს.

ირემით, კალღო. ხევისბერი სვიმონ თინიბექის ძე მადურაშვილი, 1981 წ. ჩაიწერა  
 გრისგან მახაურმა.

თსუფა № 29925

#### 176. ბჰიამ-საბრალოთა მოსაბონარო

ღმერთო, ღიღება შენთვი, ღმერთო, მადლი შენთვი. ღმერთმა მაიკსენოს  
 იმ მაუგონებელთ, ბეჩაე-საბრალოთ, რომელთაც ხაგიც იგონებდა და ჩვენც  
 მოგონებას მოგვიბროიან და მოგველოდეს. ჰქონდეს შანაწირი, შანაზღვენი  
 იმათაც ქვა-ყორის აშენებითა ან ხენა-თესვით თუ საქმის გაკეთებით. ხაგის  
 კარს იღგეს და ხაგ-სალოცაესაც უნდოდეს მოგონება. იმ ბეჩაე-საბრალოთ, იმ  
 მაუგონებლების ხსოვნაც იყოს აემ სანთლის მონთების დროს, როგორც წესი  
 და ადათი მოითხოვს. ღმერთმა ალაღ უყვას და გაანათლოს.

*ციხეგორი. სევისბერი იოსებ კოჭლიშვილი, 1986 წლის 24 იელისი, ჩაიწერა  
გრისგან მახაურმა.*

ოსუფა № 29926

### 177. დალოცვა მიხეობრმა

ღმერთო ღიღებულო, ღიღად სსენებულო, ღღევანღელო ღღეო, ბერო კოპალაო, დალოცვილო ციხეგორ წმინდა გიორგიო, შენ უშველე და უმეშველე შენ თაღბე შემომკღართა, შენ გულბე მოსულსა, შენთვის შემომწირველსა, შენთვის პატივისმცემელსა, სანთლის დამთებელსა, სეფე-სეფისკვერის შემომწირველსა, კურაგის, ცხვრის მომყვანელსა და თქვენთან სისხლდამღვრელსა. შენ შეიწყალე, შენ ღიღებულ ძალასამც გაემარჯვება და ღღეხმარე.

წყაროსთაველის წმინდა გიორგიო, ხმელ გორბე ლაშარის ჯერის წმინდა გიორგიო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი შენთან მოსულ ერსა და აქა მობრძანებულსა.

ღელეს ექიმო, სნეულთა მკურნალო, ღღელო თამარო, შენ განკურნე, თუ რამ სენი და დაჯადება არის მოსული ამ კარებბე (ამინ, ამბობს მლოცავი).

ხოშარის სახუთმეგო, ხუთმეგი თემის შემფარებულო, შენ შეიფარე შენი კალთის ქვეშა.

დამასგეს წმინდა გიორგიო, ჩვენო წმინდა გიორგიო, ჩოხის წმინდა გიორგიე, პირცეცხლის წმინდა გიორგიო, შენ ღიღებულ ძალასამც გაემარჯვება, შენ ღღეხმარე გაჭირვებულს ყოველ საქმეში;

ჭიჩოს ადგილის ღღეღავ, ღღეთისმშობელო ღღეღავ, მუქოს ადგილის ღღეღავ, ღღეთისმშობელო ღღეღავ, მათურის მთავარანგელოზო, უღროოდ ცუღს ნურას მოგვიხდი.

ქმალაო ფარქმალიანო, ბოღაო, შენ ღიღებულ ძალასამც გაემარჯვება.

ბოჭორმის წმინდა გიორგიო, შენ ღღეხმარე ყოველ გაჭირვებაში თქვენთან მომსვლელსა, თქვენთან მლოცველსა.

ღაღლო იაქსარო, ღაღად მავალო, ღაღად აგარე ერი შენი მლოცველი.

ცაბაურთ-გოგოღაურთო, აონო, პირქუშო, გუღანის ჯვარო, ნურავის გაგვგუღავ.

მაქართის წმინდა გიორგიო, ჩოხის წმინდა გიორგიო, პირიმზე ფუღის ანგელოზო, უყმო ყმის შემფარებულო, შენ შეიფარე შენი კალთის ქვეშა.

ოკერკევის წმინდა გიორგიო, ნუ გვინაოკრებ.

ქაკმაგის ჯვარო, მგმაერ-მოგმაურო, ქაჯუეთის გამგეხო, ბოროგის ჩამამცილებელო, თუ რამე გვაქ, თუ რამე მგრის, თუ რამე მგრის ხელი გვიბრუნავს თქვენ ქვეღს სახლის დამგრეველსა, თქვენ გამღანდღველსა, თქვენ გამაბინძურებელზე გაღაღიგანე, დანარჩენები თავისუფლები გაუშვი.

ციხე-გორთ წმინდა გიორგიო, ირემთა კაღლო, კვირია მბრძანებელო, უღღეველო ბერო კოპალაო, შენ დამიწერე შენი წყალობის ჯვარი.

თეთრო წმინდა გიორგიო, სარჩო-სარეკის დამდგმელო, შენ გაა-  
სამართლე და ეს კეთილი სუფრა გაშლილი საერთო ერისა შემომწირველისა.

ალავერდო რჯულისაო, რჯულის არ დამკარგველო, შენ მიეცი ბეჭედი,  
შენ შეასრულე ყოველივე ის საქმე, რაც უფალმა დააწესა და თქვენ კიდევ გაა-  
მოცვათ.

ღმერთო, შენ შეიწყალე ყველანი, მღვდებელნი, მეველე-მეკოდურნი,  
მეწისქვილენი, თუ ვინმე მსახური იყოს ამა ეკლესიებისა, ამა სალოცავებისა  
და ემსახურებოდნენ პირნათლად, ალალი და უსაყვედურო იყოს. გამჩენმა  
ღმერთმა ალღად მიაგებოს, უსაყვედუროდ მისცეს სუყველაფერი. მარილი ნუ  
დაუდნება, პური ნუ დაუობდება, საჭმელი ნუ გაუთავდებათ, საზრდო ნუ  
გაუთავდებათ (ამინ, — ამბობს მლოცავი), უსაყვედურო იყოს და იმ წმინდა  
უკვდავმა სულმა კიდე დაგლოცოთ, დაგლოცოთ სუყველა საქართველოს ერი,  
დიდი-პატარა, ქედოსან-ვაჟკაც-მანდილოსანი, გათხოება-ქორწილები, უბედოს  
ბედი მისცეს, უშვილოს შვილი მისცეს, ყველა კეთილი საქმე ჩაატაროს და  
ყველას თავისი კეთილი სურვილი შეუსრულოს. ბოროტი ჩამოაცილოს,  
კეთილი ჩამოუყენოს.

— ამინ!

*ციხეკორი. ღეკანობი ვარდო ხაგისკაცი, 65 წლ. ჩაიწერა მაგნიტოფირზე  
ხეთისო მამისიმედიშვილმა, 1993 წლის ივლისი.*

ოსუფა № 29927

## საბაურთი თეჰმი

178. ხევისბერის ღიღება სანალო მამულის მონკნისა და კოლის ბახსნის  
ღროს

ღიდება ღმერთსა, ცათა და კმელთა დამდგმელსა, რჯულ საქრისტიანოს  
დამაარსებელსა, ღიდება ღიდს კვირასა, ხთის მადლის მოკარვესა. ღიდება  
შენდა, ჩვენო სალოცაო ღიდო მთავარანგელოზო. გეხვეწებითა და გევედრე-  
ბით, დალოცვილო ჩვენო სალოცაო, შენს კსენებასა და შემოძახილზე ნუ  
გაგვიწყრები, ნუ გაგვირისხდები. გახვეწებთ და გავედრებთ შენთ ყმათა და  
საყმომი დღეს ნადში მომსვლელთა, ოფლით მამურალთა. შაიხვეწნი და  
შაივედრენი, შენი კსენება-ღიდება სასიხარულოდ გაუკადე და სასინანულოდ  
ნუ გაუკადი. კარის ნაწნავსა და ნამამურალს ჯვარი დაუწერე და მადლი და  
ბარაქა დაუგანე, მაფხულობა მშვიდობისა დაუყენე, ჯვარ დაუწერე თავის  
მარჯვენისა და კარის ქედის ნამამურალ-ნამუშაელისა, ნდობა სასიხარულოდ

გაუკადე, სასინანულოდ ნუ გაუკდი და კვლავ უფრო მშვიდობით და სიხარულით დაასწერენ შენ ყმანი ნაღსა და ზაფხულ-შემოდგომას.

აღ.ოჩ. ქხდ(ფ) გვ. 131.

### 179. საქორწილო ღაღონება

გაუმარჯოს ნადიდებ-ნაკსენებ ხვთიშვილთა!  
ნადიდებ-ნაკსენები ხვთისშვილები სწყალობდეს  
წალმართს-წალმართის პაგრონსა.  
წალმართი წალმე მაუკდინოს.  
რანიც ერთად შაუყრიან,  
ღმერთმა ერთმანეთს შაუბერნეს,  
ქნას ეგლიან-ბეგლიანი,  
ბედიან-დავლათიანი,  
წულიან-აკაენიანი,  
ცხრაჯერ ვაჟიანი,  
ვაჟით ვაჟიანი,  
სამჯერ ქალიანი,  
ქალითაც ვაჟიანი!  
მდაღო, დედოფალ გაგისაროს!  
ეჯიბო, შენს ნეფეს გაუმარჯოს!!!

*ღაღანყური. მთქმელი შოთა მჭედლეური, ჩამწერი გრისტიან მახაური, 1985 წ.*

თსუფა № 26449.

## გოდერძაულთ თემა (ახადი. პირქუშის სალოცავი)

### 180. ხევისბრის ღიღება ხოლაპრების მოხვნის დროს

შენამც იდიდები, დიდებულ ღმერთო, ცათა და კმელთა გამჩენ-  
დამდგმელო, შენამც იდიდები, კვირავე, ხთის მალღის მოკარეეო. გადიღოს,  
გაძლიეროს ღმერთმა, პირქუშო ყაწიმშვენიერო, ზინზილიანო, დევ-  
დედაბერთ ამომწყვეტო. შენი სადიდებულო იყოს ეს ჭიქა-ბარზიმი, სანთელ-  
კელაპგარი და სამწყალობნელო იყოს შენთ ყმათი, შენთ ყმათაში დღეს შენის



ხოდაბურის ნაღში მომსველეთათვის, კარისა და კაცის დამლაველეთათვის, თავის ვალის პირნათლად მომკვლე-შემსრულებელეთათვის. მოსულან შენ ყმანი თავის კარ-გუთნითა, წესი და რიგი არ დაუკლავის და შენ შენს წყალობას ნუ დააკლებ. უშველე, დალოცვილო, ველთაცა და შინაცა, მაგათ კაცსაცა, საქონსაცა, კარსაცა და გუთანსაცა, მათ ნაშვრალ-ნამუშევარსაცა. წელი მშვიდობისა დაუყენე და თავის ნაშრომს მადლი და ბარაქა დაუგანე, შენამც იდილები შენის გამჩენის ხთის კარზედა.

*ალ.ოზ. ქხდ(ფ), გვ. 157.*

## 181. ხაჰვისბრის მიერ სანალო სუფრისთჳის შენლოზის თჳმა

ღმერთო, შენა ხარ ცისა და ქვეყნის გამჩენი, შენ გააჩინე კაცნი და ხთიმვილნი, შენდა სადიდებლად, შენ დააარსენ ხთიშვილნი ხთიშვილადა და ჩვენ, კაცნი, თქვენდა და ხთიშვილთ სამსახურის შესასრულებლად. შენ იდიდე და იძლიერე შენის გამჩენის ხთისაგანა, კვირავ, ხთის მადლის მოკარევეო. შენი გამჩენი ღმერთი შენც გადიდებს, გაძლიერებს, პირქუშო, ყაწიმშვენიერო, ბინბილიანო, ღვე-ღედაბერთ ამომწყვეგო, შენის გამჩენის ხთის კარზე იდიდე და იძლიერე. სადიდებულო თქვენი იყოს ეს დადგმული ჭიქა-ბარძიმი და დაჭვრეთილნი სეფისკვერნი და სამწყალობნო შენი ყმათი. მაიქსენივნეს ჩვენმა სალოცავმა ჩვენს წინაშე ვინც მკადრენი ჰყვანდნენ და აღარა ჰყვან ცოცხალნი. მაიქსენივნეს ისინიცა, ვისაც ჰქონდეს დანამადლისი ჩვენის სალოცავისადა, ჩვენ სახელობრ ვერ ვიგონებდეთ და ჩვენი სალოცავი კი არ ივიწყებდეს. დანამადლისი ჰქონდეს ან ენითა, ან კელითა, არადა სხვა საქმითა. აგრეთვე მაიქსენივნეს ის უპატრონო მკვდრებიცა, რომენთაცა მომგონებელი არა ჰყავ და შანდობის თქმას მოგელოდებოდენ. შანდობა ჰქონდეს იმათ სულებსა და პირქუშის ყმათა და შემოსწრებულ სკუმრებს სიცოცხლე და ღვებულობა.

*ალ.ოზ. ქხდ(ფ), გვ. 158-159.*

## 182. სუფრისთჳის სახელისღება სულთაპრავს

დიდება შენდა, ღმერთო, ცისა და ქვეყნის გამჩენო. ცის ნამთა და ღვებულობის მწვანილთა დამაარსებულო. ღმერთო, შენგან არის გაჩენილი კაცისა სიკვილ-სიცოცხლეცა, შენგან არის გაჩენილი ქსნილი და მარხვაცა და სულის ქსენებაცა. შენ მიეც მადლი და ბარაქა ამ სუფრის პატრონსა (*სახელი*), მწუხარება კეთილად მოათმენინე და ნულარას მიჰკერებებ ამის გარდა სამწუხარო საქმესა. გაუმეგებია და გაუმზადებია ეს სუფრა, სასმელი და სანთელ-კელაპჯარი ხეთისოსთვინა, როგორც გამეგებულები იყოს, ისე მაიქსენიოს ხეთისოს სული ღმერთმა, ამ სეფისკვერითა, ზედაშითა და სანთელ-კელაპჯრითა. თუ ვინმე მოჰბიროოდეს ამ სუფრაზედა და ჩვენ ვერ ვიცოდეთ, ხეთისოს მასპინ-

ძლობით შაიქსენივნეს ისინიცა, იქაურის წეს-სამართლითა. თავის ნებითამც გასცემს ხეთისო ამ სუფრიდან, ვისადაც რა ემეგებოდეს, ძალითამც ნურას ვინ გამოედავ-გამოეკილება. ცოგამც დიდად ეჩვენება, რიოში წმინდად. ამ სითბოთა და სინათლითამც მიუვა, მზის შუქითა და სანთელ-კელაპკრითა. იმას შანდობა ჰქონდეს, იმის დანარჩენებს სიცოცხლე და დღეგრძელობა. დანარჩენ ცოცხლებს ჯვარი დაუწეროს ღმერთმა და ნუღარა სამწუხარო მორაგინოს. აკმაროს გარალი გარალად და დღეის გარდა საღხინო სამშვიდობო სუფრა ამზადებინოს.

*ალ. ოჩ. ქხლ(ფ), გვ. 170-171.*

## მათურის თეჰი (გურაბაულთ თეჰი)

### 183. ხევისბერის ლოცვა ვაჟის ბაყვანის ღროს ხაბში

დალოცვილო ჩვენო სალოცაო, შენთ ყმათ შემოემაგა ეს წული, შენ იყმე და გაზარდე, გამოიყვანე კარგი კაცი, იმსახურე სხვათ ყმათან ერთადა, გამოიყვანე ბედიან-იბღლიანი, ნუვის თვალსა და გულს მორევე. შენდ წესი არ დაუკლავ და შენს წყალობას ნუ დააკლებ, შენი სახელის ჭირიმე.

*ალ. ოჩ. ქხლ(ფ), გვ. 249.*

### 184. ხევისბერის ლოცვა კაბარაღლის ბაყვანის ღროს მარიამწმინდაში

დალოცვილო მარიამწმინდაო ხთიშობელო, შენ გვევდრებით შენნი საყმონი კაცინცა და დედაკაცინცა, შენ უშველე შენს კარზე მოსულს რძალსა (*სახელი*), შენ აბედიანე და ნუ შაანანებ შენს კარზე თავის წესით მოსვლასა და ხვეწნა-ვედრებასა. ჩაუღევ წილი შენთ ყმათაში წულითა და წულის აკავნითა, შენთვის თავის წესი არ დაუკლავ და შენს წყალობას ნუ დააკლებ, შენი სახელის ჭირიმე.

*ალ. ოჩ. ქხლ(ფ), გვ. 247-248.*

## უკანაფშავის თემა

### 185. დიდება წყაროსთაულის წმინდა ბიორგის ხატში

დიდება შენდა, ღმერთო მაღალო, ცისა და ქვეყნის გამჩენო, კმელეთის დამდგმელო, კორციელ—უკორცოთ გამჩენო და იმათთან წესრიგის დამაარსებელო. დიდება შენდა, კვირავე მაღლიანო, ხთის მაღლის მოკარეეო. დიდება ძალსა და სახელსა შენსა, წყაროსთავე წმინდაო გიორგო. შენთვის სამსახური მოუყვანია შენი წესის მიხედვითა ახალდამდგომ დასგურთა, მსახურთა. მოსულან შენს სამსახურებლად და დაწესებული წესის შესასრულებლად, შეიწყნარენ და მიიღენ, დილო წყაროსთავე წმინდაო გიორგო, შენდა სამსახურებლად. ხალიზი მიეცი და ბალინჯი საქმე აშორე, შენის სახელის ჭირიმე. თუ რამე საზიანო საქმე ეხედვებოდეს ამათ კაცსა, საქონსა, მამაშორე შენის ძალითა და დიდებითა, დალოცვილო წმინდაო გიორგო. ბეერი გყავ ორგული და მოლაღაგე და მაგათად დახედვებული მათე საზიანო საქმე შენს ორგულ-მოლაღაგეზე გადაიღე და მაგათ სახლ-ჯალაფობას, კაცსა და საქონს მოაშორე. თუ რამე თავის უცოდინრობით გცოდონ ამ მომავალი წლის განმავლობაშია, შანაცოდვარი და შანაწყინარი შეუნდე, შენი სახელის ჭირიმე, შანაწყინარზე ნურას საზიანო საქმეს მიაყენებ. ზღვნითა და სანთლით შაიხვეწენ და გადააქდევინე თავისი უგნურობით შანაცოდარი საქმე. თუ რამე ჩემის უვიცობით შენს კსენებასა და დიდებას აკლდებოდეს, დალოცვილო წმინდაო გიორგო, მამაგიე და შამინდე. და შენთ ახალ დამდგომ დასგურთაცა შენს წყალობას ნუ დააკლებ.

ალ. ოჩ. ქხდ(ფ), გვ. 204.

## სტოლის ხეობა



186. ღიღება აჩაქველგე

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა დიდ ლომისასა, ქსნისა და არაგვის თავდამყურებულსა, შვიდიათასი ქართველი გყვის დამხსნელსა, უყმოსა ყმისა მშველელს.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა წიფორის წმიდა გიორგის, ხმელ გორზე დაბრძანებულსა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა პირიშვე ფუცის ანგელოზსა, ოქროს შიბიანს, ოქროს კალთიანსა.

ღმერთო, გაუმარჯვე ნაღორევის წმიდა გიორგისა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა ჩოხის წმიდა გიორგისა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა ზეგარდის წმიდა გიორგისა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა ღუმაცხოს საღმთო მაღალსა.

ღმერთო, გაუმარჯვე ხევის სალოცავებსა, სამებას მწყემსების მფარველსა, გაჭირებული მგზავრის მშველელსა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა გუდანის და ხახმაგის ჯვარსა, ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა ფშავ-ხევსურეთის სალოცავებსა – ლაშარს, ლალ იახსარს, თამარ მეფეს, გმირ კოპალესა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა ხორხის მომდევნო ანგელოზებსა, აჩაქველ წმიდა გიორგის, წვერის წმიდა გიორგისა, ლაღაურის წმიდა გიორგის, საყვირალის წმიდა გიორგისა, ყველაწმიდა ხეთიშობელსა, ადგილის დედასა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა ქსნის სალოცავებსა – ლეაპურის წმიდა გიორგისა, ვაკის ჯვარს პატიოსანსა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა ბოდორნის ღეთიშობელსა.

ღმერთო, გაუმარჯვე მცხეთის სვეტიცხოველსა, საქართველოს საქრისტიანოს ფუძეს.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა ზედაზენს მაღალსა, ჯვარსა პატიოსანსა, ნინოწმინდასა, დედათა მონასტერსა, დიდგორის სალოცავესა კულაბნობასა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა ქართლ-კახეთის სალოცავებსა, ალავერდის წმინდა გიორგისა, გელათის წმინდა გიორგისა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა მესხეთ-ჯავახეთის სალოცავებსა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა სვანეთის სალოცავებსა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა ასპინძის სალოცავებსა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა სულ სამასსამოცდასამ წმინდა გიორგისა. სამასსამოცდასამი წმინდა გიორგი შეეწიოს თქვენ თავსა, ხელი მოგიმართოთ. მშვიდობა, ბარაქა, გამრავლება, გახარება, კარგად ყოფნა და ჯანმრთელობა მოგცათ.

*ხორხი. ყარამან ხეგეშვილი, 1991 წ. 12 ივლისი, ჩამწერი მურაბ კიკნაძე.*

187. ლილიბა აჩაქველზე კებრე-პაპლობა ღღეს

ღმერთო ღიღებულო, ღმერთო გამარჯვებულო, ქვეყნიერების გამჩენო სამას სამოცდასამი წმიდა გიორგის მაღლო, ხელი მოუმართე ქართველ ერსა, ხელი მოუმართე ხორხსა, ხორხის შვილებსა, ღმერთო გაუმარჯვე გამარჯვებულსა ღღევანდელი ღვთის მაღლისა, აჩაქველის წმინდა გიორგისა (*ხალხი*: ამინ, ამინ!)

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა პეტრეპაპლობის მაღლსა (ღიღესასწაულია, მთელი საქართველო აღნიშნავს ღღეს ამას).

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა არაგვის ხეობის სალოცავებსა, ლომისის წმიდა გიორგისა, არაგვისა და ქსნის ხეობის თავდამყურებლებსა, სამიათასი ქართველი გყვის დამხსნელსა, საქართველოს სალოცაეთა მეფეთ მეუფესა (*ხალხი*: ამინ! ამინ!).

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა მთა-მთიულეთის დანარჩენ სალოცავებსა: წიფორის წმინდა გიორგისა, ნაღვარევის წმინდა გიორგისა. ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა ხადის ხეობის სალოცავებსა, ხადის მთავარმოწამესა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა გუდამაყრის სალოცავებსა, დუმაცხოს საღვთო მაღალსა, პირიმზე ფუძის ანგელოზსა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა ხევის სალოცავებსა, ივანე ნათლისმცემელსა, დარიალის ხეობაში დაბრძანებულსა, მწყემსების მფარველსა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა წვერის სპარსანგელოზსა, სამების მაღლსა, ბეთლემის ჯვარსა (*ხალხი*: ამინ!).

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა ფშავ-ხევსურეთის სალოცავებსა, გმირ კოპალესა, იახსარ წმინდა გიორგის.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა ხახმაგის ჯვარსა, გუდანის ჯვარსა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა ლაშარსა, თამარ მეფესა, ლახტ იახსარსა, ღვეების მეომარსა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა კახეთის სალოცავებსა, ალავერდის წმინდა გიორგის.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა ნეკრესის წმინდა გიორგის, შუამთის, თუშეთის სალოცავებსა, დიკლოსა და ომალოს წმინდა გიორგის (*ხალხი*: ამინ!).

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა მცხეთის სალოცავებსა, სვეტიცხოველსა, საქართველოს ქრისტიანობის ფუძის ჩამყრელსა, ჯვარსა პატიოსანსა, წმინდა ღემეტრეს, წმინდა ნინოსა, კალოუბანსა, შიომღვიმის სალოცავებსა (*ხალხი*: ამინ!).

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა ბოდორნისა და წილკნის ღვთისმშობელს, ყმათა და დედათა მფარველს.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა ქსნის ხეობის სალოცავებსა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა შუა ქართლის სალოცავებსა: გორისჯვარსა, გერის წმინდა გიორგისა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა დასავლეთ საქართველოს სალოცავებსა, მარგვილის წმინდა გიორგისა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა ილორის წმინდა გიორგისა, ზემო და ქვემო სვანეთის სალოცავებსა, უშგულისა და ლაგალის წმინდა გიორგისა (ხალხი: ამინ!).

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა წმინდა-ნიკორწმინდასა, რაჭა-ლეჩხუმის მთავარანგელოზსა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა ვარძიის ღვთისმშობლის სალოცავეს.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა საქართველოს გარეთ დაბრძანებულ სალოცავებსა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა ხორხის სალოცავებსა – აჩაქველ წმინდა გიორგისა, წვერის წმინდა გიორგისა, ლალაურ წმინდა გიორგისა, საყვირალ წმინდა გიორგისა, ერთმანეთის მოძმე-მოყმეთა, სოფლის თავდაბყურებელსა (ხალხი: ამინ!).

*ხორხი. გაიომ ყარამანის ძე სეგეშვილი, დაახლ. 35 წლ., აჩაქველზე, ჰეგრე-პავლაბა დღეს. 1991 წლის ივლისი. ჩამწერი ზურაბ კვიციანიძე.*

# მთიულეთი





188. ლეკანოზის ლონვა სანთლის ანთიპის დროს ნაპრუს კვირახსოველში

დიდება ღმერთის, დიდება ღმერთის, დიდება იესო ქრისტეს, ბეს მამისას მარჯვნივ მჯდომს, ქვეყნიერების დამაარსებელს, ცის დამზურავს, დედამიწის დამდგემელს, ცა-ვარსკვლავების გამჩენს, ყოვლისმწყობელ ღმერთს.

ღმერთო, გაუმარჯვე დიდ ლომისის წმინდა გიორგის, ხორეშანით მობრძანებულს, შვილიათისა გყვის მხსნელს, ქსნისა და არაგვის თავდამყურებელს.

ღმერთო, გაუმარჯვე ბეგოთ სახეთოს, კმელგორზე დაბრძანებულს, ოქროსკარავიანს.

ღმერთო, გაუმარჯვე ალავერდის წმინდა გიორგის.

ღმერთო, გაუმარჯვე ჩვენს სალოცავს კვირაცხოველს, წვერის თავს დაბრძანებულს, ხთის კარზე მდგომს, ხთის იასაულს.

ღმერთო, გაუმარჯვე ადგილის დედას, თავარანგელოზს, წმინდა გიორგის ყველაწმინდა ხთიშობელს.

ღმერთო, გაუმარჯვე გერგეგის თავს დაბრძანებულს სამებას.

ღმერთო, გაუმარჯვე იოანე ნათლისმცემელს.

ღმერთო, გაუმარჯვე ლუღას ყველაწმინდას, ქვა წულად მქცეველსა.

ღმერთო, გაუმარჯვე მულურის თავს დაბრძანებულს წმინდა გიორგის (დეკანოზი — ესეც ლომისაა).

ღმერთო, გაუმარჯვე დედა ხთიშობელს, ცეცხლიჯორს, პაგიოსანს, ცეცხლით მოარულსა.

ღმერთო, გაუმარჯვე დედა მარიამს, ჩვენს სალოცავს ხადის თორმეტწამს (დეკანოზი — ესეც წმინდა გიორგია).

ღმერთო, გაუმარჯვე ვილიას წმინდა გიორგის, ქუცურთ სახთოს, თევდორეს წმინდა გიორგის.

ღმერთო, გაუმარჯვე ბელოთში დაბრძანებულს ხთიშვილთ, სახეთო მალალს, წვერის ანგელოზს, კვირაცხოველს.

ღმერთო, გაუმარჯვე ნაღვარევის წმინდა გიორგის, ნიაღვრით გამოცანილს.

ღმერთო, გაუმარჯვე ქარჩათ სახეთოს, იალბუზზე დაბრძანებულს, წვერის ანგელოზს.

ღმერთო, გაუმარჯვე მაცხოვარს, ქაშუეთის წმინდა გიორგის.

ღმერთო, გაუმარჯვე კობათ წმინდა გიორგის, მთაწმინდას.

ღმერთო, გაუმარჯვე წიფორის წმინდა გიორგის, კმელგორზე დაბრძანებულს.

ღმერთო, გაუმარჯვე ყველა სოფელში დაბრძანებულ ხთიშვილთ.

ღმერთო, გაუმარჯვე გულამაყარში დაბრძანებულ ხთიშვილთ: დუმაცხოს სახთოს, წვერის ანგელოზს.

ღმერთო გაუმარჯვე მეგარდის წმინდა გიორგის.

ღმერთო, გაუმარჯვე პირიმგეს, ფუძის ანგელოზს, ქამ-უკამოთ მო-  
არულს, უყმოსა ყმისა მშველელს.

ღმერთო, გაუმარჯვე დედა მარიამს, ჩოხის წმინდა გიორგის.

ღმერთო, გაუმარჯვე ფშავ-ხევსურეთის სალოცაეებს: სახმაგის ჯვარსა,  
გუდანის ჯვარსა, ლაშარის ჯვარსა.

ღმერთო, გაუმარჯვე იაკსარს, გმირ კოპალეს, ლახგიანსა.

ღმერთო, გაუმარჯვე მცხეთის სვეტიცხოველსა, სიონის წმინდა გიორგის.

ღმერთო, გაუმარჯვე მთლად საქართველოს სამას სამოცდასამ წმინდა  
გიორგის.

ღმერთო, გაუმარჯვე ჩვენს საქართველოში რჯულის შემომგან წმინდა  
ნინოს.

ღმერთო, გაუმარჯვე საქართველოს ყველა კუთხის კეთილ ანგელოზს.

ღმერთო, გაუმარჯვე ცის ნამს, დედამიწის ბარაქას.

ღმერთო, გაუმარჯვე კარის ქელსა, მშრომელი ადამიანის მარჯვენას, მა-  
ღალ ღმერთს, უფალს.

გადმოგვხელე წყალობით. უშველე ჩვენს საქართველოს. საქართველო-  
სთან მთა-მთიულეთს, მთა-გუდამაყარს, მასთან ერთად ჩვენ კადას, კადასთან  
ჩვენ სოფელ წკერეს.

ამინ!

*წკერე. დეკანოზი ნიკალა ჯერმიზაშვილი, 60 წლ., 1996 წ. 11 ივლისი. ჩამწერი  
ხეთისო მამისიმედიშვილი.*

#### 189. ღეკანოზის ლოცვა იუსოს ხატში

ღმერთმა გაუმარჯოს წმინდა ნინოსა, ადგილის დედასა, ვილიას წმინდა  
გიორგის, ბეგოთ სამხვოთს, წმინდა წვერზე დაბრძანებულს, ალავერდს, ლო-  
მისის წმინდა გიორგის, მულურის თავს დაბრძანებულს, კადის მთავარმოწამეს,  
წკერის თავს დამყურებულს კვირიაცხოველს, თევდორეს, ქოროლოს დედა  
ლეთიშობელს, ცეცხლიჯორს – ცეცხლით მოარულს, ლომისას – ქსნის და  
არაგვის დამყურებულს, ქუცურთ სამხვოთს, ქარჩათ სამხვოთს, ნაღვარევის  
წმინდა გიორგის, ქაშვეთს, ჩოხის წმინდა გიორგის, წიფორის წმინდა გიორ-  
გის, კმელ გორზე დაბრძანებულს, კობათ სალოცავს, უშველოს თავის მლო-  
ცავს, ჯვარი დასწეროს, ხელი მოუმართოს.

*იუხო. ხევისბერი ალექსი სგეფანეს ძე სისაური, 65 წლ., ჩამწერი გრისგან  
მხახური, 1989 წლის 9 ივლისი.*

ოსუფა № 29928

## 190. ლეკანოზის ღონისა ბეგოთი საღვთოწმიდა

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა ბეგოთი საღვთოს ძლიერსა, იალბუზზე ბრძანებულსა.

ღმერთო, გაუმარჯვე დიდს ალავერდსა, ღმერთის მოწმესა.

ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულს დიდს ლომისასა, ქსნისა და არაგვის ზედაშხედველს, ხოშარეთი მობრძანებულსა.

ღმერთო, გაუმარჯვე ლუდას ყოელაწმინდას, ქვის წულად მქცეველსა.

ღმერთო, გაუმარჯვე ცეცხლისჯვარს, ცეცხლით მოარულსა.

გაუმარჯოს ხთიშობელ დედას, ხთის კარზე მდგომელსა.

გაუმარჯოს კვირიაცხოველს, წკერის თავს დაბრძანებულსა.

გაუმარჯოს კადისა თორმეტწამეს, კადის მოწამესა.

გაუმარჯოს ადგილის დედას, დედა მარიამსა.

გაუმარჯოს თევდორეს პაგიოსანსა, ქუცურთი საღვთოს, სვიანათი სალოცავებსა.

გაუმარჯოს ნაღვარევის წმინდა გიორგის, ნიაღვრით მობრძანებულსა.

ღმერთო, გაუმარჯვე ქაშვეთის წმინდა გიორგის, ბუჩუკურების სალოცავებსა.

ღმერთო, გაუმარჯვე მთაწმინდას მთავარანგელოზსა, კობათ თავს დაბრძანებულსა.

გაუმარჯოს წიფორის წმინდა გიორგისა, კმელგორზე ბრძანებულსა, დიდი ლომისის მოყმე-მოძმესა.

გაუმარჯოს გამარჯვებულსა პირიმზე ფუძის ანგელოზსა, უყმოსა ყმის მეშველსა.

გაუმარჯოს ჩოხის წმინდა გიორგისა, ჩოხს დაბრძანებულსა.

გაუმარჯოს ღუმაცხოს წვერის ანგელოზსა.

გაუმარჯოს გამარჯვებულსა დიდ ლაშარის ჯვარსა, კაკმაგის ჯვარს, გმირ კოპალეს, იაკსარსა, მთლად ფშავ-ქვესურეთის სალოცავებსა.

ღმერთო, გაუმარჯვე მცხეთის წმინდა გიორგისა, დიდ მაცხოვარსა.

ღმერთო, გაუმარჯვე გერგეგის წმინდა გიორგისა, წმინდა სანებას, მთლად კევის სალოცავებსა.

ღმერთო, გაუმარჯვე მთლად საქრისგიანოს სალოცავებსა!

*ხადა. ვანო ლევანის ძე ბეგოთიძე, 64 წლ., ბეგოთი საღვთო (ხადას ხეობა), ჩამწერი გრისგან მახაური, 10.VII.89 წ.*

თსუფა № 29929

## 191. საკლავითი მოსული მთავრის დალოცვა ნაქრის კვირიაციისთვის

ჩვენო სალოცავო, კვირიაციოველო, გივიაჲ, ჯერმიზიათი, ჩემი შვილი მოსულა თავის სალოცავში, თავის მოედანზე. თავს გახვეწებს, თავის ოჯახს,



თავის შვილებს, თავის ხიზანს. სანთელ-საკლავი მოუყვანია, ღირსად მიიღო მისი სამსახური, კეთილად, მრავალს დაასწარ შენს ვარდის ღლეობას.

წკერე. დეკანოზი ნიკალა ჯერმიზაშვილი ვასილის ძე. დაბად. 1936 წ. ჩაიწერა ხეთისო მამისიძედიშვილმა 1997 წლის 10 ივლისს.

თსუფა № 29942

192. ლეკანოზის ლოსვა ქარჩათი საღვთოწმი

ღმერთო, გაუმარჯვე დიდ ლომისის წმინდა გიორგის, ხორაშნით მობრძანებულს, შვიდი ათასი გყვის მსხნელს, ქსნისა და არაგვის თავდამყურებელს.

ღმერთო, გაუმარჯვე ბეგოთ სამხვთოს კმელ გორზე დაბრძანებულსა.

ღმერთო, გაუმარჯვე ქარჩათ სამხვთოს მაღალ მთაზე დაბრძანებულსა, ბეგოთ სამხვთოს მოძმე-მომხრესა... (შემდეგ ჩამოთვლის დანარჩენ ჯვარხაგებს).

ლაკათხევი. ქარჩათი ილო ნიკოს ძე. დაბად. 1940 წელს., ჩაიწერა ხეთისო მამისიძედიშვილმა ხადაში 1997 წლის 10 ივლისს.

თსუფა № 29943

193. ლეკანოზის ლოსვა

ღმერთო, გაუმარჯვე ცისა და ქვეყნის დამდგინებელ ღმერთისაო.

ღმერთო, გაუმარჯვე წიფორის წმინდა გიორგის.

გაუმარჯოს კობის წმინდა გიორგის, გერგეგის წმიდა სამებას.

გაუმარჯოს ლომისის წმიდას გიორგის, მთიულეთის სალოცავს.

გაუმარჯოს ღუდას ყოვლად წმიდას, ქვაწულად მქცეველს.

გაუმარჯოს პირიმზე ფუძის ანგელოზს, მთიულეთ-გუდამაყრის სალოცავს.

გაუმარჯოს საღვთო მაღალს, კვერდაუკრავ შიბით შემოსილს.

გაუმარჯოს კადის მთორმეწამეს, კადის მთით დაბრძანებულს.

გაუმარჯოს ჩვენ სალოცავებს, წმიდას გიორგის, კვირაცხოველს.

გაუმარჯოს ცეცხლის ჯვარს, ცეცხლით მეომარს.

გაუმარჯოს ემ ადგილის დედას, ემ ადგილის მამდევარ ანგელოზს.

გაუმარჯოს თლად საქართველოს ხთიშვილ ანგელოზთ!

მათო მაღლო, მათო ძალო, დეეკმარე მთლად საქართველოს, მთლად საქართველოს დამკმარეს კაცს, იმათთან დეეკმარეთ მთიულეთს და მთიულეთის დამკმარე კაცს.

მემრე დეეკმარე (სოფლის სახელი) სოფლის დამკმარე კაცთ.

ბარაქა დაუღევ ნაჯნავს, კაცით ნამუშევარს, ნაჯნავთ, ნათესში, შინ მუშასა, კარში გამსვლელს, თავის მარჯვენით ნამუშევარი დაახარჯენინ სალხინ-საქორწილოზე. მე ეგ ლოცვა რაც ცოდვილი პირით დავაკლო, წყალობა ნუ დაგაკლოთ.

*მთქმელი სეთურიძე ისაკო აბრამის ძე.*

*ვირსალ. გვ. 268-269*

#### 194. ლომისას საღიღებელი

ღმერთო, დიდება შენთვისაო.

ღმერთო, შენთვისაო.

ღმერთო, გაუმარჯვეო დიდ ლომისასაო, ხორასნიდან მობრძანებულსაო, შვიდი ათასი გყვის დამკსნელსაო; ქსნისა და არაგვის დამყურებელს დიდ ლომისასაო!

ღმერთო, გაუმარჯვე ღუდის ყოვლად წმიდასაო, ქვა-წულად მქცეველსა.

ღმერთო, გაუმარჯვე გერგეგის ხვთისმშობელ დედასა.

ღმერთო, გაუმარჯვე კადის მთორმეწამესაო, იალბუმზე დაბრძანებულსაო.

ღმერთო, გაუმარჯვე კიდავ ნაღვარევის წმიდა გიორგისაო...

ღმერთო, კიდა გაუმარჯვე წიფორის წმიდა გიორგისაო...

ღმერთო, გაუმარჯვე გუდამაყრის სალოცავს ფუძის ანგელოზსა...

ღმერთო, გაუმაჯვე მთელი ქვეყნიერობის სალოცავებსაო...

იმით ძალო და სამართალო, შენ უშველე მთელ საქრისტიანოს!

ღმერთო, შენო ძალო და სამართალო, შენ უშველე საბურღელოსაო. შენს მხვეწარს, შენს მლოცავს, შენს მაქებ-მაღიღებარსაო. მშვიდობით ამყოფე, კელი მაუმართე...

ლოცვა ჩვენი – რგება ღვთისაო...

შეგეწიოთ წყალობა მაღალ ღვთისაო.

*ვირსალ. გვ. 267-268.*

#### 195. საღიღებელი ღუდის ყველანოინდაში

გაუმარჯოს ლომისას:

ლომისა შეეწიოთ თავის ყმათ, თავის მრევლთ.

გაუმარჯოს საღმთოს,

გაუმარჯოს ხთისმშობელ დედას.

გაუმარჯოს ხადის მთავარ მეწამეს წმინდა გიორგის.

გაუმარჯოს ნალორევის წმინდა გიორგის.

გაუმარჯოს პირიმზე ფუძის ანგელოზს.

გაუმარჯოს ღუმაცხოს საღმთოს.

გაუმარჯოს წმინდა ნინოს.

გაუმარჯოს ცეცხლის ჯვარს.

გაუმარჯოს ლუდის ყველაწმიდას ქვის წულად მქცეველს.

*ვირსალ. გვ. 519.*

196. ლეკანოზის ლოცვა

დიდება ღმერთს, მაღლი ღმერთს!

გაუმარჯოს ქვეყნის გამჩენელს უფალ იესო ქრისტესს.

მემრე გაუმარჯოს კვირა ცხოველს, კვირიას პატიოსანს.

მემრე გაუმარჯოს სახეთო მაღალსა, იალბუმ მთაზე დაბრძანებულსა,

ალავერდის წმინდა გიორგის, ყველაწმინდა ღვთისმშობელს,

ადგილის ღვთისა, წმინდა გიორგის, მთავარანგელოზს, კადის მთავარ-  
მოწამეს, მულურის თავს ბძანებულ წმიდა გიორგის, თედორეს წმიდა გიორგის,  
ქუცურთ სახეთოს, სვიანაან თავს დაბრძანებულს, ლომისის წმინდა გიორგის,  
ხორაშნით მობრძანებულს, შვიდი ათასი გყვის დამხსნელს, ლუდის ყველა  
წმინდას, ქვის წულადა მქცეველს, ნალორევის წმინდა გიორგის, ლაშარის  
წმინდა გიორგის, ცეცხლისჯორს, მთის თავზე დაბრძანებულს. წიფორის  
წმინდა გიორგის, პირიმზე ფუძის ანგელოზსა, ჟამ-უჟამოთ მთარულს, უყმო  
ყმის მშველელს.

*წკერე. ნარაიძე ჯღუნა. ვირსალ. გვ. 520.*

197. ლოცვა ლომისის ხაბში

ღმერთო, დიდო ლომისაო,

გამარჯვებულო, საქრისტეიანო სალოცავო,

შენ ღვთისმარე მულამ შენ ყმასა,

შენ მეხვეწართაო, შენ მლოცველთა,

წულგაჭირვებულსაო წული გაუჩინე,

ათასად გაუხდინე.

დალოცვილო უფალო,

აჲაღნაყოფი თუ ჰყავს, გაუსაღე,

ჯანსაღად დაუყენე,

შააძლებინე შენი სამსახური.

*კაიშ. გვ. 56.*

## 198. დასნეულებულის შესვენება ნიხლისკვრისაში

გამარჯებულ ცეცხლის ჯვარო,

დასაჯულია თქვენგნიდან, დასნეულებული. ასრულებს სამსახურს. თქვენი წყალობა მიეცით და ალალი იქნას მისი ხვეწნა-ვედრება.

*ვირსალ. გვ. 269.*

## 199. ლეკანოვის ლონვა ნიჟორის ხაბში

ღმერთო, თქვენ ხართ სამართლიანი, ღმერთო, თქვენ ხართ უძლეველი. ღმერთო, თქვენგან არის ქვეყანა გაჩენილი, ცა ამაღლებული, დედამიწა დამყარებული. ღმერთო, თქვენ გაუმარჯვეთ დიდს უფალსა იესო ქრისტეს, მაცხოვარს პატიოსანს, მამაშვიციერს, ყოვლაწმინდა ხთისმშობელს, წმინდა ნინოს, დედას მარიამს, ძლევაშობილ დიდ თამარ მეფეს, მის წმინდათწმინდას გვირგვინს – დიდ საქართველოს.

ღმერთო, თქვენ გაუმარჯვეთ თავში დიდ ლომისას, ლომგულს, ხორეშანს შვიდიათასის გყვეთა მსხნელს.

ღმერთო, თქვენ გაუმარჯვეთ კელმწიფეს პირიმშეს, მშით მოარულს, ალვის განიანს. ღმერთო, თქვენ გაუმარჯვეთ ძლევაშობილ დიდ ფუძის ანგელოზს, უყმო ყმის მშველელს, დამშველებელს, ქამთა უქამურთ მოარულ დავლათიანს ანგელოზს, დევ-კერპთა შავ ზღვას იქით გადამსროლელ-გადამგყორცნელსა.

ღმერთო, თქვენ გაუმარჯვეთ ბზოვნის წვერის ანგელოზს, ბაგონს წიფორის წმინდას გიორგის, კმელი გორის ანგელოზს, ძლიერსა და ყმიანს, ლახ-გიან-მათრაკიანს.

ღმერთო, თქვენ გაუმარჯვეთ დიდ წვერის ანგელოზს, დიდ ყველაწმინდას, დიდს მთავარანგელოზს, მთავრით ქსენებულს, ოქროს შიბიანს, ცის სვეტიდან ჩამობრძანებულს.

ღმერთო, თქვენ გაუმარჯვეთ ჭიკათ წმინდას გიორგის, კობათ წმინდას გიორგის, ნალორევეს წმინდას გიორგის, ქაშვეთს წმინდას გიორგის, კადაში ნაკსენებ ხთიშვილთ: კადის მთავარმოწამეს, ბეგთო სახვთო მაღალს, კვირაცხოველს, ცეცხლისჯვარს, ცეცხლით მოარულს, ლაშარის წმინდას გიორგის, ლაშქართ მოარულს.

ღმერთო, თქვენ გაუმარჯვეთ მთისა და ბარის სალოცავეებს, ღუმაცხოს სახეთომაღალს, მეგარდის წმინდას გიორგის.

ღმერთო, თქვენ გაუმარჯვეთ ფშავ-კეკესურეთში ნაკსენებ ხთიშვილთ: გმირს კოპალეს, ლალს იაკსარს, კელმწიფეს ლაშარის ჯვარს, გუდანის ჯვარს, კაკმაგის ჯვარს, მგზავრს გიორგის.

ღმერთო, თქვენ გაუმარჯვეთ ხანდო-ჭართალში, ბანცურს, ცხველიათს, დოლასქელს, ვაშლობს, ჯულისს სათავეს ნადიდებ-ნაკსენებ ხთისშვილებს.

თქვენამე გაგემარჯვებათ ანანურს დაბრძანებულ ხეთისმშობელს დედას, ბოდორნის ხეთისმშობელს, წმინდას გიორგის.

თქვენ გაუმარჯვეთ ჯერის მონასტერში, სვეტიცხოველში, სიონის ეკლესიაში, წმინდა სამებაში, თეთრ გიორგიში, ალავერდში ნადიდებ-ნაცსენებს ხთისშვილებს.

დიდო მეუფეო, ძალი ძალს მიეცით, მკარი მკარს მიეცით, თქვენ უშველეთ თქვენგან გაჩენილს ქვეყანას. ყველაზე ძალიან ესლა სჭირდების თქვენგან მოვლა-პაატონობა ამ დიდ სიცოცხლეს. უშველეთ და დაეკმარეთ. ამრავლეთ მრევლი თქვენი, ნურც გაათავებთ კაცთა მოღვმასა. გყავდეთ მლოცავი წამებული, ხალხი მრავალი.

ფასანაური. ნიკო ქავთარაძე, ჩამწერი გრისგან მახაური. 1985 წლის 8 სექტემბერი.

თსუფა № 29930



# გულამაყარი



200. სალიღვაპლი შუძის ანგალოზის ხატში (შპანახო)

ღმერთო, შენა ხარ სახსენებელი, ღმერთო, შენა ხარ სადიდებელი, ქვეყნიერების გამჩენო და დამდგინებელი. მამაო ზეციერო, ჩვენო სულის ჩამდგმელი, შენამც იიღდე, დიდებულო, დიდად სახსენებელი. შენ გეხვეწებიან შენი წამებულნი, შენ უშველე, გამარჯვებულო დიღო ფუცის ანგელოზო. გამარჯვებულო, ივანე გეხვეწება, თავს გახვეწებს, თავის ყოფა-ცხოვრებას. შენ უშველე, გამარჯვებულო. შენს წინაშე სანთელი აუნთია, თასი აუვსია, სამსახური წამაუყენებია. ღვთის კარზე მაისმარე, გამარჯვებულო. შენ მიჰყევი, შენ ღვებმარე, გამარჯვებულო, ამის კაცსა, ამის საქონელს, შენ გაამრავლე, დიღო ფუცის ანგელოზო (*ხალხი: ამინ! ამინ! ამინ!*).

დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, მაღლი მოწყალეს მოსამართლესა. ღმერთო, გაუმარჯვე სამღთოს მაღალსა, სამართალს ღვთისასა. ღმერთო, გაუმარჯვე თავში კვირესა, კვირეს გავლილობას, ღვთის კარის მაშვენებელს, კეთილის პასუხის მიმგანსა და მამგანსა, კეთილის კარავის დამდგმელს ანგელოზსა. გაუმარჯოს! (*ხალხი: ამინ, ამინ!*)

ღმერთო, გაუმარჯვე დიდებულსა ემ ბორცვის მამყოლს ანგელოზს, მთავარს, მთავრობით სახსენებელსა. ღმერთო, გაუმარჯვე ბატონს ფუცის ანგელოზს, ყმის საიმედოს, უყმო ყმის დამშველზელს ანგელოზს გამარჯვებულს. ღმერთო, გაუმარჯვე დიდებულსა დედას ღვთისასა, ღვთისმშობელს, წმინდა სანებას, წმიდას ცის ნამის გადამამშვებელს, ღვდამიწის ძუძუ-მკერდის დამკურთხებელსა, გამარჯვებულს. ღმერთო, გაუმარჯვე თავს ღომისას, გამარჯვებულს, ხორასანი გყვეთა მხსნელსა ანგელოზს, იქით ქსნის დამყურეს, აქით არაგვისას, გამარჯვებულსა (*ხალხი: ამინ!*).

ღმერთო, გაუმარჯვე ხემწიფეს პირიმზეს, პირიმზეს ახალციხისას, მოწყალეს, მოსამართლესა, გამარჯვებულსა.

ღმერთო, გაუმარჯვე მცხეთას სვეტის ნათელს, წმინდა ნინოს, საქართველოს განმანათლებელსა, დარიალას სამან-სამძღვრის ჩამგდებსა, სახმელეთოს თავისაკე დამგდებსა გამარჯვებულს (*ხალხი: ამინ! ამინ!*).

ღმერთო, გაუმარჯვე დიდებულს თამარ მეფეს, მღვაში სამნის ჩამგდებსა.

ღმერთო, გაუმარჯვე ლაშარს, ლაშქრის წინამძღომელს გამარჯვებულსა.

ღმერთო, გაუმარჯვე ივანეს ოქროს პირისას, რჯულის გულისათვის თავმოკვეთილს და სისხლდაღვრილს ანგელოზს, გამარჯვებულს (*ხალხი: ამინ! ამინ!*).

ღმერთო, გაუმარჯვე გმირს კოპალასა, დიდის უნჯისა და განძის პატრონს ანგელოზს. ღმერთო, გაუმარჯვე იახსარს, ღეკ-კვრების გადამსხვავებელს, ხახმაგის ჯვარს, ქაჯავეთის სიმაგრის გამგებს, გამარჯვებულო.

ღმერთო, გაუმარჯვე ორის წყლის ბატონსა და პატრონს ანგელოზს.

ღმერთო, გაუმარჯვე თეთრი გიორგის, მოსამართლეს გამარჯვებულსა.

ღმერთო, გაუმარჯვე საქართველოს მთა-ბარის სალოცავეს.

ძალი იმითაო, სამართალო ღვთისაჲ, დიდო ფუცის ანგელოზო, გეხვეწებთან შენი ყმანი, გამარჯვებულო. ივანე გეხვეწება, თავს გახვეწებს, თავის ყოფა-ცხოვრებასა, გამარჯვებულო! უშველე, გამარჯვებულო. შენს კარზე სანთელი აუნთია, სამსახური წამაუყენებია, ღვთის კარზე მაიხმარე, გამარჯვებულო. სწყალობდე, გამარჯვებულო, ივანეს, ივანეს ცოლ-შვილს, ივანეს საბოლოოსა. შენ აილე ღირსად, ღვთის კარზე მაიხმარე, გამარჯვებულო. ღვთიდან დიდი წყალობა გამიიგანე ივანესად.

ღაგლოცოს, შაგინახოს გამარჯვებულმა, ვაჟები გაგიმრავლოს!

*უკანახო. დეკანოზი თორღვა წიკლაური. ფუძის ანგელოზის დღეობაზე. 4. IX. 82 წ. ჩამწერი მურაბ კიკნაძე.*

თსუფა № 29931

## 201. საღიღაპალი ფუძის ანგელოზის ხატში (უკანახო)

დიდება ღმერთისა, მაღლი ღმერთისა, მაღლი მოწყალესა მოსამართლესა. ღმერთო, გაუმარჯვე სამღთოს მაღალს, სამართალს ღვთისას. ღმერთო, გაუმარჯვე თავში კვირესა, კვირეს გავლილობას, ღვთის კარის მაშვენებელს, კეთილის პასუხის მიმგანსა და მომგანსა, კეთილის კარვის დამდგმელს ანგელოზსა, გაუმარჯოს (*მლოცავა ამინ! ამინ! ამინ!*)!

ღმერთო, გაუმარჯვე დიდებულსა ემ ბორგვის მამყოლს ანგელოზს, მთავარს, მთავრობით სახსენებულსა.

ღმერთო, გაუმარჯვე ბაგონს ფუძის ანგელოზს, ყმის საიმედოს, უყმო ყმის დამშველბელს ანგელოზს, გამარჯვებულს.

ღმერთო, გაუმარჯვე დიდებულსა დედას ღვთისასა, ღვთისმშობელს, წმიდას სანებას, წმიდას ცის ნამის გადმამშვებელს, დედამიწის ტუბუ-მკერდის დამკურთხებულსა და გამარჯვებულს.

ღმერთო, გაუმარჯვე თავს ლომისას, გამარჯვებულს, ხოროსანს გყვეთა მხსნელსა ანგელოზს, იქით ქსნის დამყურეს, აქეთ არაგვისას, გამარჯვებულსა! (*მლოცავა ამინ!*).

*უკანახო. დეკანოზი თორღვა წიკლაური, ჩამწერი მურაბ კიკნაძე. 4.IX.82 წ.*

თსუფა № 29932

## 202. საღიღაპალი ფუძის ანგელოზის ხატში

...ღმერთო, შენა ხარ სახსენებელი და საღიღებელი. ღმერთო, შენ გეხვეწებთან, დიდებულო, შენი წამებულნი, დიდო ფუძის ანგელოზო, ბაგონო ბედნიერო, უშველე მაშოსა, გამარჯვებულო. მაშო გეხვეწება, გამარჯვებულო, თავს გახვეწებს, თავის ყოფა-ცხოვრებას. უშველე, გამარჯვებულო, დიდო

ფუძის ანგელოზო. შენს სადიდებულოდ თასი აუვისია, სანთელი აუნთია, სამსახური წამოუყენებია, გამარჯვებულო, და ხთის კარზე მაიხმარე, დილო ფუძის ანგელოზო. უშველე, გამარჯვებულო, და ხალისი მიეც, გამარჯვებულო, დილო ფუძის ანგელოზო, აბაგივე დანაშაული, თუ რაიმე ეცოდებების პირის ქართია, ფეხის ნალითა, დიდებულო დილო ფუძის ანგელოზო, გამარჯვებულო.

ღმერთო, გაუმარჯვე ხემწიფეს პირიმზეს, პირიმზეს ახალციხისას, მოწყალეს მოსამართლეს, გამარჯვებულსა.

ღმერთო, გაუმარჯვე მცხეთას სვეგის ნათელს, წმინდა ნინოს, საქართველოს განმანათლებელს, დარიალას სამან-სამძღერის ჩამგლებსა, სახმელეთოს თავისკე დამგლებს, გამარჯვებულს (*მლოცავე: ამინ! ამინ!*).

ღმერთო, გაუმარჯვე დიდებულს თამარ მეფეს, მღვაში სამანის ჩამგლებსა.

ღმერთო, გაუმარჯვე ლაშარს ლაშქრის წინამძღოლს, გამარჯვებულსა.

ღმერთო, გაუმარჯვე ივანეს ოქროს პირისას, რჯულის გულისთვის თავმოკვეთილს და სისხლდაღვრილს ანგელოზს, გამარჯვებულო (*მლოცავე: ამინ! ამინ!*)!

ღმერთო, გაუმარჯვე გმირს კოპალასა, დიდის უნჯისა და განძის ბაგონს და პაგრონს ანგელოზს.

ღმერთო, გაუმარჯვე იხსარს, დეე-კერპების გადამსხეავებელს, ხახმაგის ჯვარს, ქაჯავეთის სიმაგრის გამგეხსა, გამარჯვებულო.

ღმერთო, გაუმარჯვე ორი წყლის ბაგონსა და პაგრონს ანგელოზსა.

ღმერთო, გაუმარჯვე თეთრი გიორგის, მოსამართლეს გამარჯვებულსა.

ღმერთო, გაუმარჯვე საქართველოს მთა-ბარის სალოცავეებს.

ბალო იმთაო, სამართალო ღვთისავე, დილო ფუძის ანგელოზო, გეხვეწებთან შენი ყმანი. ივანე გეხვეწება, თავს გახვეწებს, თავის ყოფა-ცხოვრებასა, გამარჯვებულო. უშველე, გამარჯვებულო, შენს კარზე სანთელი აუნთია, თასი აუვისია, სამსახური წამოუყენებია. ღვთის კარზე მაიხმარე, გამარჯვებულო. სწყალობდე, გამარჯვებულო, ივანეს, ივანეს ცოლ-შვილს, ივანეს საბოლოს. შენ აიღე ღირსად, ღვთის კარზე მაიხმარე, გამარჯვებულო, ღვთიდან დიდი წყალობა გამაიგანე ივანესად. დაგლოცოს, შეგინახოს გამარჯვებულმა, ვაჟები გაგიმრავლოს.

უკანახო. დეკანოზი თორღვა წიკლაური, უკანახოს ფუძის ანგელოზის დღეობაზე. 4.IX.82 წ., ჩაიწერა მაგნიტოფირზე მ. კიკნაძემ.

თსუფა № 25557

## 203. ღამნყალოზნება ფუძის ანგელოზში

... ფუძის ანგელოზო, გეხვეწებთან შენი ყმები.

ღმერთო, შენა ხარ სახსენებელი, ღმერთო, შენა ხარ სადიდებელი, ქვეყნიერების გამჩენო და დამდგინებელი, მამაო ზეციერო, ჩვენი სულის

ჩამდგმელო, შენამც იდიდე, დიდებულო, დიდად სახსენებელო, შენ გეხვეწებიან შენი წამებულნი, შენ უშველე, გამარჯვებულო დილო ფუძის ანგელოზო, გამარჯვებულო. ივანე გეხვეწება, თავს გახვეწებს, თავის ყოფა-ცხოვრებას. შენ უშველე, გამარჯვებულო. შენს წინაშე სანთელი აუნთია, თასი აუვსია, სამსახური წამოუყენებია, ღვთის კარზე მაისმარე, გამარჯვებულო. შენ მიჰყევი, შენ ღუებმარე, გამარჯვებულო, ამას კაცსა, ამის საქონელს, შენ გაამრავლე, დილო ფუძის ანგელოზო (*მლოცავი*: ამინ! ამინ! ამინ!).

*უკანახო. ღეკანოზი თორღვა წიკლაური, ფუძის ანგელოზის დღეობაზე, ჩამწერი მურაბე კიკნაძე. 4.IX.1982 წ.*

*თსუფა № 29933*

## 204. პირიმზის საღიღებელი

ღმერთო, შენ ხარ საკსენებელი, და ღმერთო, შენა ხარ სავედრებელი.  
რამანაც ცანი დახურე და ქვეყნიერება შემოჰქმენდე!

ღმერთო, გაუმარჯოს სამხთოს მალაღსა... ღმერთო, გაუმარჯოს ღუ-  
მაცხოს სამხთოსა...

ღმერთო, გაუმარჯოს კვირე პრიელსა, ხთის იასაულსა, კორციელთ კე-  
ლუკლებარსა.

ღმერთო, გაუმარჯვე მთავარ ანგელოზსა, მთავრათ საკსენებელ-  
სავედრებელსა.

ღმერთო, გაუმარჯოს კელმწიფეს პირიმზესა, ახალციხით  
მობრძანებულსა.

ღმერთო, გაუმარჯოს ფუძის ანგელოზსა, ყმის მეშველსა, უყმო ყმის  
დამშველებელსა, ცამდე მალაღსა და ზღვამდე მაგარსა...

ღმერთო, გაუმარჯვე ჩოხის გიორგისა, ცირასებით ჩამობრძანებულსა,  
ჩოხს დაბრძანებულსა.

ღმერთო, გაუმარჯვე კაკმაგის ჯორსა, გიორგი ნალორშენიერსა.

ღმერთო, გაუმარჯვე დიდ ლომისასა, – შვიდი ათასის ხოროშანიტ გყვეთ  
დამქსნელსა...

ღმერთო, გაუმარჯვე ღუდის ყველაწმიდასა, ქვის წულათ მქცეველსა.

*ვირსალ. გვ. 267.*

## 205. საღიღებელი

დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, მოწყალე-მოსამართლე ღმერთსა.

ღმერთმა გაუმარჯოს ხელმწიფეს წმინდა გიორგის პირიმზე ახალციხისა.

გაუმარჯოს მის მოძმე და მომხრე ანგელოზებს.

ღმერთმა გაუმარჯოს კვირიეს ძლიერსა და ღუმაცხოს სამღვთო მალაღსა.

გაუმარჯოს დიდს წვერის ანგელოზს, დიდ იალბუმზე დაბრძანებულსა.  
გაუმარჯოს ზეგარდის წმინდა გიორგის, ზენა სოფელს დაბრძანებულსა.  
ღმერთმა გაუმარჯოს ფუძის ანგელოზს, ყმის მეშველსა და უყმოსაც  
დამშველებელსა.

გაუმარჯოს ჩოხის წმინდა გიორგის, ცირასებიდან ჩამობრძანებულს,  
ჩოხს დაბრძანებულსა.

გაუმარჯოს საბურთველოს წმინდა გიორგის და ზანდუკის მთავარანგე-  
ლოზს.

გაუმარჯოს ძლიერსა ლომისას, ხორეშანთ გყვეთა მხსნელსა.

გაუმარჯოს ლუდას ყოვლად წმინდას, ქვაწულად მქცეველსა.

გაუმარჯოს წიფორის წმინდა გიორგის, ძეთა და წულთა მომცემსა.

გაუმარჯოს საქართველოს ყველა ხაგებსა და სალოცავეებსა.

*მაკ. მთ., გვ. 161.*

## 206. ბუღაბაყრელი ლეკანოზის ლოცვა

დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, ღმერთო, გაუმარჯვე ფუძის ანგე-  
ლოზსა დიდ პირიმზეს, იალბუმზე ბრძანებულს, უყმო ყმის მეშველს, ორი წყლის  
